

ტრასტის ინსტიტუტი და ქართულ სამართალში მისი იმპლემენტაციის შესაძლებლობა ინგლისური მოდელის საფუძველზე

ანა ბაიძე

საქართველოს ბანკის სამართლებრივი კვლევების ჯგუფის უფროსი

აბსტრაქტი

ტრასტის ინსტიტუტი გადაჭრით შეიძლება მივაკუთვნოთ სამართლის იმ კონსტრუქტთა რიცხვს, რომელთაც უდიდესი დადებითი ზეგავლენა ჰქონდათ და აქვთ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებასა და გამრავალფეროვნებაზე. საკანონმდებლო დონეზე სატრასტო ურთიერთობების გათვალისწინება და რეგულირება სამართლის სუბიექტებს მთელი რიგი იმგვარი ურთიერთობების დამყარებისა და ისეთი მომსახურებების მიღების შესაძლებლობას ანიჭებს, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

ტრასტის ინსტიტუტის მეშვეობით შესაძლებელია საკუთრების უფლების გახლეჩა იმგვარად, რომ, **ერთი მხრივ, ქონებაზე საკუთრების მფლობელი და ქონების მმართველი და, მეორე მხრივ, მისგან სარგებლის მიღების უფლებების მფლობელი სხვადასხვა პირები იყვნენ**. აღნიშნული მოწესრიგების საფუძველზე, საკუთრების უფრო ეფექტიანი განკარგვის პარალელურად, მიიღწევა ისეთი ბენეფიტებიც, როგორებიცაა საკუთარი ქონების მართვის დაგეგმვა გარდაცვალების შემდგომი პერიოდისთვისაც და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა. **რაც მეტი სამართლებრივი მექანიზმია გათვალისწინებული იმისათვის, რომ პირმა საკუთრების განკარგვის მისეული ინტერესი მიუსადაგოს არსებულ ნორმატიულ რეგულირებას, პოტენციურად მით მეტი ღირებულება აქვს დასაკუთრებულ ქონებას**. ამდენად, საკუთრების მართვის ფორმის დამატებითი ალტერნატივის შემოღება ქონებას მესაკუთრეთათვის კიდევ უფრო მეტად სარგებლიანად აქცევს. მესაკუთრეებისათვის ამ ბენეფიტის მინიჭების პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ტრასტის ინსტიტუტი მნიშვნელოვან პოზიტიურ ფაქტორად ითვლება ინვესტიციებისა და ინვესტორების მოზიდვის კუთხითაც.

იმისათვის, რომ თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ ტრასტებით შემოთავაზებული უპირატესობებით სარგებლობა ქართულ რეალობაშიც შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია საკანონმდებლო რეგულირების შემუშავება ტრასტების დაფუძნებისა და მართვისათვის.

სტატია მიზნად ისახავს ტრასტის ინსტიტუტის არსისა და სპეციფიკის აღწერას - იმ ძირითადი მახასიათებლების წარმოჩენას, რაც განაპირობებს ტრასტების აქტუალობასა და სარგებლიანობას. ტრასტის გამოყენების შესაძლო შედეგების გაანალიზების პარალელურად, სტატია იკვლევს ქართულ კანონმდებლობაში ტრასტის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის შესაძლებლობას და სახაბს ზოგად სამოქმედო გეგმას აღნიშნულისათვის. კვლევის შედეგად, სტატია გასცემს იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც საჭიროა ქართულ რეალობაში ტრასტების შექმნისა და შემდგომი რეგულირებისათვის. კვლევა ტარდება და შესაბამისი რეკომენდაციები გაიცემა როგორც საერთაშორისო და შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვის, ისე - ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული მოცემულობის განხილვისა და შეფასების საფუძველზე.

თემის მასშტაბიდან გამომდინარე, მისი სტატიის სახით წარმოდგენა უკვე არსებით გამოწვევას წარმოადგენს. სტატიისათვის დადგენილი შეზღუდვებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულად ჩაითვალა ტრასტის ინსტიტუტის განხილვა მეტწილად **ინგლისურ სამართალზე დაყრდნობით**. ინგლისი შეირჩა, როგორც სატ-

რასტო ურთიერთობების წარმოშობის ადგილი და მისი შემდგომი განვითარების ერთგვარი ფლაგმანი, ტრასტის ინსტიტუტის გაანალიზების პირველწყარო. სხვაგვარად, ყველა რელევანტური ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა და ანალიზი შეუძლებელს გახდის სტატიისათვის დადგენილი სტანდარტების დაცვას.

სტატია მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნასა და რეკომენდაციებს.

შესავალი

სამართლის განვითარებასა და ახალი ინსტიტუტების გაჩენას, ძირითადად, ორიდან ერთ-ერთი საფუძველი აქვს. დამატებითი რეგულირების საჭიროებას, როგორც წესი, რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობების ახალი სახის წარმოშობა და აქედან გამომდინარე, მისი რეგულირების აუცილებლობა იწვევს. საგამონაკლისო შემთხვევებში სიტუაცია საპირისპირო ქრონოლოგიით ვითარდება - კანონმდებელი ისე ქმნის ნორმატიულ ჩარჩოს, რომ პრაქტიკაში ფეხი ჯერ ფართოდ არ აქვს მოკიდებული კონკრეტული სახის ურთიერთობას (მაგალითისთვის, აღნაგობის ინსტიტუტი ქართულ სამართალში). საკითხის დარეგულირებით კანონშემოქმედი ამოტივირებს შესაბამისი ურთიერთობის წარმოშობას ან/და უფრო ფართოდ გავრცელებას.

ამ უკანასკნელ შემთხვევას ფართოდ თუ შეხედავთ, შეგვეძლება პარალელის გავლება **მწარმოებლის მიერ ბაზარზე მოთხოვნის შექმნის სიტუაციასთან**. სტანდარტულად, მწარმოებლის მიერ მოთხოვნის შექმნას უწოდებენ პროცესს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი მომხმარებლებში აქამდე არარსებულ მოთხოვნას ქმნის, ე.ი. უჩენს მათ ახალი ნივთის ან/და მომსახურების შეძენის სურვილს. მიუხედავად აღწერილისა, ტერმინი მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებს თავის დასახელებას - მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ნამდვილად იქმნება, თუმცა, მხოლოდ გარეგნული და მეტად კონკრეტიზებული ფორმით. რეალურად, მოთხოვნა არსებობდა მის „შექმნამდეც“ - მომხმარებლების გონებაში, მათ სურვილებსა და საჭიროებებში. „პროდუქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული ბაზარზე, თუ ის უკვე

არსებობს ადამიანების იმედებში, ოცნებებში, შიშებსა და სურვილებში”¹. ამდენად: „მოთხოვნის შექმნის” მცდელობისას პროდუქტი ყოველთვის ახალი, ნოვატორულია, თუმცა - მისი გამოყენების მოტივი ადამიანის გონებაში, სურვილებსა და შიშებში უკვე არსებობს. სხვა შემთხვევაში შემთავაზებული წარუმატებლობისთვისაა განწირული.

ერთი შეხედვით, ტრასტების ინსტიტუტის განხილვასთან არც თუ ისე ახლოს არის ყოველივე ზემოაღნიშნული. თუმცა, სწორედ **აღწერილი ორი თემის შეჯამება/შეკავშირების შედეგად მიღებული შეფასება გაჰყვება სტატიას ლაიტმოტივად**. კერძოდ:

ისტორიულად ტრასტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება სამართალშემოქმედების პირველმა ფორმამ განაპირობა - ჯერ პრაქტიკაში დამყარდა სატრასტო ურთიერთობები და მხოლოდ შემდგომ დაიწყო შესაბამისი პრეცედენტებისა და ნორმატიული ჩარჩოს ჩამოყალიბება, სამართალშეფარდების პროცესში უსამართლო შედეგების თავიდან ასარიდებლად². იმის თაობაზე, თუ რომელი პრინციპის (ჯერ სამართლებრივი მონესრიგება თუ - ჯერ პრაქტიკის განვითარება) შესაბამისი რეალობა გვაქვს საქართველოში, შესაძლოა არსებობდეს **ორი მიდგომა - განსხვავებული შეფასებებით იმაზე, თუ რა ნიადაგი არსებობს საქართველოში ტრასტების იმპლემენტაციისათვის და, შესაბამისად, რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო**. ამდენად, აუცილებელია არსებული სიტუაციის სწორი დაიდენტიფიცირება:

1. ერთი მოსაზრებით, საკანონმდებლო შეზღუდვების გამო (ძირითადი ხელშემშლელი³ -

¹ Dean T., How to Sell Without Selling, Ocala, 2017, 33.

² STEP, Social and economic benefits of trusts, 2021, 5, <https://www.step.org/system/files/media/files/2021-04/step_trust_report_280421.pdf>, [20.09.2022].

³ Hayton D., Reflections on The Hague Trusts Convention after 30 years, Journal of Private International Law, 12:1, 2016, 2.

numerus clausus პრინციპი სანივთო სამართალში⁴), ქართულ რეალობაში ჯერ საერთოდ არ გვხვდება სატრასტო ურთიერთობები. შესაბამისად, ტრასტების სამართლებრივი მოწესრიგება წინ გაუსწრებს პრაქტიკაში ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში, ტრასტის ინსტიტუტის საჭიროება და პერსპექტივა განსხვავებულ კონტექსტში შეფასდება - სიტუაცია მიესადაგება სამართალშემოქმედების მეორე, ბაზარზე მოთხოვნის შექმნის პროცესის მსგავს სახეს. ტრასტის სამართლებრივი ჩარჩო კანონმდებლის მიერ წარმოებულ „ახალ პროდუქტად“ ჩაითვლება და შეფასდება, ახალი პროდუქტი გამოიწვევს თუ არა მომხმარებლებში (სამართალსუბიექტებში) დაინტერესებას, „შეიქმნება“ თუ არა მასზე მოთხოვნა - ე.ი. მიესადაგება თუ არა სიახლე საზოგადოების ინტერესებს.

2. მეორე პოზიციით, რომელსაც სტატია იზიარებს და ეყრდნობა, სატრასტო ურთიერთობების წარმოშობას ქართულ სამართლებრივ სივრცეში არაერთი მცდელობა აქვს, თუმცა - არსებული (სხვა) სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპების გამოყენებით. ის ფაქტი, რომ მსგავსი პრეცედენტები არც თუ ისე ხშირია, საკანონმდებლო რეგულირების არარსებობას უნდა მივაწეროთ. რეალურად, სატრასტო ურთიერთობების ამა თუ იმ მიზნით დამყარების მოტივაცია საკმაოდ ბევრ სამართალსუბიექტს გააჩნია, თუმცა მხოლოდ მათ მცირე ნაწილს აქვს წვდომა ისეთ კვალიფიციურ იურიდიულ სერვისზე, რომელიც, საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში, საქართველოში მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას გახდიდა შესაძლებელს.

ქართულ რეალობაში, იმ მიზნების მისაღწევად, რასაც წესით სატრასტო ურთიერთობები უნდა ემსახურებოდეს, უმეტესად დავალების ხელშეკრულებები გამოიყენება. აღნიშნულ შემთხვევებში ასევე შესაძლოა დამოუკიდებლად გვხვდებოდეს მინდობის ხელშეკრულებები ან/და დავალების ხელშეკრულების ფარგლებში

საკუთრების მინდობის ურთიერთობის ელემენტებიც. შესაძლებელია შემდეგი პრაქტიკული მაგალითების მოყვანაც:

იმ მიზნით, რომ პირს („ა“-ს) კონფიდენციალურად დაეტოვებინა მის მიერ კონკრეტული ნივთის საკუთრებაში ფლობის ფაქტი, აღნიშნული ქონება გადასცა მეგობარს, საკუთარი („ა“-ს) შვილის სასარგებლოდ განკარგვის დავალებით. აღნიშნული ურთიერთობა წარიმართა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად, თუმცა, რეალურად ურთიერთობა მიესადაგებოდა კონფიდენციალური ტრასტით შესრულებად მოტივებს/მიზნებს.

სატრასტო ურთიერთობის წარმოშობის მოტივაცია და მცდელობა არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც კომპანიებს სურთ ისეთი ქონების ან/და კომპანიის შეძენა ან/და დაარსება, რომლის დასაკუთრებაც აკრძალული აქვთ (საქმიანობის ფარგლების შეზღუდვის ან სხვა მიზეზთა გამო). მსგავს შემთხვევაში, აღნიშნული კომპანიები ქონების შეძენას ახერხებენ მესამე პირების საშუალებით, კერძოდ: მესამე პირებზე გაიცემა სესხი და სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ქონება, რომლის შეძენის ინტერესიც ამოძრავებს სესხის გამცემ კომპანიას ან აღნიშნული ქონების გამოსყიდვის ოფცია. სესხის დადგენილებისთანავე ქონება /კომპანია გადაეცემა მისი დასაკუთრების მსურველ კომპანიას. ასევე შესაძლებელია, რომ მესამე პირს მიეცეს კონკრეტული პირობების შესაბამისად ახალი კომპანიის დაფუძნებისა და მართვის დავალებაც.

სატრასტო ურთიერთობის კიდევ ერთ „არაფორმალურ“ გამოყენებად შესაძლოა ჩაითვალოს დავალების ხელშეკრულებით ქონების ან/და კომპანიის მესამე პირებზე გადაცემა, სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნული, ძირითადად გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ პირებს აკრძალული აქვთ სამენარმეო საქმიანობის განხორციელება. აღნიშნული მაგალითი ტრას-

⁴ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 724, 13. <<http://tiny.cc/kpnzuz>> [08.08.2022];

ტებით უზრუნველყოფილი ურთიერთობის კიდევ ერთი „არაფორმალური“ ქართული ალტერნატივაა.

პრაქტიკაში ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლები დასაქმებულებზე გასაცემი გადავადებული ანაზღაურების სამართავად ტრასტის მსგავს ურთიერთობას ქმნიან. უფრო კონკრეტულად: დასაქმებულთა მიერ ხანმოკლე მიზნებზე ორიენტირების თავიდან ასარიდებლად, დამსაქმებლები ანაზღაურების ნაწილს გასცემენ ე.წ. „გადავადებული ანაზღაურების“ სახით. აღნიშნული ტიპის ანაზღაურება შეკავდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რათა ხანგრძლივ პერიოდში განისაზღვროს დასაქმებულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები. გადავადებული ანაზღაურება დასაქმებულებზე მომავალში დამდგარი მოცემულობის/შედეგების შესაბამისი მოცულობით გაიცემა. იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც თანხა შეკავებულია, ხშირად ანაზღაურება დავალების ხელშეკრულებით გადაცემულია მესამე პირებზე. ამ შემთხვევაშიც, დამსაქმებლები მესამე პირს იყენებენ ტრასტის მმართველის მსგავსი ფუნქციით.

შესაბამისად, ქართულ რეალობაში უკვე არსებობს ურთიერთობები, რომლებიც წარმოადგენენ ტრასტის ურთიერთობის ერთგვარ ჩანაცვლებას, ალტერნატივას. ამდენად, რეალურად, საზოგადოებაში უკვე არსებობს მოთხოვნა სატრასტო ურთიერთობებზე, თუმცა - საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის გამო, პირები იძულებულები ხდებიან, მიმართონ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებსა და ავტონომიურობის პრინციპს, რაც არასაკმარისია. სატრასტო ურთიერთობის ნაცვლად დავალების, მინდობის თუ ჩვეულებრივი სახელშეკრულებო დათქმების გამოყენება ტოვებს უამრავ სამართლებრივ რისკს, მათ შორის: პრობლემებს ქონების გადამცემი პირის წინააღმდეგ აღსრულების ნაწილში, გადაცემული ქონების მესამე კეთილსინდისიერ პირზე გასხვისების გამო. აღნიშნული საფრთხეები თან სდევს ზემოთ აღწერილ თითოეულ შემთხვევას - პირმა შესაძლოა მის საკუთრებად აღრიცხული ქონება უბ-

რალოდ აღარ განკარგოს ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების შესაბამისად და, მათ შორის, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების/აკრძალებების დარღვევით გაასხვისოს ის კეთილსინდისიერ მესამე პირზე.

ამდენად, ზემოთ აღწერილი გადაწყვეტის გზები ხელშეკრულების მხარეებს ვერ იცავს იმ სტანდარტით, რომლითაც დაცული უნდა იყოს ნამდვილი გარიგების კეთილსინდისიერი მხარე. აღნიშნულ შემთხვევაში, პრობლემას არ წარმოადგენს შერჩეული სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირება (დავალემა, მინდობა და სხვა). საქმე იმაშია, რომ სატრასტო ურთიერთობისათვის მახასიათებელი მოტივაციების ქონისას მესაკუთრეს არ უნდა უწევდეს საკუთრების გადაცემა დავალების, მინდობის თუ მხარეთა შორის ტრასტის ალტერნატივად მოფიქრებული სხვა ხელშეკრულების საფუძველზე. სატრასტო ურთიერთობის დამყარებისათვის ასეთი შეთანხმებების გამოყენება იმანენტური, ისეთი თავისთავადი რისკის მატარებელია, რომელთა პრევენცია და დაზღვევაც მხოლოდ ტრასტის ინსტიტუტს შეუძლია.

ამდენად, ცალსახაა დასახელებული პრობლემის, საკანონმდებლო სიცარიელის ამოვსების საჭიროება, ქართულ სამართალში ტრასტების იმპლემენტაციის მეშვეობით. სტატიის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული გადაწყვეტის სისწორისა და მიზანშეწონილობის მტკიცება. სტატია დეტალურად აიდეენტიფიცირებს ტრასტის ქართულ სამართალში იმპლემენტაციის მეთოდებსა და საჭირო ნაბიჯებს.

აღნიშნულისათვის, სტატიაში ვრცლად არის აღწერილი ტრასტის ინსტიტუტის არსი, ძირითადი მახასიათებლები და მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი სერვისები. ამ უკანასკნელის აღწერა კიდევ უფრო ცალსახად ამტკიცებს, რომ სწორედ ტრასტების მეშვეობით ხდება შესაძლებელი, მათ შორის, ზემოთ აღწერილი პრობლემური საკითხების გადაჭრა. რამდენადაც სტატიის ძირითადი მიზანი ტრასტის ინსტიტუტის ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შესაძლებლობის ანალიზია და არა - ზოგადად ტრასტის ინსტიტუტის აღწერა/დახა-

სიათება, ტრასტის ინსტიტუტის არსის, ისტორიისა და თანამედროვეობაში გამოყენების ფორმების თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ აღნიშნული მიზნისათვის საჭირო მოცულობით არის დამუშავებული.

თავი I. ტრასტის არსი და მისი ძირითადი მახასიათებლები

1.1. ტრასტის ინსტიტუტის არსი

1.1.1. ისტორიული რაკურსი

1.1.1.1. ზოგადი ისტორიული მიმოხილვა

„ტრასტი“ ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია⁵. ტრასტის მნიშვნელოვნებას ლაკონურად, მაგრამ ამავდროულად ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის ისტორიკოსისა და იურისტის, Frederic William Maitland-ის ფართოდ გავრცელებული შეფასება,⁶ რომლის მიხედვითაც, „საუკუნიდან საუკუნემდე ტრასტის იდეის განვითარება ინგლისელების ყველაზე დიდებული და გამორჩეული კონტრიბუციაა იურიპრუდენციის დარგში“. ნაწილობრივ პასუხს იმაზე, თუ რამ განაპირობა ამგვარი ამბიციური შეფასების მისადაგება სწორედ ტრასტის ინსტიტუტისათვის, ტრასტების წარმოშობის, განვითარებისა და მათი შემდგომი გავრცელების ისტორიიდან ვიღებთ. ამასთან, ტრასტის ინსტიტუტის ჯეროვანი დახასიათებაც გამორიცხულია მისი წარმოშობის წინაპირობებისა და

თავდაპირველი ისტორიული შინაარსის გაანალიზების გარეშე - ტრასტის, როგორც სამართლებრივი კონსტრუქტის ანმეოს გასააზრებლად აუცილებელია იმ გზის შინაარსობრივი განხილვა, რაც ურთიერთობის ამ ნოვაციურმა ფორმამ შექმნის მომენტიდან დღემდე, ე.ი. ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებად ურთიერთობად ქცევამდე განვლო.

რამდენადაც ქვემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა ტრასტის ისტორიული ბუნების, ძირითადი ფუნქციებისა და მახასიათებლების წარმოჩენას ემსახურება, აქცენტი გაკეთდება ტრასტის ისტორიულ როლსა და ადგილზე ინგლისის სამართალში და სტატია არ შეეხება მთელ რიგ ნაკლებმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს.

ტრასტის ინსტიტუტი კლასიკური ფორმით დასაბამს იღებს ინგლისიდან, კერძოდ, XIV საუკუნიდან, როგორც **სამართლიანობის სამართლის (law of equity) ნაწილი**⁷. თუმცა, ყურადღებას მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ მანამდე საკუთრების მინდობის მსგავსი კონსტრუქციები არსებობდა **ეგვიპტესა და იაპონიაშიც** (ძვ.წ. 500 წ.).⁸ მოგვიანებით (ა.წ. I-III სს.), თანამედროვე ტრასტის კიდევ უფრო მეტად მისგავსებული კონსტრუქტი გამოჩნდა **რომის სამართალშიც**⁹ - ფიდეიკომისის (*fideicommissa*)¹⁰ სახით¹¹.

ფიდეიკომისი (*fides* - ნდობა, *committere* - შესრულება) წარმოადგენდა მამკვიდრებლის მიერ გამოვლენილ იმგვარ ნებას, რომლითაც ანდერძი ფორმალურად მემკვიდრედ ასახელებდა ერთ პირს, თუმცა - მისთვის მიცემული ინსტრუქცი-

⁵ გველესიანი ი., „საკუთრების მინდობასთან“ დაკავშირებული ტერმინები ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში („საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობისა“ და „მონტანას კოდექსის“ მიხედვით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი", N3, ნ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 71.

⁶ Maitland F. V., *Equity* (2nd (Brunyate) edition), Cambridge, 1936, 23, წიგნიდან Graham M., *Trusts Law* (4th edition), Cambridge, 2005, 1.

⁷ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5.

⁸ Johannes Van Blerk N., *Aspects of Succession Law in Ancient Egypt with Specific Reference to Testamentary Dispositions*, 2017, 171; გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5.

⁹ Riggsby A., *Roman Law and the Legal World of the Romans*, Cambridge, 2010, 219; STEP, *supra* რეფერენსი 2, 7.

¹⁰ Graham M., *Trusts Law* (5th edition), Cambridge, 2009, 37. იხ. ასევე Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 267.

¹¹ Macnair M., *Development of Uses and Trusts: Contract or Property, and European Influences and Images*, 2016, 319; იხ. ასევე Macnair M., *supra* რეფერენსი 11, 324; იხ. ასევე Paul J. du P., Ando C., Tuori K., *the Oxford Handbook of Roman Law and Society*, Oxford, 2016, 258.

ების (დავალების) მეშვეობით, რეალურ ბენეფიციარად განსაზღვრავდა სხვას¹². ამდენად, ფიდუკომისი ნაშრომადგენდა ანდერძის ერთგვარ დანამატს, დამატებით შესაძლო მექანიზმს¹³. აღნიშნული ურთიერთობის აღმწერ ტერმინად დასახელებული სიტყვების (*fides* და *committere*) შეერთება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ფიდუკომისის მეშვეობით მამკვიდრებელი ნდობას უცხადებდა დასახელებულ მემკვიდრეს. უფრო ზუსტად, მამკვიდრებელს ჰქონდა რწმენა, რომ მემკვიდრე (*fiduciaries*) მისთვის ფიდუკომისით დაკისრებულ არაფორმალურ ვალდებულებებს ჯეროვნად შეასრულებდა¹⁴.

მამკვიდრებელი მემკვიდრეს ქონებას აკუთვნებდა იმ დათქმით/ვალდებულებით, რომ მას ანდერძით განსაზღვრული პირისათვის (ბენეფიციარისათვის - *fiduciarius*, მაგალითისათვის - მონა¹⁵) უნდა გადაეცა ქონება ან უნდა მიენიჭებინა მისთვის ქონებით სარგებლობის ან/და ქონებიდან სარგებლობის მიღების უფლება, მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე ან მოგვიანებით, გარკვეული მოვლენის დადგომის შემთხვევაში (მაგ: მემკვიდრის გარდაცვალების ან ხელახალი ქორწინებისას¹⁶)¹⁷. იგივე შინაარსის ვალდებულება შესაძლოა განსაზღვრულიყო ბენეფიციარისათვისაც¹⁸. ამდენად, ფიდუკომისით შესაძლებელი იყო შექმნილიყო სამომავლო/შესაძლო მემკვიდრეთა ერთგვარი ჯაჭვი, ქონების შემდგომ რგოლზე გადასასვლელად კონკრეტული პირობების დათქმით¹⁹.

ფიდუკომისის გამოყენება ძირითად, თუმცა - არაერთადერთ, მიზნად ისახავდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის გვერდის ავლას²⁰. კერძოდ:

პირველი შესაძლო შემზღუდველი ფაქტორი იყო შესაძლო მემკვიდრის სტატუსი. მამკვიდრებელს ქონების გადაცემის ან მისით სარგებლობის უფლების მინიჭება შეეძლო მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთა მემკვიდრედ დასახელება აკრძალული არ იყო²¹ - ე.ი. პირებისათვის, რომელთაც გააჩნდათ „პასიური“ მემკვიდრეობის უფლება (*testamenti factio passiva*)²². ამ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდნენ, მათ შორის, განდევნილი დამნაშავეები, უცხოელები, განუსაზღვრელი პირები (ჩანასახი და გაერთიანებული/კორპორაციები²³) და ასევე - ქალები, თუ ისინი მიეკუთვნებოდნენ მოქალაქეთა ყველაზე მდიდარ ქონებრივ ცენზს²⁴.

მეორე ხელშემშლელ აკრძალვად სახელდება ანდერძის მიღების შეუძლებლობა, ე.ი. *ius capiendi*-ის არარსებობა²⁵. კერძოდ, არსებობდნენ ისეთი პირები, რომელთა მემკვიდრედ დასახელებაც შესაძლებელი იყო, თუმცა - მოკლებულნი იყვნენ ნაანდერძალი ქონების მიღების შესაძლებლობას. მაგალითისათვის, მონებიც შესაძლოა დასახელებულიყვნენ მემკვიდრედ, თუმცა - სამკვიდროს მიღება მხოლოდ მონობიდან გათავისუფლების შემთხვევაში შეეძლოთ²⁶, ამასთან, მათ მოპოვებული უნდა ჰქონოდათ რომის მოქალაქეობა (*Junian Latin*)²⁷. ასეთ პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ქონების მიღება, თუ მოქალაქეობას მოიპოვებდნენ ანდერძის მიღებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. სწორედ ამიტომ, ფიდუკომისის ფარგლებში შესაძლოა მემკვიდრეს დავალებოდა, მათ შორის, მონის გათავისუფლება²⁸. იმავე შინაარსის შეზღუდვა მოქმედებდა დაუქორწინებელ პირებზეც (კაცები - 25-დან 60 წლამდე და ქალები - 20-დან 50 წლამდე). რაც

¹² Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 267.

¹³ Macnair M., *supra* რეფერენსი 11, 317.

¹⁴ Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 162.

¹⁵ Buckland W. W., *The Roman Law of Slavery: The Condition of the Slave in Private Law from Augustus to Justinian*, New York, 2010, 15.

¹⁶ Mousourakis G., *Roman Law and the Origins of the Civil Law Tradition*, Switzerland, 153.

¹⁷ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11.

¹⁸ Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 162.

¹⁹ Borkowski A., *Textbook on Roman law* (6th edition), Oxford, 2020, 244.

²⁰ Mousourakis G., *supra* რეფერენსი 16. იხ. ასევე Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 245.

²¹ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 504.

²² Johnston D., *Roman Law in Context*, Cambridge, 2004, 48.

²³ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 502-503.

²⁴ Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 219.

²⁵ Buckland W. W., *supra* რეფერენსი 15, 138, 275, 330.

²⁶ Buckland W. W., *supra* რეფერენსი 15, 145.

²⁷ Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 100.

²⁸ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 410.

შეეხება დაქორწინებულ, თუმცა - უშვილო პირებს, მათ მიკუთვნებული ქონების მხოლოდ ნახევრის დასაკუთრება შეეძლოთ (არაუმეტეს მემკვიდრეობის 1/10-ისა)²⁹.

კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის გვერდის ავლის გარდა, ფიდეიკომისის მეშვეობით **მამკვიდრებელს ასევე შეეძლო მემკვიდრის გარდაცვალების შემდგომ მისი ქონების მიმღებ შესაძლო პირებთან დაკავშირებით აკრძალვების განსაზღვრა**³⁰. კერძოდ, მამკვიდრებელს შეეძლო ანდერძში ფიდეიკომისის სახით მიეთითებინა, რომ მემკვიდრის გარდაცვალების შემდგომ მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრისათვის გადაცემული ქონება არ უნდა გადასცემოდა კონკრეტულ პირებს (მაგალითად - მემკვიდრის ძმებს, რადგან მათ ზიანი მიაყენეს მამკვიდრებელს სიცოცხლეში ან სხვა)³¹.

ამდენად, მამკვიდრებლები ფიდეიკომისის იყენებდნენ შემდეგი მოტივებით:

I. მემკვიდრის ვინაობასთან დაკავშირებული შეზღუდვებისთვის გვერდის ასავლელად;

II. ქონებაზე კონტროლის შესანარჩუნებლად, მემკვიდრეობისთვის ქონების განაწილების შემდგომაც (მაგ: მამკვიდრებლის მიერ ცოლისთვის გაკეთებული დათქმა, რომ მემკვიდრის (ცოლის) გარდაცვალების შემდგომ ქონება უნდა გადასცემოდა მათ საერთო შვილს)³².

თავდაპირველად, რომის რესპუბლიკის პერიოდში, ფიდეიკომისის არ გააჩნდა სამართლებრივად მზოქავი ძალა³³ და ემყარებოდა მამკვიდრებლის ნდობას სამკვიდროს მიმღები პირის მიმართ³⁴. იურიდიული ძალა ფიდეიკომისმა მხოლოდ იმპერატორ ავგუსტუსის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიძინა³⁵ - მემკვიდრე ვერ მიიღებდა სამკვიდროს, თუ ჯეროვნად არ შეასრულებდა ფიდეიკომისით დაკისრებულ ვალდებულებებს³⁶, ჯეროვნად³⁷.

თანამედროვე ტრასტისა და აღწერილ კონსტრუქტს შორის ძირითად განსხვავებებად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტორები:

1. თანამედროვე ტრასტის გამოყენების უმთავრესი მოტივი მემკვიდრეობითი სამართლის შეზღუდვებისათვის გვერდის ავლა არ არის³⁸.
2. ფიდეიკომისი მხოლოდ მამკვიდრებლის, პარალელისათვის - ტრასტის დამფუძნებლის გარდაცვალების შემდგომ მოქმედებდა³⁹, თანამედროვე ტრასტების უმეტესობა კი სწორედ ტრასტის დამფუძნებლის სიცოცხლეში იწყებს და განაგრძობს მოქმედებას.
3. დღესდღეობით, ტრასტების მმართველები, როგორც წესი, სპეციალიზებული ცოდნის მქონე სუბიექტები (მათ შორის, იურიდიული პირები) არიან, რომელთათვისაც ტრასტის მართვა კომერციული საქმიანობაა⁴⁰. აღნიშნულისგან განსხვავებით, ძველ რომში ტრასტის მმართველად განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ფიზიკური პირი, მემკვიდრე ინიშნებოდა ხოლმე.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ რომის სამართალში ტრასტის საწყისი ფორმა თანამედროვე ტრასტებისგან განსხვავებული მოტივაციითა და მიზნებით აღმოცენდა⁴¹, მათ შინაარსს შორის სხვაობაც თვალშისაცემია.

ტრასტის წინამორბედი ურთიერთობების ამ ქვეთავში წარმოდგენილი აღწერა და ტრასტის თანამედროვე შინაარსთან მისი შედარება საშუალებას მოგვცემს, შემდგომ თავებში უფრო მარტივად გავმიჯნოთ ტრასტის ინსტიტუტი სხვა ახლოს მდგომი ურთიერთობებისაგან და საბო-

²⁹ Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 220.

³⁰ Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 160.

³¹ Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 246.

³² Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 162.

³³ Mousourakis G., *supra* რეფერენსი 16. იხ. ასევე Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 504.

³⁴ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 259.

³⁵ Macnair M., *supra* რეფერენსი 11, 317.

³⁶ Mousourakis G., *supra* რეფერენსი 16.

³⁷ Borkowski A., *supra* რეფერენსი 19, 247; იხ. ასევე Riggsby A., *supra* რეფერენსი 9, 161; იხ. ასევე Johnston D., *supra* რეფერენსი 22, 121.

³⁸ Maitland F. V., *Equity* (2nd (Brunyate) edition), *Cambridge*, 1936, 23, წიგნიდან Graham M., *Trusts Law* (4th edition), *Cambridge*, 2005, 11.

³⁹ Johnston D., *supra* რეფერენსი 22, 47.

⁴⁰ Beyer W. G., Hanft K. J., *Wills, Trusts, and Estates for Legal Assistants* (5th edition), New York, 2015, 298.

⁴¹ Paul J. du P., *supra* რეფერენსი 11, 504.

ლოოდ, შედეგად, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა/აღქმა შეგვექმნას ტრასტის ინსტიტუტის შინაარსთან დაკავშირებით.

1.1.1.2. ტრასტის წარმოშობა ინგლისში

მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი ინგლისში მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა⁴². ტრასტების შუასაუკუნეობრივ წინამორბედს მოიხსენიებდნენ არა - ტრასტის, არამედ - „სარგებლობის“ („use“ (ლათინური სიტყვათშეთანხმების - „ad opus“, დამახინჯებული ვერსია⁴³)) ტერმინით⁴⁴. ამდენად, ინგლისში სატრასტო ურთიერთობების შინაარსის მქონე თავდაპირველი პრეცედენტები ატარებდა განსხვავებულ სახელწოდებას და გამოიყენებოდა **მხოლოდ მინასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში**, უძრავი ქონების „ნდობის პირისათვის“ (feoffee to uses) გადაცემისას მესამე პირთა სასარგებლოდ⁴⁵. Feoffee ინგლისის სამართალში სწორედ ტრასტის მმართველის აღმწერ თავდაპირველ ტერმინად გვევლინება, ბენეფიციარებს კი - „cestuis que use“ ან პირდაპირ trust-ს უწოდებდნენ⁴⁶.

სატრასტო ურთიერთობის შინაარსმა ცალსახა იურიდიული მნიშვნელობა შუა საუკუნეებში შეიძინა. აღნიშნულ გარიგებას პირები უძრავი ქონების საკუთრებაში ქონასა და გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მომდინარე რისკებისა და ვალდებულებების გამო იყენებდნენ⁴⁷. კერძოდ, მესაკუთრეთა ძირითადი მოტივაცია იყო: **1. დაეცვათ მიწა ფეოდალური გადასახადის გარკვეული ფორმებისგან და 2. დაეცვათ საკუთრება კრედიტორებისაგან**⁴⁸.

ცალკე მიზეზად სახელდება ქონების მემკვიდრეთათვის შესანარჩუნებლად სახელმწიფო კონფისკაციისგან თავის არიდება⁴⁹. როგორც ელისაბედის ხანაში უდიდეს იურისტად დასახელებული Edward Coke უთითებს, „სარგებლობის“ გამოყენებას ორი ძირითადი საფუძველი განაპირობებდა: **შიში და თაღლითობა**. შიში მთავარი მოტივატორი იყო უსიამოვნებებისა და სამოქალაქო ომების დროს, როდესაც მესაკუთრეებს მათი ქონების შესაძლო დაკარგვა/კონფისკაცია აღელვებდათ. ხოლო თაღლითური ქვენაგრძნობა დომინირებდა მაშინ, როდესაც მესაკუთრის მიზანი იყო კრედიტორთა ხელშეშლა მისი ქონების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებაში ან ქონების შესაძლო კონფისკაციაში⁵⁰.

„სარგებლობის“ რეალურ ცხოვრებაში გამოჩენას არსებითად მაინც **ჯვაროსნულ ლაშქრობებს**⁵¹, კერძოდ - ომში გამგზავრებული მებრძოლების მიერ საკუთარი ქონების სხვა პირთათვის მინდობის შემთხვევებს უკავშირებენ⁵². თუმცა, ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობამდეც კი (1066 წელი) არც თუ ისე იშვიათად ფიქსირდებოდა მიწის მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების სხვა პირისათვის განსაზღვრული ვადითა და მიზნით/დათქმით გადაცემის შემთხვევები⁵³. XIII საუკუნის დასაწყისიდან უკვე ფეხი მოიკიდა მიწის დროში შეუზღუდავად, მუდმივი (და არა - დროებითი, როგორც ეს ზემოთ იყო ნახსენები) დათქმით გადაცემის პრაქტიკამ⁵⁴. სხვადასხვა მიზეზისდა გამო, მიწის მესაკუთრეები საერთო სამართლის საფუძველზე მიწას გადასცემდნენ „ნდობის პირებს“ (feoffee to uses, აქ და შემდგომ, შინაარსობრივად - ტრასტის

⁴² გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5.

⁴³ Pollock F., Maitland F.V., *The History of English Law before the Time of Edward I* (2nd edition), Vol.2, Indianapolis, 1898, 228.

⁴⁴ Graham M., *Trusts Law* (4th edition), Cambridge, 2005, 34.

⁴⁵ Pettit P., *Equity and the Law of Trust* (12th edition), Oxford, 2012, 12. იხ. ასევე Mitchell Ch., Hayton D.J., Hayton and Mitchell *Commentary and Cases on the Law of Trusts and Equitable Remedies* (13th edition), London, 2010, 8.

⁴⁶ Ramjohn M., *Unlocking Equity and Trusts* (5th edition), Oxford, 2015, 4. იხ. ასევე Edwards R., Stockwell N., *Trusts and Equity* (9th edition), Harlow, 2009, 6.

⁴⁷ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 35.

⁴⁸ Graham M., *supra* რეფერენსი 44, 33.

⁴⁹ Davies S. P., Virgo G., *Equity & Trusts: Text, Cases, and Materials*, Oxford, 2013, 24.

⁵⁰ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38-39.

⁵¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46.

⁵² Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38.

⁵³ Hudson A., *Understanding Equity & Trusts*, London, 2001, 13.

⁵⁴ Pollock F., *supra* რეფერენსი 43.

მმართველი), იმ მითითებით, რომ „სარგებლობა“ უნდა განხორციელებულიყო სხვა პირთათვის.⁵⁵

ჯამში, „სარგებლობის“ გამოყენების ქეისები შემდეგ ოთხ ძირითად შემთხვევაში/მოტივში შეგვიძლია გავაერთიანოთ:

1. **რაინდები** - ლაშქრობაში მონაწილე მეომრები თავიანთ საკუთრებას სხვა პირებს გადასცემდნენ მფლობელობაში, იმ მოტივითა და დათქმით, რომ საკუთრებიდან სარგებელი მათ ოჯახებს უნდა მიეღო.⁵⁶ მმართველს ევალეობდა სამფლობელოს მოვლა-პატრონობა და ფეოდალური გადასახადების გადახდა.⁵⁷
2. **ფრანცისკელი ბერები** - ფრანცისკელი ბერების მიერ დადებული უქონლობის ფიცის მიხედვით, მათ აკრძალული ჰქონდათ საკუთრების ქონა. სწორედ ამიტომ, ბერები თავიანთ საკუთრებას მესამე პირებს გადასცემდნენ „სარგებლობაში“ იმ მონასტრის სასარგებლოდ, რომელშიც უნდა ემსახურათ. ამგვარად, ბერები მაინც იღებდნენ სარგებელს მათი საკუთრებიდან, თუმცა, ამავდროულად, არ არღვევდნენ ფიცს.⁵⁸
3. ყველაზე მნიშვნელოვანი - საკუთრების ფლობის ფეოდალური სისტემიდან გამომწვეული **გადასახადებისთვის თავის არიდება**.⁵⁹ ინგლისში საკუთრების ინსტიტუტი ფეოდალურ სისტემას ემყარებოდა⁶⁰ - ყველა მინა ეკუთვნოდა მეფეს, თუმცა ამავდროულად მოიაზრებოდა ღორღების დაქვემდებარებაში (სისტემა დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ არავინ იყო მინის აბსოლუტური მფლობელი, გარდა მეფისა). ღორღები მინას იჯარით გასცემდნენ მათ მსახურებზე, გარკვეული ვალდებულებებისა და გადასახდელების, მათ შორის, მემკვიდრისათვის საკუთრების გადაცემისას

სავალდებულო გადასახდელის სანაცვლოდ. კერძოდ: მოიჯარის გარდაცვალებისას, მის მიერ იჯარით აღებული მიწის მემკვიდრეობით გადაცემისას, წარმოიშობოდა ღორღისათვის ფულადი გადასახდელის გადახდის ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე არასრულწლოვანი ვაჟი იყო, წარმოიშობოდა დამატებითი გადასახადები, ხოლო თუ გარდაცვლილს არ გააჩნდა მემკვიდრე, მინა საერთოდაც უბრუნდებოდა ღორღს⁶¹. აღნიშნული შედეგებისათვის თავის არიდება ხდებოდა სწორედ „სარგებლობით“ - მინის მესამე პირ/ებისათვის გადაცემითა და ბენეფიციარად მემკვიდრის განსაზღვრით.⁶²

„სარგებლობით“ ხდებოდა თავის არიდება მემკვიდრეობასთან დაკავშირებით დადგენილი იმ სავალდებულო წესებისთვისაც, რომლის თანახმადაც **ქონება აუცილებლად უნდა გადასცემოდა უფროს ვაჟს**. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს ეკისრებოდა დამატებითი გადასახდელები.⁶³

4. „სარგებლობამ“ ასევე შესაძლებელი გახდა მამულის ფეოდალური ფლობის (იჯარის) უფლების საიდუმლოდ გადაცემაც. სხვაგვარად, წესით ფეოდალური მამულის ფლობა სხვა პირს საჯარო აქტის მეშვეობით უნდა გადასცემოდა.⁶⁴

„სარგებლობის“ გარიგების შინაარსისა და მისი გამოყენების მოტივების აღწერის პარალელურად, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავრჩეს ამ ურთიერთობის დასარეგულირებლად **სამოსამართლო სამართალში განხორციელებული არსებითი ძვრები და სიახლეები**.

ტრასტის ინსტიტუტის აღწერა შეუძლებელია საკუთრების „სამართლებრივი“ გახლეჩის, დუალიზმის კონცეპტის გაანალიზების გარეშე⁶⁵, რომელიც, თავის მხრივ, ექვითის **სამართლის ქმნილებაა**. ამ პრეზუმფციის გარეშე ვერ

⁵⁵ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 11-12.

⁵⁶ Pettit P., *supra* რეფერენსი 45.

⁵⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46.

⁵⁸ Glister J., Lee J., *Modern Equity* (20th edition), London, 2015, 9.

⁵⁹ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38.

⁶⁰ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5, 72.

⁶¹ Glister J., *supra* რეფერენსი 58.

⁶² Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46.

⁶³ Hepburn S., *Principles of Equity and Trusts* (2nd edition), London, 2001, 261.

⁶⁴ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38.

⁶⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 5. იხ. ასევე რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

აიხსნება, თუ რა რაციონალითა და საფუძვლით ანაწილებს ტრასტების სამართალი უფლებებსა და მოვალეობს სატრასტო გარიგების მხარეებს შორის.

რამდენადაც, ტრასტის ინსტიტუტმა სრულყოფილი სახე მიიღო ისე, როგორც ექვითის (სამართლიანობის) სამართლის ნაწილმა⁶⁶, ტრასტის ინსტიტუტის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა, ისევე როგორც მისი რაობისა და მიზნობრიობის განხილვა, არასრულყოფილი იქნებოდა თავად ექვითის, როგორც სამართლის „დამოუკიდებელი შრის“⁶⁷ აღწერისა და გაანალიზების გარეშე - ექვითის სამართლის წარმოშობის გამომწვევი მიზეზებისა და ტრასტების სამართალზე მისი ზეგავლენის განხილვის გარეშე ვერ შეიქმნება სრული სურათი ტრასტების ბუნებაზე. ხშირად სწორედ ექვითის სამართალი და მისი მეშვეობით შემოღებული სპეციალური კონცეფციები და ცნებები წარმოადგენს ძირითად განსხვავებასა და წინააღმდეგობას ტრასტების სამართლის სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში იმპლემენტაციისათვის⁶⁸. შესაბამისად, ამ ნაწილის აღწერა და მიმოხილვა აუცილებელია სტატიის შემდგომ თავებში მსჯელობის სრულყოფილი განვითარებისათვის.

1.1.1.3. ექვითის სამართალი

რა არის ექვითი და რატომ აღიარებს ინგლისური სამართლის სისტემა ექვითის სახელით ცნობილ წესთა ერთობლიობას? ეს კითხვები ორ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვად სახელდება უნივერსიტეტებში ინგლისური სამართლის შესწავლის პროცესში⁶⁹. ამავდროულად, კურსდამთავრებულთა უმეტესობისათვის ექვითის სამართალი ერთ-ერთ ყველაზე რთულად გასაგებ საკითხად სახელდება⁷⁰.

ერთი მხრივ, სიტყვა „ექვითის“ განსხვავებული მნიშვნელობები⁷¹ და მეორე მხრივ, ექვითის სამართლის არასტანდარტული ხასიათი მის გაგებას შედარებით აბრკოლებს. ამ სირთულეების თავიდან ასარიდებლად, აღნიშნულ ქვეთავში ექვითის სამართლის მნიშვნელობა და დანიშნულება ექვითისთან დაკავშირებული, თუმცა სტატიისათვის არარელევანტური ინსტიტუტებისა თუ კონცეპტებისაგან განყენებულად განიმარტება.

სიტყვა „ექვითის“ საწყისი მნიშვნელობა ლათინური ენიდან, კერძოდ, სიტყვიდან - *aequum* მოდის, რაც ფიზიკურ ტოლობასა და თანაბრობას ნიშნავდა⁷². უფრო ზუსტად, ამ ლათინური ტერმინის შინაარსი აღნიშნავდა **ბალანსსა და ნონასწორობას, ექვილიბრიუმს**. ექვითის პირველწყაროს აღნიშნული გაგება დღესაც გამოიყენება ექვითის ეტიკურ კონტექსტში აღსაწერად⁷³ - ამ კონტექსტში ექვითი აღიქმება სამართლის იმ ნაწილად, რომელიც **სამართლის ნორმებში ეტიკური ღირებულებების ასახვასა და განონასწორობას ისახავს მიზნად**⁷⁴. კერძოდ, ექვითი მოითხოვს, რომ პირის ქცევა ნეიტრალური, ე.ი. სამართლიანი და კეთილსინდისიერი იყოს, იმდენად, რომ თავისი ქმედებებით არ არღვევდეს საყოველთაო ბალანსს⁷⁵. „ექვითის“ ეტიმოლოგიის ამ მოკლე აღწერიდანაც ცხადი ხდება, რომ ის პირის სუბიექტურ მხარეს, მის შინაგან განწყობებსა და დამოკიდებულებას მიემართება.

ექვითის სამართლის თაობაზე ისტორიულ წერილში გაკეთებული შეფასების მიხედვით, ის სამართლის დამოუკიდებელი ნაწილია, რომელიც წარმოიშვა და მოქმედებდა ინგლისში, ლორდ-კანცლერის სასამართლოში⁷⁶, რეფორმატორული შინაარსის „საპროცესო აქტის“ ამოქმედებამდე და მიზნად ისახავდა ჩვეულებ-

⁶⁶ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 12.

⁶⁷ Duddington J., *Essentials of Equity and Trust Law*, Harlow, 2006, 200.

⁶⁸ Panesar S., *Equity and Trusts* (3rd edition), Harlow, 2017, 5; იხ. ასევე Zhang R., *A Better Understanding of Dual Ownership of Trust Property and Its Introduction in China through Comparative Studies*, Montreal, 2014, 58.

⁶⁹ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 4.

⁷⁰ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, preface, XVI.

⁷¹ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 7. იხ. ასევე Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 8.

⁷² Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 5.

⁷³ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 1.

⁷⁴ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 8.

⁷⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 5.

⁷⁶ Hudson A., *Equity and Trusts* (8th edition), Oxford, 2015, 5.

ბიტი სამართლის „სიცარიელებისა“ და ხარვეზების შევსება/გამოსწორებას⁷⁷. სხვა განმარტებით: „თუ სამართალს განვმარტავდით, როგორც სამართლიანობის დასამკვიდრებლად სასამართლოებში აღსრულებად წესებს, ექვითი აღინერგებოდა სამართლის იმ ნაწილად, რომელიც ინგლისში რეფორმატორული ხასიათის „საპროცესო აქტის“ ძალაში შესვლამდე (1873/1875 წლები) ექსკლუზიურად აღსრულებოდა მხოლოდ და მხოლოდ ლორდკანცლერის სასამართლოში (Court of Chancery, ექვითის სასამართლო) და არა - ჩვეულებითი სამართლის სხვა სასამართლოებში (ზოგადსამოქალაქო სარჩელების სასამართლო - Court of Common Pleas, სახაზინო სასამართლო - Court of Exchequer Chamber და სამეფო ტახტის სასამართლო - Court of King's Bench)⁷⁸.

რაც შეეხება უშუალოდ ექვითის შინაარსს, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული განმარტების მიხედვით, ექვითი ის საშუალებაა, რომლითაც სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდების პროცესში მოქმედი განსაზღვრულობის მიზანი ბალანსდება არანაკლებ მნიშვნელოვანი საჭიროებით - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგეს სამართლიანი შედეგი⁷⁹. სხვა განმარტებით, ექვითი ლორდკანცლერის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პრინციპების ისეთი ერთობლიობაა, რომელიც ჩვეულებითი სამართლის შემავსებელ და უპირატეს ნაწილს წარმოადგენს⁸⁰. ექვითი სამართლის ის ნაწილია, რომელიც ავსებს ჩვეულებით სამართალს⁸¹, უპირატესია მასზე და გამოიყენება ისეთ გარემოებებში, როდესაც პირის ქცევა არაკეთილსინდისიერია⁸². ლორდკანცლერის სასამართლო არსებითად მორალურ პრინციპებს ეფუძნებოდა - იმ მოტივით,

რომ აღმოეფხვრა ის უსამართლობები, რომლებთან გამკლავებაც პრეცედენტული სამართლის სასამართლოების შესაძლებლობებს აღემატებოდა⁸³. აღნიშნული განმარტებები გარკვეულწილად ავსებს ერთმანეთს, რამდენადაც: ექვითი მართლაც სამართლის მიერ სამართლიანი შედეგის დადგომას ემსახურება, რისთვისაც აუცილებელია, რომ მისი გამოყენების საჭიროების შემთხვევებში, ე.ი. მაშინ როდესაც დაწერილი სამართალი აშკარად უსამართლო შედეგს ადგენს, ექვითი უპირატესი იყოს ნორმატიულ მოცემულობაზე. თუმცა, აქვე საჭიროა დაზუსტება, რომ ექვითის წესები/განსჯადობა თავისთავად არ ეწინააღმდეგება პრეცედენტულ სამართალს. უფრო მართებულია ითქვას, რომ ის უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას იქ, სადაც პრეცედენტული სასამართლო შესაძლოა უსამართლო აღმოჩნდეს⁸⁴.

იმის უკეთ განსამარტად, თუ რა განაპირობებს მთელი რიგი სიტუაციების მოწესრიგებას ექვითისა და მასთან დაკავშირებული დოქტრინების სუბსუმციით, ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ 400 წლის ინტერვალით გაკეთებული შემდეგი ორი განმარტება:

პირველი განმარტება ეკუთვნის ლორდ ელსმირს, საქმეზე Earl of Oxford's Case (1615)⁸⁵: „ადამიანის ქმედებები იმდენად მრავალფეროვანი და უსასრულოა, რომ შეუძლებელია ისეთი შინაარსის ზოგადი კანონების შემუშავება, რომლებიც სათანადოდ მიესადაგებოდა ყველა კონკრეტულ შემთხვევას და რეგულირების მიღმა არ დატოვებდა რომელიმე ვითარებას. კანცლერის სასამართლოს (სასამართლო, რომელიც სამართალშეფარდებისას იყენებდა ექვითის სამართალს) მიზანია: განსაჯოს

⁷⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 569.

⁷⁸ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 2.

⁷⁹ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 4; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 1; იხ. ასევე Duddington J., *Equity & Trusts, Questions and Answers* (3rd edition), Harlow, 2014, Question 2, 4.

⁸⁰ Turner C., Bray J., *Equity & Trusts – Key Facts, Key Cases*, Oxford, 2014, 4. იხ. ასევე Sumner Maine H., *Ancient Law*, 1905, New York, 44, ნიგნიდან Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 8.

⁸¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 14.

⁸² Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 4.

⁸³ Maitland F. V., *Equity* (2nd (Brunyate) edition), Cambridge, 1936, 18.

⁸⁴ WriteWork.com, WriteWork contributors, Differences between Common Law and Equity, <<https://www.writework.com/essay/differences-between-common-law-and-equity>>, [17.05.2022].

⁸⁵ Court of Chancery, Earl of Oxford's Case, 6.

პირები თაღლითობის, ნდობის გაცრუების, ამორალური ან უსამართლო ქცევისა და ჩაგვრის გამო და, ასევე, შეარბილოს კანონის სიხისტე და მოუქნელობა⁸⁶. სხვა კიდევ უფრო ზუსტი განაცხადით: „ექვითი არ არის სამართლის ნაწილი, არამედ, ის არის **ზნეობრივი სათნოება, რომელიც ამცირებს და აკორექტირებს კანონის სიმკაცრესა და სიხისტეს⁸⁷ და წარმოადგენს უნივერსალურ სიმართლეს⁸⁸**“.

იგივე იდეა, რომ ექვითი არსებითად პირის სუბიექტურ მხარეზე, მის სამართლიან ქცევაზეა ორიენტირებული, ასევე ჟღერდება საქმეზე *Westdeutsche v Islington London Borough Council*⁸⁹. ამ საქმეზე ლორდ ბრაუნ-ვილკინსონის შეფასებით: „ექვითი მოქმედებს კანონიერი ინტერესის მფლობელის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე: ტრასტების შემთხვევაში, ექვითის სამართლით, ფორმალურ მესაკუთრეს (პირი, რომელიც ფლობს *legal title*-ს) ეკისრება ვალდებულება, იმოქმედოს კანონით ან ქონების თავდაპირველი მესაკუთრის მიერ განსაზღვრული იმ დათქმების შესაბამისად, რომლებიც მას ქონების გადაცემისას განესაზღვრა“⁹⁰.

ექვითის სამართლის დანიშნულებისა და მოქმედების უფრო კონკრეტული და პრაქტიკული განმარტება მისი ისტორიული წარმოშობა-/ჩამოყალიბებისა და სატრასტო ურთიერთობებისადმი შემუშავებული მიდგომის აღწერით შეგვიძლია. კერძოდ:

ექვითის სამართლის წარმოშობა განაპირობა XIII საუკუნეში ჩვეულებით სამართალში გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა⁹¹ - **ჩვეულებითი სამართლის სასამართლოს შებოჭილობამ და მისი იძულებითი აღსრულების მექანიზმების შეზღუდულობამ**. მაგალითისათვის, ჩვეულებითი სამართლის სასამართლოები შებოჭილნი

იყვნენ მხოლოდ ფულადი კომპენსაციების განსაზღვრისა და საკუთრების რესტიტუციის მექანიზმებით. ამდენად, ჩვეულებითი სამართლის სასამართლოს არ შესწევდა სამართალდარღვევების საკმაოდ ფართო სპექტრთან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენის უნარი⁹². უფრო ზუსტად: მთელი რიგი შემთხვევების რეგულირებისას ჩვეულებით სამართალს ან საერთოდ არ გააჩნდა აღსრულების მექანიზმები, ან - არსებული მექანიზმები არ იყო მოსარჩელისათვის რელევანტური, რადგანაც ვერ უზრუნველყოფდა მისი ზიანის/უფლების შელახვის კომპენსირებას ან/და შემდგომ პრევენციას⁹³ (ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა მხოლოდ ფულად რესტიტუციას - თანხის დაკისრების შესაძლებლობას⁹⁴ და არა, მაგალითად, გარიგების აღსრულების დავალდებულებას ან/და ქმედების აკრძალვას⁹⁵). დასახელებულის საპირისპიროდ, ექვითის სამართალს შეეძლო გაეუქმებინა დოკუმენტი, ეიძულებინა მხარე, მიენოდებინა კონკრეტული აქტები ან/და ქონება, ასევე შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულების კონკრეტული სახით შესრულება. ექვითის სამართლოებს ასევე შეეძლოთ გამოეცათ დეკლარაციული გადანყვეტილებები და აკრძალვები მხარისათვის⁹⁶.

არანაკლებ პრობლემური იყო ის ფაქტი, რომ სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრულ სარჩელთა სახეების/შინაარსის საფუძველზე⁹⁷. სასამართლო მკაცრად მიჰყვებოდა უკვე დადგენილ რეგულირებებს, რაც ხშირად უსამართლო შედეგებს იწვევდა - სამართალი

⁸⁶ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 4, 11; იხ. ასევე Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 3.

⁸⁷ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 3.

⁸⁸ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 15.

⁸⁹ House of Lords, 1996, *Westdeutsche Landesbank Girozentrale v Islington London Borough Council*, 29.

⁹⁰ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 4.

⁹¹ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 7; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 2.

⁹² WriteWork.com, WriteWork contributors, Differences between Common Law and Equity,

<<https://www.writework.com/essay/differences-between-common-law-and-equity>>, [17.05.2022].

⁹³ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 2; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 5.

⁹⁴ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 5.

⁹⁵ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 7.

⁹⁶ WriteWork.com, WriteWork contributors, Differences between Common Law and Equity, <<https://www.writework.com/essay/differences-between-common-law-and-equity>>, [17.05.2022].

⁹⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 2.

სათანადოდ ვერ პასუხობდა პირის არაკეთილ-სინდისიერ ქცევას⁹⁸.

იმის აღსაწერად, თუ რა ზეგავლენა მოახდინა სამართლის მიმართ ამ უფრო მეტად „თავისუფალმა“ და ბუნებით სამართალზე ორიენტირებულმა მიდგომამ ტრასტებზე, ტრასტებისათვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭებაზე, შეგვიძლია განვიხილოთ სატრასტო ურთიერთობების ზემოთხსენებული ისტორიული წინამორბედის - „სარგებლობის“ (მათ შორის, ჯვაროსანი რაინდების მიერ ლაშქრობაში წასვლის გამო ქონების „სარგებლობით“ გადაცემა) შემთხვევა.

ჩვეულებითი სასამართლოს მიერ „სარგებლობის“ ურთიერთობის შეფასება უსამართლო შედეგებს იძლეოდა და ამ ურთიერთობას სამართლებრივი შინაარსის გარეშე ტოვებდა. სწორედ ჩვეულებითი სამართლის სასამართლოების ამგვარი შეზღუდულობა გახდა ტრასტების სამართლიანად რეგულირების შემაფერხებელი გარემოება. კერძოდ: ჩვეულებით სამართალზე (*Common Law*) დაყრდნობით, **სასამართლო უარს აცხადებდა ბენეფიციართა სასარგებლოდ გაკეთებული იმ დათქმების/პირობების სამართლებრივ აღიარებაზე, რომლებიც ქონების თავდაპირველმა მესაკუთრემ საკუთრების გადაცემისას განუსაზღვრა ახალ მესაკუთრეს**⁹⁹. ამ მიდგომის საფუძველი ის იყო, რომ ჩვეულებითი სასამართლოების მიდგომით, საკუთრების ყოველგვარი გადაცემა ფასდებოდა, როგორც უპირობო გარიგება¹⁰⁰. შედეგად, სატრასტო ურთიერთობების დარეგულირებისას პრეცედენტულ სასამართლოებს არ შეეძლოთ მესაკუთრის რეალური, პირვანდელი ზრახვებისა და მოტივების აღსრულება. საკუთრების უფლების გადაცემის შემდგომ, ახალი მესაკუთრის მიერ მოპოვებული უფლება ით-

ვლებოდა აბსოლუტურად, მაშინაც კი, თუ ადგილი ჰქონდა თაღლითობას¹⁰¹. ამდენად, „ნდობის პირი“ ღირსებისა და კეთილსინდისიერების კონცეპტებით „შეზოჭილი“ მხოლოდ ფორმალურად იყო - მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება არ ჰქონდათ არც თავდაპირველ მესაკუთრეს და არც - ბენეფიციარებს¹⁰². ჩვეულებითი სამართლის მიდგომით, „ნდობის პირები“ ქონების შეუზღუდავ მფლობელებად განიხილებოდნენ და სრულიად უგულებელყოფილი იყო ბენეფიციართა შესაძლო პრეტენზიები და მოთხოვნები¹⁰³.

ის ფაქტი, რომ „ნდობის პირებს“ შეეძლოთ დაუსჯელად უარეყოთ კეთილსინდისიერების, ღირსებისა და სამართლიანობის პრინციპები, ცალსახად უაღრესად უსამართლო იყო. თავის მხრივ, ლორდ-კანცლერის სასამართლო არ იყო შეზღუდული მსგავსი დოგმებით. ჩვეულებითი სამართლის სასამართლოსგან განსხვავებით, ლორდ-კანცლერის სასამართლოს სამართლიანობის დასაცავად შეეძლო გამოსავალი ეპოვნა ნებისმიერ შემთხვევაში¹⁰⁴. ამდენად, ადრეული XV საუკუნიდან ლორდ-კანცლერის სასამართლო უკვე ერეოდა აღნიშნულ ურთიერთობებში - აიძულებდა „ნდობის პირებს“, შეესრულებინათ თავდაპირველი მესაკუთრის მიერ ქონების სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებით ქონების გადაცემისას განსაზღვრული მითითებები/პირობები¹⁰⁵ და ამგვარად აღასრულებდა ბენეფიციართა უფლებებს¹⁰⁶.

ლორდ-კანცლერის სასამართლოს უპირატესობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ის:

1. **იყენებდა გადაწყვეტილების აღსრულებისა და პირის დავალებულების ჩვეულებითი სამართლისათვის უცნობ საშუალებებს**¹⁰⁷. ლორდ-კანცლერის სასამართლოს, გარდა ფულადი კომპენსაციის დაკისრების

⁹⁸ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 10; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 9.

⁹⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 6.

¹⁰⁰ WriteWork.com, WriteWork contributors, Differences between Common Law and Equity, <<https://www.writework.com/essay/differences-between-common-law-and-equity>>, [17.05.2022].

¹⁰¹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 11.

¹⁰² Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 11.

¹⁰³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 6.

¹⁰⁴ WriteWork.com, WriteWork contributors, Differences between Common Law and Equity, <<https://www.writework.com/essay/differences-between-common-law-and-equity>>, [17.05.2022].

¹⁰⁵ Pettit P., *supra* რეფერენსი 45.

¹⁰⁶ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 65.

¹⁰⁷ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 21-22.

სა, შეეძლო გადანაცვლებით ასევე მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულება, ქმედების აკრძალვა, ხელშეკრულების ბათილობა, ხელშეკრულების შინაარსის მხარეთა ნების შესაბამისად შესწორება და პატიმრობა¹⁰⁸. იმ შემთხვევაში, თუ „ნდობის პირები“ უგულებელყოფდნენ ლორდ-კანცლერის ბრძანებას და კვლავაც არ შეასრულებდნენ თავდაპირველი მესაკუთრის დათქმებს, ეს გამოიწვევდა „ნდობის პირების“ დაპატიმრებას და პატიმრობაში დატოვებას მანამ, სანამ ისინი მზაობას არ გამოთქვამდნენ მესაკუთრისგან დაკისრებულ მითითებებთან შესაბამისობაზე¹⁰⁹.

2. მეორე და სტატიისათვის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ლორდ-კანცლერის **სასამართლო „ნდობის პირებს“ (თანამედროვეობაში - ტრასტის მმართველებს) ავალდებულებდა, შეესრულებინათ ქონების სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებით თავდაპირველი მესაკუთრის მიერ დათქმული მითითებები/პირობები**¹¹⁰, ესე იგი აღიარებდა უფლებას, ქონება განკარგულიყო მესაკუთრის დათქმების შესაბამისად, ბენეფიციართა სასარგებლოდ. თანდათან, ბენეფიციარების უფლებები იმდენად ფართოდ იქნა ცნობილი, რომ ჩამოყალიბდა და აღიარებულ იქნა დუალისტური („გახლეჩილი“¹¹¹) საკუთრების კონცეპტი¹¹². კერძოდ: „ნდობის პირი“ აღიქმებოდა მესაკუთრედ ფორმალურად (legal title), ხოლო ბენეფიციარი - ექვითის სამართლის (equitable title) მიხედვით¹¹³. აღნიშნული გამიჯვნა თანამედროვე ტრასტის მოქმედებისა და რეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია¹¹⁴.

უფრო დეტალურად საკუთრების გახლეჩასთან დაკავშირებით: კანონიერი მესაკუთრეობა (legal title) აღნიშნავს ნივთზე საკუთრების ქონას მესამე პირთა წინაშე¹¹⁵ (უფლება ნივთზე - უფლება *in rem*¹¹⁶). ნივთზე კანონიერი მესაკუთრის უფლება ჩვენი სამართლის სისტემის გამოსახედიდან **სანივთო, ანუ აბსოლუტური უფლებად** უნდა მივიჩნიოთ. აბსოლუტური უფლების ძირითადი მახასიათებლის შესაბამისად, აღნიშნული უფლების მატარებლის წინაშე ყველა სუბიექტი ვალდებული პირად გვევლინება¹¹⁷. ნებისმიერი დამრღვევი პირის მიმართ წარმოიშობა სანივთო მოთხოვნა, რომელიც მიმართულია დარღვეული უფლების აღდგენისაკენ¹¹⁸ და მისი აღსრულება შესაძლებელია სასამართლოს მეშვეობით¹¹⁹.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ექვითის სამართლიდან წარმოშობილი ბენეფიციარის უფლება (equitable title) გულისხმობს ნივთზე კანონიერ ინტერესს, მისგან სარგებლის მიღების უფლებას¹²⁰. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული უფლება თავდაპირველად მხოლოდ ექვითის სამართალში და, შესაბამისად, მხოლოდ ლორდ-კანცლერის სასამართლოში იყო აღიარებული¹²¹. მხოლოდ მოგვიანებით, რეფორმატორული შინაარსის „საპროცესო აქტის“ ამოქმედების (1873/75 წლები) შემდგომ გახდა ეს კონცეპტი საზოგადო მაქსიმა ყველა სასამართლოსათვის¹²².

ნივთიდან სარგებლის მიღების უფლება, ჩვენი სამართლის კონტექსტში, ერთი შეხედვით უფრო მეტად შეფარდებით უფლებას ემსგავსება - გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციარის უფლებები/მოთხოვნები ძირითადად უშუალოდ ერთ პირს, ტრასტის მმართველს/ნივთის კანონ-

¹⁰⁸ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 4.

¹⁰⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 6. იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 21.

¹¹⁰ Pettit P., *supra* რეფერენსი 45.

¹¹¹ რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

¹¹² Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 8, 13.

¹¹³ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 245; იხ. ასევე Wendel P., *Wills, Trusts, and Estates* (10th edition), New York, 2018, 45.

¹¹⁴ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 278.

¹¹⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹¹⁶ *Id.* 27.

¹¹⁷ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, 31; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 27.

¹¹⁸ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117, 53.

¹¹⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹²⁰ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 24.

¹²¹ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 7.

¹²² Moffat G., *Trusts Law* (5th edition), Cambridge, 2009, 66.

ნიერ მესაკუთრეს (legal title-ის მფლობელი) მიემართება¹²³. რელატიური უფლებაც ხომ, ძირითადად მხოლოდ განსაზღვრულ პირს უპირისპირდება - როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტს¹²⁴. ანალოგიური შეფასება შესაძლოა გაკეთდეს ინგლისურ სამართალში - ექვითის სამართლის შინაარსიდან გამომდინარე¹²⁵, მისგან წარმოშობილი უფლებები, როგორც წესი მიიჩნევა ადამიანების წინააღმდეგ/წინაშე უფლებებად, უფლებები *in personam*¹²⁶. თუმცა, რამდენადაც ინგლისის სამართალში საკუთრების უფლება „გახლეჩილია“¹²⁷, ექვითის სამართლით აღიარებული ბენეფიციარის უფლების რელატიურ უფლებად შეფასება მის სრულყოფილ სამართლებრივ აღწერას ვერ მოგვცემს. მიუხედავად მისი წარმოშობისა¹²⁸ (ექვითის სამართალი), ის ინგლისის სამართალშიც კი არ მიიჩნევა მხოლოდ პირების წინაშე არსებულ უფლებად (უფლება *in personam*), არამედ - ითვლება, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით ის **უფრო ახლოს სანივთო უფლებასთან დგას** (უფლება *in rem*)¹²⁹. განსხვავებით შეფარდებითი უფლების მქონე პირისაგან, ბენეფიციარს, სანივთო უფლების მფლობელის მსგავსად¹³⁰, შეუძლია ნივთზე მისი უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ გარეშე პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკუთრება კანონიერმა მესაკუთრემ კეთილსინდისიერ მესამე პირს საზღაურის საწესდოდ გადასცა. ამდენად, ითვლება, რომ ბენეფიციარის უფლება მიემართება არა მხოლოდ პირს (ტრასტის მმართველს) - არამედ, წარმოადგენს **ნივთთან დაკავშირებულ უფლებასაც**¹³¹. ბენეფიციარის ინტერესიც ისევე შესაძლო იყოს გასხვისებული, შეძენილი ან საჩუქრად გადაცემული, როგორც - თავად ნივთზე საკუთრების უფლება¹³².

საკუთრების უფლების ამგვარი „გახლეჩა“ ტრასტის ინსტიტუტისათვის კონსტიტუციური მნიშვნელობის მახასიათებელია. ტრასტი ვერ იარსებებს, თუ საკუთრება დაყოფილი არ იქნება ნივთზე კანონიერ მესაკუთრეობად და ექვითის სამართლიდან გამომდინარე უფლებებად (ექვითის სტატუსი)¹³³.

ამდენად, აშკარაა საკუთრების „გახლეჩის“ კონცეპტის განსხვავებულობა, ექვითის სამართლით შემოღებული ამ კონსტრუქციის უნიკალურობა. ექვითის სამართლით შემოღებული ის კონცეპტი, რომლის მიხედვითაც, ერთსა და იმავე ქონების საკუთრებაზე აღიარებულია ორი სხვადასხვა პირის უფლება, ქმნის ტრასტის ინსტიტუტს ერთ-ერთ ყველაზე თვითმყოფად და გამორჩეულ სამართლებრივ ინსტრუმენტად¹³⁴.

ტრასტის ინსტიტუტის იმპლემენტაციისათვის ეროვნულ კანონმდებლობაში სწორედ ამ კონსტრუქტის რელევანტური შინაარსითა და ფორმით ასახვაა საჭირო. სწორედ ზემოთ აღწერილი სპეციფიკა ართულებს ტრასტის ინსტიტუტის სხვა სახელმწიფოებში იმპლემენტაციის პროცესს - ინგლისში ხომ ეს მოწესრიგება სხვადასხვა კომპეტენციის სასამართლოების განსხვავებულმა მიდგომამ გამოიწვია, რაც სხვა კანონმდებლობებში არ გვხვდება.

ამ კონტექსტში იქნება განხილული და შეფასებული ის ალტერნატივები, რომლებმაც შესაძლებელი უნდა გახადონ ეროვნულ კანონმდებლობაში ქართული სამართლებრივი სისტემისათვის ამ აქამდე უცხო კონცეპტის გადმოტანა, არსებულ სამართლებრივ პრინციპებში შეძლებისდაგვარად მინიმალური ჩარევით.

¹²³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 27.

¹²⁴ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117, 50.

¹²⁵ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 4.

¹²⁶ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 27.

¹²⁷ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 3, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

¹²⁸ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 4.

¹²⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 27.

¹³⁰ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117, 50.

¹³¹ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 45.

¹³² Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹³³ *Id.*

¹³⁴ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 27.

1.1.2. ტრასტის ინსტიტუტის არსი

1.1.2.1. ტერმინთა განმარტება

ტრასტის ინსტიტუტის თანამედროვე შინაარსის აღწერამდე აუცილებელია ტრასტის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ტერმინებზე შეჯერება. ეს საკითხი უფრო მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ტერმინოლოგია დღესდღეობით ქართულ კანონმდებლობასა და იურიდიულ დოქტრინაში არათუ შეჯერებული/შეთანხმებული არ არის¹³⁵, არამედ - საერთოდ არ არსებობს მეტნაკლებად გავრცელებული შესაბამისი ალტერნატივებიც კი. ეს ფაქტიც იმით არის განპირობებული, რომ ტრასტის ინსტიტუტი ქართული სამართლისა და პრაქტიკისათვის ამ დრომდე სრულიად უცხო ინსტრუმენტად რჩება.

ამდენად, ტრასტთან დაკავშირებული ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების მისადაგება სტატიის კიდევ ერთი ამოცანაა. ტრასტის ქართულ სამართალში იმპლემენტაციის ფარგლებში შემოსაღები ტერმინების შემოთავაზებულ მოდელში **ორიენტირად აღებულია ინგლისური კანონმდებლობით დადგენილი დეფინიციები**. ამავდროულად, მცდელობაა, რომ ახალი ტერმინოლოგია მაქსიმალურად დაახლოებული იყოს ქართულ საკანონმდებლო ენასთან.

პირველ რიგში, შესაფასებელი იქნება თავად ტერმინ „ტრასტისთვის“¹³⁶ ქართული ანალოგის მოძიების ან/და ახალი ტერმინის შემოღების საკითხი. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეფასების მიხედვით,

ტერმინი ტრასტი არსებითად შეგვიძლია გავაიგივოთ „საკუთრების მინდობასთან“¹³⁷. სხვა წყაროში ასევე დაზუსტებულია, რომ „ტრასტის“ ძირითადი არსი სხვა პირის მიმართ ნდობაში (ინგლისურად - *trust*) მდგომარეობს¹³⁸ - იმ ნდობაში, რომელსაც მესაკუთრე უცხადებს მინდობილ პირს და რომლის საფუძველზეც გადასცემს მას ქონებას¹³⁹. ასევე არსებობს წყარო, რომელიც ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს ტრასტისა და საკუთრების მინდობის ურთიერთობებს, როგორც შინაარსობრივ, ისე - ტერმინოლოგიურ დონეზე¹⁴⁰. სტატიაში გაზიარებული იქნება ეს უკანასკნელი მიდგომა, რამდენადაც საკუთრების მინდობის ქართული ინსტიტუტი ადეკვატურად ვერ აღწერს იმ ურთიერთობის შინაარსს, რაც ტრასტის ხელშეკრულების მხარეებს შორის ყალიბდება¹⁴¹. **ტერმინ „ტრასტის“ ქართული თარგმანი - „ნდობა“, არ აღწერს შესაბამის ურთიერთობას სრულყოფილად**. მეტიც, მოსალოდნელია, რომ აქაც იარსებებს „ტრასტის“ „საკუთრების მინდობასთან“ აღრევის საფრთხე. ამდენად, **უმჯობესია „ტრასტის“ აღმწერ ტერმინად ქართულ სამართალში დატოვებული იყოს თავად „ტრასტი“**, თარგმანის გარეშე. ტერმინის შინაარსი უფრო ზუსტად განხილული იქნება ქვედა თავებში, თავად ტრასტის ურთიერთობის დეტალური აღწერა/დახასიათებისას, თუმცა უმჯობესია წინსწრებით აქაც იმ შინაარსის მოკლე დახასიათება, რაც უნდა აღწეროს ტერმინმა - „ტრასტი“. ამისთვის უმჯობესია დავეყრდნოთ ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და შეჯერებულ განმარტებას¹⁴², რომლის თანახმა-

¹³⁵ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ო“ პუნქტი, სადაც ტრასტის დეფინიციად მითითებულია „ნდობითი ფუნქცია“. აღნიშნული განმარტება, ფაქტობრივად, არანაირი შინაარსობრივი ღირებულების მქონე არ არის. იხ. ასევე „ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტი, რომელიც თავად არ ადგენს „ტრასტის“ ქართულ განმარტებას და მხოლოდ გადამისამართებას აკეთებს „ტრასტების მიმართ გამოყენებადი სამართლებრივი ნორმებისა და მათი აღიარების თაობაზე“ ჰააგის 1985 წლის 1 ივლისის კონვენციაზე.

¹³⁶ Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition, (მიღებულია 1985 წლის 1 ივლისს, ძალაში შევიდა 1992 წლის 1 იანვარს), მუხლი 1.

¹³⁷ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5, 71-72.

¹³⁸ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 1.

¹³⁹ ზამბახიძე თ., საკუთრების მინდობა (ისტორიული მიმოხილვა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, N1, 2000, 59.

¹⁴⁰ რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 12.

¹⁴¹ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5, 75.

¹⁴² Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 63.

დაც: ტრასტი ექვითის სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებაა, რომელიც ბოჭავს პირს (ტრასტის მმართველს) ვალდებულებით, მართოს მის კონტროლზე გადაცემული ქონება (ტრასტის საკუთრება) იმ პირობა სასარგებლოდ (ბენეფიციარები ან, სხვაგვარად, *cestuis que trust*) რომელთაგანაც ერთ-ერთი თავად შეიძლება იყოს და რომლებსაც გააჩნიათ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება¹⁴³. სხვაგვარად, ტრასტი არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მეშვეობითაც გარკვეული ქონებრივი ფასეულობები ფიდუციური მოთხოვნების დათქმით გადაეცემა ერთ ან რამდენიმე პირს (ტრასტის მმართველ/ებს), რომლებმაც უნდა განკარგონ და გამოიყენონ აღნიშნული ქონება ტრასტის დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, ტრასტის აქტით დადგენილი პირობების შესაბამისად¹⁴⁴.

სატრასტო ურთიერთობის აღწერისათვის საჭირო კიდევ ერთი ტერმინი ასახავს პირს, რომელიც აფუძნებს/ქმნის ტრასტს. აღნიშნული სუბიექტი აყალიბებს ტრასტს - ქონების სხვა პირზე გადაცემით, მისი მესამე პირების სასარგებლოდ მართვის დათქმით. ამ პირს საზოგადოდ „Settlor“-ს უწოდებენ¹⁴⁵ (პირდაპირი თარგმანით - დამაარსებელი, დამფუძნებელი). მოყვანილი აღწერის შესაბამისად, აღნიშნულ პირს შესაძლოა „საკუთრების მიმნდობი“ ვუწოდოთ, თუმცა, მსგავსი მიდგომა არ იქნებოდა გამართლებული ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე - აქაც იარსებებდა სატრასტო ურთიერთობის მონაწილეთა და საკუთრების

მიმდობით გადაცემის ურთიერთობის მონაწილეთა შორის ტერმინოლოგიური აღრევის საფრთხე. ამდენად, აქაც უმჯობესია „Settlor“-ის შესაბამის ტერმინად გამოყენებულ იქნას „ტრასტის დამფუძნებელი“.

სატრასტო ურთიერთობის კიდევ ერთი მონაწილეა პირი, რომელსაც სამართავად გადაეცემა ქონება¹⁴⁶. აღნიშნულ პირს მინიჭებული აქვს უფლება საკუთრებაზე, რომელიც შებოჭილია ვალდებულებით, რომ პირმა ეს უფლება გამოიყენოს მხოლოდ კონკრეტული მიზნის/დათქმების შესაბამისად. როდესაც ეს უფლება მინიჭებულია ტრასტის აქტის საფუძველზე, ეს პირი მიიჩნევა ტრასტის მმართველად¹⁴⁷. ზემოთ გამოყენებული მსჯელობის შესაბამისად, ამ პირის მოსახსენიებლად გამოყენებულ უნდა იქნას ტერმინი - ტრასტის მმართველი.

საყოველთაოდ გავრცელებული მიდგომის მიხედვით, პირები, რომელთა სასარგებლოდაც ტრასტის დამფუძნებელი ტრასტის მმართველს ქონებას გადასცემს, იწოდებიან ტერმინით - „Beneficiary“¹⁴⁸. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტერმინი უკვე საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ქართულ კანონმდებლობაში და არ გამოიყენება მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული ურთიერთობის ფარგლებში/მიზნებისათვის (განსხვავებით ზემოთ განხილული ტერმინისაგან - „საკუთრების მიმნდობი“)¹⁴⁹, შეგვიძლია ქართულ რეგულირებაში მისი ამავე ფორმით გადმოღება. ე.ი., პირს, რომლის სასარგებლოდაც ხდება ტრასტის მმართველისათვის ქონების გადაცემა, შეგვიძლია ვუწოდოთ ბენეფიციარი.

¹⁴³ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 63; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 20.

¹⁴⁴ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 436.

¹⁴⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 25; იხ. ასევე რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

¹⁴⁶ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე

Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26; იხ. ასევე რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

¹⁴⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 20.

¹⁴⁸ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე თავის V ქვეთავი, „ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი;

¹⁴⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26.

სატრასტო ურთიერთობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი ასახავს იმ დათქმებს, რომლებიც ტრასტის დამფუძნებელმა ტრასტის მმართველს განუსაზღვრა გადაცემული ქონების სამართავად - „Trust deed“. იურიდიულ ლიტერატურაში ამ ტერმინში, ერთი მხრივ, მოიაზრებენ მხოლოდ ტრასტის დამფუძნებლის სიცოცხლეში შექმნილ დოკუმენტებს და მისგან მიჯნავენ ანდერძით შექმნილ ტრასტებს¹⁵⁰. მეორე მხრივ, არსებობს წყაროები, სადაც ეს ტერმინი უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი და მოიცავს ნებისმიერი შინაარსის დოკუმენტს, რომლითაც იქმნება ტრასტი, თუნდაც ეს უკანასკნელი ანდერძი იყოს¹⁵¹. გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის მმართველისათვის პირობების დადგენა ზეპირი ფორმით¹⁵² ან/და მოქმედებითაც შესაძლოა მოხდეს¹⁵³, ქართული მოწესრიგებისათვის უმჯობესია განხილული ტერმინის იმპლემენტაცია „ტრასტის აქტის“ დასახელებით. ტრასტის აქტი დაფარავს როგორც წერილობით შექმნილ, ისე - ზეპირად ჩამოყალიბებულ ან/და მოქმედებით გამოხატულ სატრასტო დათქმებს. ამასთან, ანდერძით ტრასტის შექმნის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ანდერძი თავისი შინაარსით მოიცავდა ტრასტის აქტსაც.

ამდენად, ტრასტის ინსტიტუტისათვის ზემოთ მისადაგებული ქართული ტერმინები შემდეგნაირად შეგვიძლია შევაჯამოთ:

➤ **ტრასტი (trust)** - ქონებასთან დაკავშირებული ისეთი ფიდუციური ურთიერთობა¹⁵⁴, რომელიც აღნიშნული ქონების მფლობელ პირს აკისრებს ექვითიდან გამომდინარე ვალდებულებას, მართოს ქონება სხვა პირის სასარგებლოდ. აღნიშნული ვალდებულება/პირობა ტრასტის შექმნის თაობაზე განზრახვის გამოვლენის შედეგი უნდა იყოს¹⁵⁵.

➤ **ტრასტის დამფუძნებელი (settlor)** - პირი, რომელიც ქმნის ტრასტს, მის მიერ ქონების ტრასტის მმართველისათვის გადაცემით, ტრასტის აქტში გათვალისწინებული პირობების დათქმით¹⁵⁶. განსხვავებით გავრცელებული მიდგომისაგან¹⁵⁷¹⁵⁸, სტატიით შემოთავაზებულია, რომ ერთმანეთისგან ტერმინოლოგიურად არ გაიმიჯნოს ტრასტის მმართველის სახელწოდება იმის მიხედვით, ანდერძის ფარგლებში შეიქმნა ტრასტი, თუ, ჩვეულებრივ - დამოუკიდებელი ტრასტის აქტით.

➤ **ტრასტის მმართველი (trustee)** - პირი, რომელმაც ტრასტის აქტში მითითებული პირობების შესაბამისად, ბენეფიციართა სასარგებლოდ უნდა მართოს ტრასტის დამფუძნებლის მიერ მისთვის გადაცემული ქონება¹⁵⁹.

➤ **ბენეფიციარი (beneficiary)** - პირი ან პირთა ჯგუფი, ვისთვისაც ტრასტის დამფუძნებელმა შექმნა ტრასტი და ვის სასარგებლოდაც ტრასტის მმართველი მართავს გადაცემულ ქონებას¹⁶⁰;

➤ **ტრასტის აქტი** - „trust deed“, დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც ტრასტის დამფუძნებელი ქმნის ტრასტს და განსაზღვრავს პირობებს ტრასტის მმართველის მიერ გადაცემული ქონების მართვისათვის¹⁶¹.

1.1.2.2. ტრასტის, როგორც სამართლებრივი კონსტრუქციის აღწერა

სატრასტო ურთიერთობას უკვე საუკუნეებია, რაც მოპოვებული აქვს იურიდიული აღიარება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მისი ბუნება და ფუნქციები მუდმივად იცვლებოდა¹⁶². ერთ-ერთი შეფასებით, ტრასტის კონცეპტი არ არის ცალსახა და მუდმივი, შეუცვლელი როგორც კრისტალი, არამედ - ის არის ტყავი, კანი, ცოცხალი და მზარდი კონცეფციის გარშემო¹⁶³.

¹⁵⁰ *Id.*, 24.

¹⁵¹ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, XX.

¹⁵² Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 136.

¹⁵³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

¹⁵⁴ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 174.

¹⁵⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21.

¹⁵⁶ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, Xli.

¹⁵⁷ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, XXI, XXII.

¹⁵⁸ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 64.

¹⁵⁹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 8.

¹⁶⁰ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, XL, 63.

¹⁶¹ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 11.

¹⁶² Paul S. D., Graham V., *Equity & Trusts: Text, Cases, and Materials*, Oxford, 2013, 24.

¹⁶³ Grbich Y., Baden: Awakening the Conceptually Moribund Trust, *journal "The Modern Law Review"*, Vol. 37, N6, 1974, 643.

სწორედ ტრასტის მუდმივად ცვალებადი, განვითარებადი ბუნება იწვევს გარკვეულ განსხვავებებს მის ისტორიულ და თანამედროვე განმარტებებს შორის. **ტრასტის ყოვლისმომცველი განმარტების შემუშავება უკიდურესად რთული დავალებაა, მისი განსხვავებული გამოვლინებების/სახეებისა და გამო.** ბევრად უფრო მარტივია ტრასტის აღწერა და მისი აუცილებელი მახასიათებლების წარმოჩენა¹⁶⁴. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამ ნაწილში უკვე უფრო მეტად გამოიკვეთება ტრასტის თანამედროვე შინაარსი. ამავდროულად, გაკეთდება პარალელები/შედარებები, მის ისტორიულ წინამორბედთან.


„ტრასტი“ ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია¹⁶⁵, რომლის გამოყენებაც რელევანტურია მაშინ, როდესაც არსებობს საჭიროება, რეალური მესაკუთრის ნაცვლად სამოქალაქო ურთიერთობებში ფიგურირებდეს ნომინალური (მინდობილი) მესაკუთრე¹⁶⁶. ტრასტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, არეგულირებს საკუთრების გადაცემის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც **საკუთრების მიმღები საკუთრებას ფლობს და მართავს არა საკუთარი თავის, არამედ - ბენეფიციარის სასარგებლოდ**¹⁶⁷.

ტრასტის მმართველებს გააჩნიათ ფორმალური (კანონიერი) საკუთრება მათთვის გადაცემულ ქონებაზე, თუმცა, ტრასტის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათი საკუთრების უფლება არ მოიცავს ქონებიდან სარგებლის

მიღების უფლებას. კერძოდ, ტრასტის მმართველის ფიდუციური მდგომარეობიდან გამომდინარე¹⁶⁸, მათ ეკისრებათ როგორც საკანონმდებლო, ისე - ტრასტის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ბენეფიციარებს კი, თავის მხრივ, შეუძლიათ მოითხოვონ აღნიშნული ვალდებულებების აღსრულება¹⁶⁹. ერთ-ერთი უჩვეულო განმარტების თანახმად კი, ტრასტი მეტი არაფერია, თუ არა საჩუქრის ჩუქების განსხვავებული გზა. ტრასტის კონცეპტუალური გაგებისთვის, ის მხოლოდ „ორად გახლეჩილი საკუთრების მეშვეობით გადაცემული საჩუქარია“¹⁷⁰.

ტრასტის მთავარი არსი მდგომარეობს ექვითიდან გამომდინარე ვალდებულების დაკისრებაში იმ პირზე, რომელიც საკუთრების კანონიერ მფლობელად მიიჩნევა (ტრასტის მმართველი), იმ პირთა სასარგებლოდ (ბენეფიციარი), ვისაც საკუთრებაზე ექვითის სამართლით აღიარებული უფლება აქვს¹⁷¹.

„ტრასტების და მათი ცნობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ ჰააგის 1985 წლის კონვენციის მიზნებისთვის, ტერმინი „ტრასტი“ გულისხმობს **სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც შექმნილია პირის სიცოცხლეში ან მისი გარდაცვალების შემდეგ - იმ პირის მიერ, რომელიც მიიჩნევა ტრასტის დამფუძნებლად (settlor) და რომელიც აქტივებს გადასცემს ტრასტის მმართველს (trustee) ბენეფიციარის სასარგებლოდ ან კონკრეტული მიზნების მისაღწევად**¹⁷².



¹⁶⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 19.

¹⁶⁵ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5.

¹⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 416.

¹⁶⁷ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 1.

¹⁶⁸ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 174.

¹⁶⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 20.

¹⁷⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 285.

¹⁷¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21.

¹⁷² Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

გამოყოფენ ტრასტის ოთხ ძირითად მახასიათებელს:

1. მოიცავს ექვითიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს;
2. ბენეფიციარს აღჭურავს ქონებიდან სარგებლობის უფლებით;
3. ტრასტის მმართველს აკისრებს ვალდებულებებს და
4. აღნიშნული ვალდებულებები ფიდუციური ხასიათისაა.¹⁷³

ამასთან, აღნიშნავენ შემდეგ სამ ნიშან-თვისებასაც:

1. ტრასტის აქტივები (ქონება, რომელიც სამართავად გადაეცემა ტრასტის მმართველს) **ქმნის დამოუკიდებელ ფონდს** და არ ითვლება ტრასტის მმართველის საკუთრებად;
2. ტრასტის აქტივებზე **ოფიციალური (ფორმალური) საკუთრება გააჩნია ტრასტის მმართველს**, ქონებიდან სარგებლობის მიღების უფლება, ე.ი. ექვითიდან გამომდინარე სტატუსი/საკუთრება კი მინიჭებული აქვს ბენეფიციარს¹⁷⁴.
3. ტრასტის მმართველს გააჩნია უფლება, რაც თავის თავში გულისხმობს მოვალეობასა და ანგარიშვალდებულებასაც, რომ **მართოს და ეფექტიანად განკარგოს აქტივები ტრასტის აქტითა და კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად**¹⁷⁵.

აქვე, საყურადღებოა, რომ ტრასტის დამფუძნებლის მიერ გარკვეული უფლებების შენარჩუნება, ან/და ტრასტის მმართველისთვის ამავედროულად ბენეფიციარის გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭება არ არის აუცილებლად შეუთავსებელი ტრასტის არსებობასთან¹⁷⁶.

საქმეში *Westdeutsche Landesbank Girozentrale v Islington*¹⁷⁷ მოსამართლემ დაასახელა

ტრასტის არსებობის 4 ფუნდამენტური ნიშანი¹⁷⁸:

1. ექვითის სამართალი პირველ რიგში აფასებს/მოითხოვს სამართლებრივი ინტერესის მქონე პირის კეთილსინდისიერებას¹⁷⁹. ტრასტის შემთხვევაში, კანონიერი (ფორმალური) მესაკუთრის (ტრასტის მმართველი) კეთილსინდისიერად მიჩნევისათვის მან უნდა იმოქმედოს იმ დათქმების/მიზნების შესაბამისად, რისთვისაც გადაეცა ქონება.
2. რამდენადაც ექვითის იურისდიქცია ტრასტების აღიარებისათვის/ აღსრულებისათვის კანონიერი ინტერესის მქონე პირის (ტრასტის მმართველი) კეთილსინდისიერებას ეყრდნობა, არ ჩაითვლება, რომ პირი მართავს ტრასტს, თუ მისთვის უცნობი იყო ის ფაქტები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ მის კეთილსინდისიერებაზე - მაგალითად, თუ მისთვის ჯერ არ იყო ცნობილი, რომ ქონება უნდა ემართა სხვა პირების სასარგებლოდ (ტრასტის მმართველის სტატუსით)¹⁸⁰.
3. ცალკეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა (სტატუის ფარგლებში არ გამახვილდება ყურადღება ამ კონკრეტულ მაგალითებზე), ტრასტის დაფუძნებისათვის ტრასტის ქონება უნდა იყოს იდენტიფიცირებადი და განსაზღვრადი¹⁸¹.
4. ტრასტის დაფუძნების თარიღიდანვე ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს ექვითიდან გამომდინარე „ნაწილობრივი“ საკუთრების უფლება ტრასტის ქონებაზე¹⁸². აღნიშნული უფლება წარმოადგენს სანივთო, *in rem* უფლებას და მისი აღსრულება შესაძლებელია ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი კეთილსინდისიერი (*bona fide*) შემძენია¹⁸³.

¹⁷³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21; იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, XLI.

¹⁷⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21; იხ. ასევე Turner C., *supra* რეფერენსი 80, 8.

¹⁷⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21-22; იხ. ასევე Turner C., *supra* რეფერენსი 80, 162;

¹⁷⁶ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 22.

¹⁷⁷ House of Lords, 1996, *Westdeutsche Landesbank Girozentrale v Islington London Borough Council*, 28.

¹⁷⁸ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹⁷⁹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 492.

¹⁸⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹⁸¹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 21.

¹⁸² Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 305.

¹⁸³ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 278.

საყურადღებოა, რომ ამ შეფასებებში ტრასტის მმართველის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება/მოპყრობა ვლინდება, როგორც იმ ფიდუციარის მიმართ, რომელსაც სპეციალური ვალდებულებები აქვს დაკისრებული¹⁸⁴.

ტრასტის უკეთ დასახასიათებლად უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს მისი ძირითადი მახასიათებლების კიდევ უფრო დეტალური აღწერა:

➤ ტრასტის ქონება

ტრასტის საგანი (ქონება რომელსაც ტრასტის დამფუძნებელი სატრასტო ურთიერთობის ფარგლებში გადასცემს ტრასტის მმართველს) შეიძლება გახდეს ნებისმიერი **არსებული** ქონება, რომელიც შესაძლოა მიკუთვნებული იყოს პირზე¹⁸⁵. ამდენად, ტრასტის ქონება შესაძლოა იყოს, მაგალითად, **უძრავ-მოძრავი ქონება ან მოთხოვნა სხვა პირის წინაშე**, თუ ის აღსრულებადია სასამართლოს გზით¹⁸⁶. ტრასტის ქონება არ არის შემოზღუდული მხოლოდ მატერიალური ქონების გადაცემის შესაძლებლობით¹⁸⁷.

თუმცა, არსებითია, რომ ტრასტის საგანი მხოლოდ **უკვე არსებული აქტივი** შეიძლება გახდეს. ამდენად, ტრასტის საგანი არ შეიძლება იყოს სამომავლო ან/და მოსალოდნელი ქონება¹⁸⁸. მაგალითისათვის, არ შეიძლება მამკვიდრების გარდაცვალებამდე სამომავლო მემკვიდრემ ტრასტში „შეიტანოს“ სამომავლო ქონება, იმაზე დაყრდნობით, რომ ეს აქტივი ანდერძით მასზეა მიკუთვნებული¹⁸⁹.

აქვე, საჭიროა დაზუსტდეს, რომ ექვითის ერთ-ერთი მთავარი პრინციპიდან გამომდინარე - **“Delay defeats equities”** („დაგვიანება გამორიცხავს ექვითის გამოყენებას“)¹⁹⁰, რიგ შემთხვევაში სასამართლოს ნამდვილად ჩაუთვლია ისეთი ტრასტიც, სადაც ტრასტის დამფუძნებელს ტრასტის ქონებად განსაზღვრული ჰქონდა ისე-

თი სამომავლო ქონება, რომლის მიღების გარანტიაც არ არსებობდა¹⁹¹. საქმეში **Hulbert v Bowden**¹⁹² ქალბატონმა 1868 წელს ტრასტის ქონებად დაასახელა მამისგან მემკვიდრეობით მისაღები ქონება. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დათქმის გაკეთების მომენტში აღნიშნული ქონება ტრასტის დამფუძნებლის საკუთრებაში არ იმყოფებოდა და ქალბატონს არც მისი მოთხოვნის უფლება გააჩნდა, სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ ტრასტი ფაქტობრივად წარმოიშვა. კერძოდ, სასამართლო დავის დაწყებამდე ქალბატონის მამამ მართლაც დაუტოვა ქალიშვილს ქონება, რის შედეგადაც ქონება ტრასტის მმართველის საკუთრებაში აღმოჩნდა. ამ ფაქტის შემდგომ შესაბამისი ტრასტი მთელი 60 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა - ტრასტის დამფუძნებელმა კი სასამართლოს მიმართა მხოლოდ 1935 წელს. სასამართლომ ჩათვალა, რომ **თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში ქონება მართლაც აღმოჩნდება ფორმალურად ტრასტის მმართველის საკუთრებაში, ექვითის მიხედვით შესაძლოა დადგინდეს, რომ ტრასტის დამფუძნებელს აღარ შეუძლია ტრასტის გაუქმების მოთხოვნა ტრასტის საგნის არავალიდურობაზე მითითებით**¹⁹³.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ტრასტის კონცეპტში მომხდარ ორ ძირითად ისტორიულ ცვლილებას შორის პირველი სწორედ ტრასტის ქონებას ეხება (მეორე ცვლილება ეხება ტრასტის მმართველს, იხ. ქვემოთ - „ტრასტის მმართველის სამართლებრივი მდგომარეობა“). ისტორიულად, რამდენადაც მიწა საზოგადოებაში ძირითად აქტივად/სიმდიდრედ ითვლებოდა, ტრასტები იქმნებოდა ტრასტის მმართველისათვის სწორედ მიწის გადაცემით. საზოგადოების განვითარებისა და აგრარული

¹⁸⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23; იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

¹⁸⁵ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 11.

¹⁸⁶ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹⁸⁷ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 74; იხ. ასევე Insolvency Act 1986, s 436, < <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/section/436>, [18.08.2022].

¹⁸⁸ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 66.

¹⁸⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹⁹⁰ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 26.

¹⁹¹ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 249.

¹⁹² Hulbert v Bowden, 1936, Chapter 71.

¹⁹³ Mitchell Ch., Hayton D.J., Hayton and Mitchell Commentary and Cases on the Law of Trusts and Equitable Remedies (14th edition), London, 2015, 68; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 249.

ეკონომიკის მნიშვნელობის გაუფასურების, ინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ სიმდიდრის ძირითადი წყარო შეიცვალა. ეროვნულ სიმდიდრეს უკვე უფრო მეტად ნაღდი ფული, აქციები, ბონდები და სხვა სავაჭრო ფასიანი ქაღალდები განაპირობებენ. შესაბამისად, ტრასტის ქონების ისტორიულად ყველაზე გავრცელებული სახე - მინა, ხშირ შემთხვევებში სწორედ ამ უკანასკნელებით ჩანაცვლდა¹⁹⁴.

➤ კანონისმიერი და ექვითიდან გამომდინარე ინტერესების გამიჯვნა

ქონებაზე კანონისმიერი ინტერესი აღნიშნავს მასზე ფორმალურ საკუთრებას. კანონისმიერ მესაკუთრეს უფლება აქვს, ჰქონდეს ფორმალური მესაკუთრის სტატუსი ქონებაზე და მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისაგან ამ უფლების პატივისცემა/აღიარება (ტრადიციული სანივთო უფლებისთვის დამახასიათებელი თვისება). ამდენად, კანონიერ (ფორმალურ) მესაკუთრეს შეუძლია ქონებაზე მისი სტატუსი და უფლებები მესამე პირთა წინაშე დაიცვას სამართალწარმოების გზით¹⁹⁵.

მეორე მხრივ, ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს ქონებაზე ექვითიდან გამომდინარე ინტერესი, უფლება. აღნიშნული გულისხმობს პირის უფლებას, ჰქონდეს სარგებლის მიღების, ან/და ქონებით სარგებლობის უფლება¹⁹⁶.

ხაზგასასმელია, რომ საკუთრების მსგავსი დაყოფის საჭიროება წარმოიშობა **მხოლოდ ტრასტისთვის ქონების გადაცემის შემდგომ**. ქონების გადაცემამდე, ტრასტის დამფუძნებლის საკუთრება ქონებაზე არ იყოფა ფორმალურ და ექვითიდან გამომდინარე საკუთრებებად - წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას¹⁹⁷. დაყოფა ხდება ტრასტის ფუნქციიდან გამომდინარე - ტრასტის მმართველსა და ბენეფიციარს შორის უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გადასანაწილებლად¹⁹⁸.

ტრასტის მმართველი კანონიერ მესაკუთრედ მიიჩნევა, ფორმალურად საკუთრებას ფლობს მხოლოდ ბენეფიციართა სასარგებლოდ. ტრასტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ინტერესები - კანონისმიერი მესაკუთრეობისა (**legal title**) და ექვითის მიხედვით საკუთრებისა (**equitable title**), გამიჯნულია¹⁹⁹.

საჭიროა დაზუსტდეს, რომ ტრასტი იმ შემთხვევაშიც შეიძლება არსებობდეს, თუ ერთი და იგივე პირები ფლობენ ქონებაზე როგორც კანონისმიერ (ფორმალურ), ისე - ექვითიდან გამომდინარე საკუთრებას. თუმცა, აუცილებელი წინაპირობაა, რომ პირებს შორის დანაწილებული, გაყოფილი იყოს ეს უფლებები. ე.ი. კანონისმიერ და ექვითიდან გამომდინარე უფლებებს ფლობდნენ ა და ბ.

ა & ბ (კანონისმიერი საკუთრება) →
ა & ბ (ექვითიდან საკუთრება) = ტრასტი²⁰⁰

იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი პირია ქონებაზე როგორც კანონისმიერი, ისე - ექვითიდან გამომდინარე უფლების მფლობელი, ტრასტი ვერ იარსებებს:

ა (კანონისმიერი საკუთრება) →
ა (ექვითიდან საკუთრება) ≠ ტრასტი²⁰¹

➤ სავალდებულო ხასიათი

იმ შემთხვევაში, თუ პირი გახდება ტრასტის მმართველი (ე.ი. უარს არ იტყვის ქონების შესაბამისი დათქმებით მიღებაზე), მას, განსხვავებით სტანდარტული მესაკუთრეებისაგან, აღარ რჩება ქონების მხოლოდ მისი შეხედულებისამებრ განკარგვის უფლება²⁰². **მას შემდეგ, რაც პირი დათანხმდება ტრასტის მმართველად დანიშვნას, მას ეკისრება ვალდებულება, მართოს ტრასტი დაკისრებული ფიდუციური**

¹⁹⁴ STEP, *supra* რეფერენსი 2, 8-9.

¹⁹⁵ Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

¹⁹⁶ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 43.

¹⁹⁷ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 14.

¹⁹⁸ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

¹⁹⁹ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 14-15; იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

²⁰⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²⁰¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²⁰² Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 58.

ვალდებულების შესაბამისად, ტრასტის აქტის პირობების დაცვით²⁰³. ბენეფიციარებს გააჩნიათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (*locus standi*) იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრასტის მმართველმა ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები²⁰⁴.

➤ „სამი განსაზღვრულობის“ არსებობა

ტრასტის დამფუძნებლის მიერ ტრასტის დაფუძნებისათვის/ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ დამფუძნებელი მიზნად ისახავდეს უშუალოდ ტრასტის შექმნას, ნაცვლად - უბრალოდ მორალური ვალდებულების დაკისრებისა, ჩუქებისა ან სხვა მსგავსი ურთიერთობისა²⁰⁵. ტრასტის აქტი საკმარისად ნათელი/ცხადი უნდა იყოს იმისათვის, რომ ტრასტის დამფუძნებელმა შეძლოს ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედება, ხოლო სასამართლომ - ტრასტის აღსრულება²⁰⁶. ტრასტის შექმნის წინაპირობაა, რომ ცალსახად და ნათლად, უტყუარად იყოს წარმოდგენილი „სამი განსაზღვრულობა“ (*three certainties*) - სიტყვის/განზრახვის, სუბიექტისა და ობიექტის²⁰⁷. სხვაგვარად, ცალსახა უნდა იყოს: 1. ტრასტის შექმნის განზრახვა - დამფუძნებლის, მათ შორის, მამკვიდრებლის მხრიდან. 2. ტრასტის სუბიექტი/საგანი - მკაფიოდ უნდა იყოს შემოსაზღვრული, თუ რომელი ქონება აყალიბებს ტრასტს და 3. ტრასტის ობიექტი - ტრასტის ბენეფიციარების განსაზღვრულობა²⁰⁸.

1. **განზრახვის ნაწილში** განსაზღვრულობა - გულისხმობს, რომ ტრასტის დამფუძნებელი, მათ შორის, მამკვიდრებელი, **ნამდვილად ტრასტის შექმნას ისახავს მიზნად**²⁰⁹. პირი შესაბამისი ქმედებების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით, დააფუძნოს ტრასტი²¹⁰ და აღნიშნული განზრახვა ნათლად

უნდა ჩანდეს მის მიერ გამოვლენილი ნებიდან. ტრასტის დამფუძნებელი უნდა აკისრებდეს პირებს ვალდებულებას და არა - უბრალოდ აფიქსირებდეს თავის თხოვნას²¹¹.

აღნიშნული განსაზღვრულობის არსებობის დასადგენად ფასდება პირის სუბიექტური მხარე²¹² - მათ შორის, განიხილება მისი ქმედებები, კომუნიკაციის შინაარსი და შესაბამისი კონტექსტი. განზრახვის დასადასტურებლად **აუცილებელი არ არის, რომ ნება წერილობითი ფორმით იყოს გამოხატული**²¹³, თუმცა, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ გამოყენებული სიტყვები ერთობლიობაში **იმპერატიულად იქნას აღქმული**²¹⁴. განსაკუთრებული სიფრთხილით წყდება ანდერძისმიერი ტრასტის დაფუძნების შეფასების საკითხები - აქ ზღვარი განსაკუთრებით მყიფეა და რთულია განსაზღვრა, მამკვიდრებელი მემკვიდრისგან მიღებული სამკვიდროს ანდერძში დადგენილი წესის შესაბამისად განკარგავს ითხოვდა, თუ უბრალოდ მორალური ნონის/შინაარსის მქონე თხოვნა, იურიდიული ძალის არმქონე მოთხოვნა გამოხატა. მაგალითისათვის, საქმეზე *Cotton LJ in Re Adams and the Kensington Vestry* სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ტრასტი არ ჩაითვლებოდა შექმნილად მამკვიდრებლის მხოლოდ შემდეგი მითითების საფუძველზე: „ცოლს ქონება გადაეცემოდა მამკვიდრებლის აბსოლუტური რწმენით, რომ იგი (ცოლი) ქონებასთან დაკავშირებით მიიღებდა სწორ გადაწყვეტილებებს - ქონების შვილების სასარგებლოდ განკარგვისა და განაწილებისას, როგორც სიცოცხლეში, ისე - გარდაცვალების შემდგომ, ანდერძის მეშვეობით“. სასამართლომ

²⁰³ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 355.

²⁰⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²⁰⁵ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 92.

²⁰⁶ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 18; იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 75.

²⁰⁷ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 48; იხ. ასევე Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 65.

²⁰⁸ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 75.

²⁰⁹ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 66.

²¹⁰ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 92.

²¹¹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 19.

²¹² Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 76.

²¹³ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 93.

²¹⁴ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 65; იხ. ასევე Turner C., *supra* რეფერენსი 80, 19.

არ ჩათვალა ტრასტი შექმნილად და მიუთითა, რომ ტრასტის შექმნის განზრახვის დასადასტურებლად უნდა არსებობდეს მკაფიო იმპერატიული ენა/განცხადება²¹⁵.

ტრასტის შექმნისთვის საკმარის საფუძვლად არ ჩაითვალა ასევე ტრასტის დამფუძნებლის შემდეგი მითითებები:

- მას (მამკვიდრებელს) სჯეროდა, რომ მეუღლე (აქ: მემკვიდრე) მათ შვილებს სამართლიანად გაუნაწილებდა ქონებას, როდესაც ის მას აღარ დასჭირდებოდა - მსგავსი დათქმა არ ჩაითვალა იურიდიული, იმპერატიული ვალდებულების წარმომშობად²¹⁶.
- მამკვიდრებლის სურვილი იყო, რომ მემკვიდრეს X პირისათვის ყოველწლიურად გადაეხადა 25£. სასამართლოს შეფასებით, სურვილზე მითითება მემკვიდრისთვის არ წარმოშობდა მორალურის გარდა სხვა სახის ვალდებულებას²¹⁷.
- მამკვიდრებლის თხოვნა იყო, რომ დედამისს (აქ: მემკვიდრე) მისი (დედის) გარდაცვალების მომენტისათვის დარჩენილი ქონება (მემკვიდრეობით გადაცემული ქონებიდან) გადაეცა მამკვიდრებლის ოთხი დისათვის. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ ჩათვალა, რომ მითითება არ იყო საკმარისად იმპერატიული²¹⁸.
- განსხვავებით აღწერილისაგან, საქმეზე **Paul v Constance** საკმარისად ჩაითვალა ანდერძის გარეშე გარდაცვლილი მამაკაცის მხრიდან მასთან ურთიერთობაში მყოფი ქალბატონისათვის გაკეთებული განცხადება, რომ ანგარიშზე განთავსებული ფული ისევე იყო მისი (ქალბატონის), როგორც თავად მამაკაცის. სასამართლომ ტრასტი დაფუძნებულად ჩათვალა და დაადგინა, რომ ანგარიშზე განთავსებული თანხის ნახევარი მეგობარ ქალბატონს ეკუთვნოდა²¹⁹.

2. ტრასტის სუბიექტის ნაწილში განსაზღვრულობის მოთხოვნა - ემყარება იმ ფაქტს,

რომ ნამდვილი ტრასტი არ შეიძლება არსებობდეს ტრასტის ქონების გარეშე²²⁰. აღნიშნულისათვის, **ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რომელი ქონება გადაეცემა ტრასტს** - სხვაგვარად, ტრასტის ქონების მართვა ფაქტობრივად წარმოუდგენელია და ტრასტი ბათილია²²¹. ტრასტის მმართველმა დაზუსტებით უნდა იცოდეს, თუ რა ქონების მართვა ევალება მას²²², სასამართლოსთვის კი გარკვევადი უნდა იყოს, თუ რა ქონება უნდა იმართოს და განაწილდეს²²³. ამგვარი განსაზღვრულობა ასევე აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ დადგინდეს, ტრასტის მმართველის ან/და დამფუძნებლის პირად კრედიტორებს რომელ ქონებაზე არ გააჩნიათ მოთხოვნის წარდგენის უფლება, მათ შორის, გადახდისუუნარობის შემთხვევაში რომელი ქონება არ უნდა მოექცეს მათი გადახდისუუნარობის მასაში²²⁴. აღნიშნულ წინაპირობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრეცედენტების თანახმად:

- საქმეზე **Palmer v Simmonds** მამკვიდრებელი უთითებდა, რომ მემკვიდრეს, გარდაცვალებისას X პირისათვის უნდა დაეტოვებინა მამკვიდრებლისაგან მიღებული ქონებიდან დარჩენილი **აქტივის დიდი ნაწილი**. სასამართლომ დადგინა, რომ არასაკმარისი განსაზღვრულობით იყო დაიდენტიფიცირებული ტრასტის აქტივი და ამის გამო, ტრასტი არ/ვერ იქნებოდა ნამდვილი²²⁵. იმავე პრობლემის გამო არ ჩათვალა სასამართლომ ტრასტი შექმნილად საქმეზე **Re Jones**, სადაც მამკვიდრებელი ტრასტის ქონებად განსაზღვრავდა იმ **აქტივს, რომელიც მისი მემკვიდრის (აქ: ცოლის) გარდაცვალების მომენტისათვის**

²¹⁵ Court of Appeal, 1884, Cotton LJ in *Re Adams and the Kensington Vestry*.

²¹⁶ Court of Appeal, 1882, *Mussoorie Bank Ltd v Raynor*.

²¹⁷ Court of Appeal, 1888, *Re Diggles*.

²¹⁸ Court of Appeal, 1939, *Re Johnson*.

²¹⁹ Court of Appeal, *Paul v Constance*, 1976,

²²⁰ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 74.

²²¹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 19.

²²² Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 92.

²²³ იხ. ასევე Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 103.

²²⁴ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 92.

²²⁵ Court of Chancery, 1854, *Palmer v Simmonds*.

არ იქნებოდა გასხვისებული²²⁶.

- ზემოთ განხილულისაგან განსხვავებით, საქმეზე *Re Golay's Will Trusts* სასამართლომ დაადგინა, რომ მამკვიდრებლის მიერ პირისთვის განსაზღვრული უფლება, მიეღო **გონივრული შემოსავალი „სხვა“ ქონებებიდან**, აკმაყოფილებდა განსაზღვრულობის წინაპირობას. სასამართლომ მიუთითა, რომ მამკვიდრებლის მიერ განსაზღვრული „გონივრული შემოსავალი“ ობიექტურად **უნდა განესაზღვრა** სასამართლოს და მამკვიდრებელმა სწორედ ამგვარი მოწესრიგება (გადასაცემი ოდენობის სასამართლოს მიერ შეფასება) დაისახა მიზნად²²⁷.

ამდენად, ტრასტის საგნის განსაზღვრულობისათვის აუცილებელი არ არის, რომ ყველა მხარე თანხმდებოდეს მის რაობასა და მოცულობაზე - მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული შეფასებები. **მთავარი პირობაა, რომ სასამართლოს მხრიდან ობიექტურად შეფასებადი/გარკვევადი იყოს ტრასტის საგანი** - იმ მიდგომით, რომ სასამართლოსთვის უჩვეულო არ არის შეფასებების გაკეთება ისეთ საკითხებზე, რომლებზეც მხარეებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ²²⁸. თუმცა, თავის მხრივ, შეფასების გაკეთებაც გარკვეული ინტერპრეტაციის ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს - პირველ ქეისში დასახელებული „ქონების დიდი ნაწილი“ აღნიშნულ ზღვარს მიღმა აღმოჩნდა და სწორედ ამიტომ არ ჩათვალა სასამართლომ ტრასტი დაფუძნებულად.

3. **ობიექტის განსაზღვრულობის კრიტერიუმი** - გულისხმობს, რომ ტრასტის არსებობისათვის აუცილებელია განსაზღვრული იყოს პირი, ვის სასარგებლოდაც იქმნება ტრასტი²²⁹. ბენეფიციარის დასახელება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ **შესაბამის პირთა წრე აშკარა და ნათელი იყოს როგორც**

სასამართლოსთვის, ისე - ტრასტის მმართველისათვის²³⁰. ბენეფიციარი შესაძლოა დასახელდეს როგორც პირდაპირ, სახელობითად, ისე - **პირთა კლასზე/ჯგუფზე მითითებით**²³¹, იმგვარი მახასიათებლების საფუძველზე, რაც პირის თუ პირების დადგენისათვის საკმარისი იქნება - მაგალითად, მითითება: ჩემი შვილები, თანამშრომლები, ოჯახის წევრები და სხვა²³². ამდენად, დასახელებული ჯგუფი არ უნდა იყოს იმდენად ფართო, რომ შეუძლებელი იყოს პირთა წრის ზუსტი განსაზღვრა - ტრასტის მმართველს უნდა შეეძლოს ბენეფიციართა სიის/ვინაობების ზუსტი განსაზღვრა²³³. **ობიექტის განუსაზღვრელობის შემთხვევაში ტრასტის დამფუძნებელს უკან უბრუნდება გადაცემული ქონება.**

ობიექტის განსაზღვრულობის არსებობის შეფასების სტანდარტი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ტრასტზეა საუბარი²³⁴. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის განხილვა სცდება სტატიის მოტივს - აღწერილი პრინციპები უკვე საკმარისია ტრასტის დაფუძნებისათვის საჭირო მოთხოვნების განსასაზღვრად.

➤ ტრასტის შექმნის მომენტი

ტრასტი შესაძლოა შეიქმნას როგორც დამფუძნებლის სიცოცხლეში (*inter vivos*), ისე - მისი გარდაცვალების შემდგომ, ანდერძით ან კანონისმიერი მემკვიდრეობის შესაბამისად²³⁵.

პირის სიცოცხლეში ტრასტი შესაძლოა შეიქმნას ტრასტის აქტის მეშვეობით, წერილობით, ზეპირად ან უშუალოდ ქმედებით. იმის მიუხედავად, თუ დასახელებულთაგან რომელი ფორმაა გამოყენებული, ტრასტი ძალაში შედის დოკუმენტის ან/და დათქმის აღსრულებიდან/ამოქმედებიდან²³⁶. პიროვნების გარდაცვალების

²²⁶ Court of Chancery, 1898, *Re Jones*.

²²⁷ Highr Court, 1865, *Re Golay's Will Trusts*.

²²⁸ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 76.

²²⁹ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 116.

²³⁰ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 116.

²³¹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 22.

²³² Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 145.

²³³ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 26.

²³⁴ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 145.


²³⁵ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 44.

²³⁶ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 256.

შემდგომ კი, ტრასტი შეიძლება შეიქმნას მამკვიდრებლის მიერ საანდერძო დანაწესების საფუძველზე, ან/და კანონისმიერი მემკვიდრეობის შედეგად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში²³⁷.

➤ ქვეტრასტები

ქვეტრასტების მოქმედების პრინციპი **ქვეიჯარისა და ქვექირავნობის მოქმედების იდენტურია**. კერძოდ: ბენეფიციარს შეუძლია ტრასტით მისთვის მინიჭებულ უფლებებზე შექმნას ტრასტი²³⁸. ე.ი. ბენეფიციარს პირველ ტრასტში შეუძლია შექმნას ახალი (გამიჯვრისათვის - მეორე) ტრასტი, სადაც მას ექნება ტრასტის დამფუძნებლისა და ტრასტის მმართველის როლი და სადაც ტრასტის ქონებას წარმოადგენს პირველი ტრასტიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნები/მიღებული აქტივები²³⁹. აღნიშნულ (მეორე) ტრასტს, ბუნებრივია, ეყოლება სხვა ბენეფიციარი. ამ გზით, ფაქტობრივად, შედეგობრივად, ხდება პირველი ტრასტის ბენეფიციარის ცვლილება. მეტი თვალსაჩინოებისათვის:



ამ შემთხვევაში, ა-ს მის მიერ შექმნილ (მეორე) ტრასტში ჩვეულებრივ დაეკისრება ბენეფიციარის (ბ) წინაშე ის მოვალეობები, რაც ზოგადად ტრასტის მმართველს გააჩნია ტრასტის ბენეფიციარის მიმართ²⁴⁰.

➤ ტრასტის დამფუძნებლის სამართლებრივი მდგომარეობა

ტრასტის დამფუძნებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც ქონება კანონიერი და ექვითიდან გამომდინარე უფლების ფლობისა და გადაცემის შესაძლებლობა აქვს²⁴¹. მაგალითისათვის, დიდი ბრიტანეთის კანონით - **Law of Property Acts 1925**, არასრულწლოვანს არ შეუძლია ჰქონდეს მინაზე კანონიერი უფლება (თუმცა, მას შესაძლოა გააჩნდეს ექვითიდან გამომდინარე უფლება/ინტერესი)²⁴². აკრძალვები ვრცელდება შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირებზეც²⁴³ - შესაბამისი კანონი, სიტყვასიტყვით - „გონების ფუნქციონირების დარღვევის ან აშლილობის მქონე“, მართლმად მოწყვლად პირებს იცავს გაუცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან²⁴⁴.

ტრასტის დამფუძნებელი წყვეტს ტრასტთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ტრასტის ქონების ფორმა და მოცულობა, ბენეფიციარების ვინაობა და შესაბამისი ინტერესები/უფლებები, ტრასტის მმართველის ვინაობა და თავად ტრასტის მართვის პირობები. მას შეუძლია საკუთარი თავი დანიშნოს ტრასტის ერთადერთ ან ერთ-ერთ მმართველად²⁴⁵. შეიძლება ითქვას, რომ ტრასტის დამფუძნებელი ტრასტის ერთპიროვნული ავტორია. თუმცა, მას შემდეგ, რაც ტრასტი შეიქმნება, ტრასტის დამფუძნებელი მისი ამ სტატუსის ფარგლებში კარგავს ყოველგვარ უფლებას ტრასტის ქონებაზე, მათ შორის, მას არ აქვს ტრასტის მმართველების ხელმძღვანელო-

²³⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²³⁸ Glistler J., *supra* რეფერენსი 58, 6-014; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²³⁹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 8.

²⁴⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²⁴¹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 45.

²⁴² Law of Property Acts 1925, s. 1(6), <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/15-16/20/section/1>>, [18.08.2022].

²⁴³ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 47.

²⁴⁴ Mental Capacity Act 2005, s. 2, <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2005/9/section/2>>, [18.08.2022].

²⁴⁵ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 44.

ბის, მათთვის კონკრეტული მითითებების გაცემის უფლებამოსილება²⁴⁶. შეიძლება ითქვას, რომ **ტრასტის შექმნის შემდგომ, ტრასტის დამფუძნებლის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, როგორც სრულიად უცხო, უცნობი ადამიანის მიმართ**²⁴⁷.

ამგვარ დამოკიდებულებას იდეალურად აღწერს საქმე *Hulbert v Bowden*²⁴⁸. აღნიშნულ საქმეში განიხილებოდა ქალბატონის საქმე, რომელმაც მონაზვნად აღკვეცამდე, უქონლობისა და მორჩილების აღთქმიდან გამომდინარე თავისი საკუთრება სრულად გადასცა ტრასტის მმართველებს, კონკრეტული ბენეფიციარების სასარგებლოდ. მოგვიანებით, ქალბატონმა გადაიფიქრა მონაზვნობა, რის გამოც ტრასტის მმართველებს მოსთხოვა გადაცემული ქონების უკან დაბრუნება. სასამართლომ მიიჩნია, რომ **რამდენადაც ტრასტი უკვე შექმნილი იყო**²⁴⁹, **ტრასტის დამფუძნებელს უკვე დაკარგული ჰქონდა ყველანაირი მოთხოვნის უფლება ქონებაზე და, შედეგად, აღარ ჰქონდა მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება**²⁵⁰. მოსამართლის მითითებით, მას შემდგომ, რაც ტრასტის დამფუძნებელმა დანიშნა ტრასტის მმართველები და მათ გადაეცათ საკუთრების უფლება ქონებაზე, ტრასტის დამფუძნებელმა ქონება აქცია ტრასტის საგნად და დაკარგა მისი მოთხოვნის უფლება²⁵¹.

ამ კონტექსტში ტრასტის დამფუძნებლის პოზიცია/უფლებრივი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ კომპანიის პარტნიორის/აქციონერის პოზიციას. სამენარმეო სამართლის ფუნდამენტური, კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპის მიხედვით, საზოგადოება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტია და იმიჯნება მისი პარტნიორებისაგან. ამდენად, საზოგადოების/კომპანიის უფლებები და ვალდებულებები არ მიემატება და არ ეკუთვნის მის მენილეებს/აქციონერებს - კომპანიის უფლებები და მოვალეობები დამოუკიდებელი და გამიჯნულია მისი დამფუძნებლის უფლება/მოვალეობებისაგან, მათ შორის, მაშინაც კი, თუ კომპანიას სრულად ერთი პირი ფლობს („ერთი პირის კომპანია“²⁵²).

ხსენებულ ზოგად პრინციპს ინგლისის სამენარმეო სამართალში ადგენს პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე *Salomon v Salomon & Co Ltd*²⁵³, გამონაკლისის სახით საპირისპირო შედეგის დადგომის (კორპორაციული საბურველის გაჭოლვის შემთხვევები) წინაპირობებს კი ადგენს საქმე *Prest v Petrodel Resources*²⁵⁴. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ დასახელებულ ორ საქმეში წარმოდგენილი ზოგადი პრინციპები რელევანტურია ტრასტებისთვისაც. კერძოდ: 1. **საზოგადოება მისი დამფუძნებლისაგან დამოუკიდებელი/გამიჯნული სუბიექტია, კომპანიას არ მიეკუთვნება მისი დამფუძნებლის/მენილის უფლებები და მოვა-**

²⁴⁶ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 30.

²⁴⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

²⁴⁸ *Hulbert v Bowden*, 1936, Chapter 71; *Hudson A.*, *supra* რეფერენსი 76, 249; იხ. ასევე *Buckland W.W.*, *Settlement. Voluntary Settlement of Expectancy. Power of Receipt Given to Trustees. Receipt by Trustees. Settlor Claims Property as Her Absolute Property. Property Impressed by Trusts of the Settlement. Re Bowden; Hulbert v. Bowden*. [1936] Ch. 71, *The Cambridge Law Journal*, Vol. 6, No. 2, *Cambridge*, 1937, 251-252; იხ. ასევე *Mitchell Ch.*, *supra* რეფერენსი 193.

²⁴⁹ *Hudson A.*, *supra* რეფერენსი 76, 249.

²⁵⁰ *Buckland W.W.*, *Settlement. Voluntary Settlement of Expectancy. Power of Receipt Given to Trustees. Receipt by Trustees. Settlor Claims Property as Her Absolute Property. Property Impressed by Trusts of the Settlement. Re Bowden; Hulbert v. Bowden*. [1936] Ch. 71, *The Cambridge Law Journal*, Vol. 6, No. 2, *Cambridge*, 1937,

251-252; იხ. ასევე *Mitchell Ch.*, *supra* რეფერენსი 193. იხ. ასევე *Hudson A.*, *supra* რეფერენსი 76, 249.

²⁵¹ *Ramjohn M.*, *supra* რეფერენსი 46, 25; იხ. ასევე *Buckland W.W.*, *Settlement. Voluntary Settlement of Expectancy. Power of Receipt Given to Trustees. Receipt by Trustees. Settlor Claims Property as Her Absolute Property. Property Impressed by Trusts of the Settlement. Re Bowden; Hulbert v. Bowden*. [1936] Ch. 71, *The Cambridge Law Journal*, Vol. 6, No. 2, *Cambridge*, 1937, 251-252; იხ. ასევე *Mitchell Ch.*, *supra* რეფერენსი 193.

²⁵² „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

²⁵³ *House of Lords*, 1896, *Salomon v A Salomon and Co Ltd*, <<https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1896/1.html>>, [07.08.2022]

²⁵⁴ *Supreme Court*, 2013, *Prest v Petrodel Resources Ltd*, <<https://www.bailii.org/uk/cases/UKSC/2013/34.html>>, [07.08.2022].

ლებები. 2. პირველი პრინციპი არ მოქმედებს, თუ კომპანიის შექმნის ერთადერთი მოტივია მისი დამფუძნებლის მიერ პირადი პასუხისმგებლობის ან/და კანონისმიერი შეზღუდვების/აკრძალვების თავიდან არიდება²⁵⁵.

➤ ტრასტის მმართველის სამართლებრივი მდგომარეობა

ტრასტის მმართველის მთავარი პასუხისმგებლობა გადაცემული ქონების ბენეფიციარების სასარგებლოდ განკარგვაა²⁵⁶. ტრასტის მმართველად, თეორიულად, შესაძლოა დაინიშნოს ნებისმიერი პირი. თუმცა, პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია/უნარები - მაგალითისათვის, ახალშობილის ტრასტის მმართველად დანიშვნის გადაწყვეტილება იმთავითვე ბათილია.²⁵⁷ ტრასტის დამფუძნებლის მიერ ტრასტის მმართველად დასახელებული პირი აპრიორი არ არის ვალდებული, რომ დათანხმდეს ქონების მიღებასა და ტრასტის მმართველის როლს. უარი ტრასტის მმართველად დანიშვნაზე ასევე უდრის უარს ქონებაზე კანონიერი საკუთრების მიღებაზე. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პირმა თანხმობა განაცხადა ტრასტის მმართველად მის დანიშვნაზე, აღნიშნული ნების გამოვლენა მისთვის უკვე სავალდებულოა და ის შეზღუდულია ტრასტის მმართველის ვალდებულებებით. თანხმობა შესაძლოა განხორციელდეს როგორც პირდაპირი დათანხმებით, ისე - აღნიშნული შინაარსის მატარებელი ქმედებების განხორციელებით, მათ შორის, ქონების მართვის დაწყებით²⁵⁸.

როგორც წესი, ტრასტის მმართველისათვის მინიჭებული უფლებები/მისთვის განსაზღვრული ქმედებები, მათ შორის, მოიცავს: ტრასტის ქონების ინვესტირებას, ტრასტის ქონების გაყიდვას ან შეძენას, ინვესტიციის სხვადასხვა სა-

ხის შერჩევას/რეინვესტირების ფორმის არჩევას, ტრასტის ქონებად ქცეული ბიზნესის მართვას²⁵⁹.

ტრასტის მმართველის პასუხისმგებლობა, ტრასტის ქონება მართოს მხოლოდ ბენეფიციარების სასარგებლოდ, ფიდუციური ხასიათისაა²⁶⁰, შესაბამისად, მოიცავს კეთილსინდისიერად მოქმედების („good faith“) ვალდებულებასაც²⁶¹. სატრასტო ურთიერთობის მთავარი მახასიათებელია პირისადმი ნდობა, რწმენა, რომ ის იმოქმედებს ბენეფიციარების და არა - საკუთარი თავის სასარგებლოდ²⁶². ტრასტის მმართველმა საკუთარი მოვალეობების შესრულებისას უნდა იმოქმედოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ და თავიდან უნდა აირიდოს კონფლიქტი მისსა და ბენეფიციარების ინტერესებს შორის²⁶³. აღნიშნული მოიცავს, მათ შორის, ტრასტის მმართველის ვალდებულებებს, იმოქმედოს მიუკერძოებლად, შეინარჩუნოს ტრასტის ქონება პირადი ქონებისაგან დამოუკიდებლად და არ შეიძინოს ტრასტის ქონება თავად²⁶⁴. ტრასტის მმართველს საქმიანობაში სრული დისკრეცია აქვს, თუ შესაბამის ფარგლებში და ფიდუციური მოვალეობის დაცვით ახორციელებს თავის ვალდებულებებს. ბენეფიციარებს არ აქვთ უფლება, დაავალდებულონ ტრასტის მმართველი კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე ან/და მისგან თავის შეკავებაზე. თუმცა, ბენეფიციარებს უფლება აქვთ აკონტროლონ ტრასტის მმართველის მიერ მოვალეობების სათანადოდ განხორციელება, მათ შორის, სასამართლო გზით²⁶⁵.

ტრასტის მმართველები წარმოადგენენ ტრასტს საზოგადოების ღირექტორების მსგავსად²⁶⁶. გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის მმართველებს, მათთვის მინიჭებული საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით, მათი მდგომარეობის ბოროტად/არასათანადოდ გამოყენების ფაქტობრივი შესაძლებლობა აქვთ, ექვეითის

²⁵⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26.

²⁵⁶ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265, 355.

²⁵⁷ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 44.

²⁵⁸ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 381.

²⁵⁹ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 355.

²⁶⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 45; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265.

²⁶¹ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 355.

²⁶² Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26.

²⁶³ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265.

²⁶⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 428.

²⁶⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265.

²⁶⁶ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 55.

სამართალი მათთვის საკმაოდ მკაცრ და მომთხოვნ დათქმებს/მოვალეობებს ადგენს. მათ შორის, ტრასტის მმართველები **პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი ტრასტის ქონების არასათანადო განკარგვისათვის, რაც შესაძლოა ინვესტდეს ტრასტის გაბანკროტება-საც/შემდგომ გადახდისუუნარობას**²⁶⁷.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრასტის კონცეპტში მომხდარ ორ ძირითად ისტორიულ ცვლილებას შორის ერთ-ერთი სწორედ ტრასტის მმართველის ფუნქციას ეხება. ისტორიულად, XVII საუკუნემდე, ტრასტის მმართველის როლი უფრო მეტად ფორმალური ხასიათის იყო - ეთითებოდა მხოლოდ სამართლებრივ დოკუმენტაციაზე და არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ტრასტის ქონების მართვასა და ზედამხედველობაში. აღნიშნულის საპირისპიროდ, თანამედროვე ტრასტებში ტრასტის მართველის ძირითადი ვალდებულება სწორედ ტრასტების მართვა - ტრასტის აქტივების მართვა და კონტროლი ბენეფიციარის ინტერესების შესაბამისად. ამ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის (თუ სათანადო/გონივრულ ზრუნვას არ გამოიჩინენ) ტრასტის მმართველებმა შესაძლოა ფინანსურად პირადადაც აგონ პასუხი²⁶⁸.

➤ ბენეფიციარის სამართლებრივი მდგომარეობა

ტრასტის ბენეფიციარები უნდა იყვნენ პირები, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია - კონკრეტული სუბიექტები ან/და სუბიექტთა კლასი/წრე, იმგვარად რომ შესაბამისი წრე არ იყოს ზედმეტად ფართო²⁶⁹. აღნიშნული დათქმიდან გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარად სახელდება ჯერ არდაბადებული ბავშვი. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი წინასწარ განუსაზღვრელია და ტრასტის მმართველის მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას აკონტროლებს სასამართლო²⁷⁰.

ტრასტის მმართველს უნდა შეეძლოს ბენეფიციართა სიის/ვინაობების ზუსტი განსაზღვრა²⁷¹.

სატრასტო ურთიერთობის ფარგლებში ბენეფიციარებს ექვითიდან გამომდინარე მინიჭებული აქვთ **როგორც სანივთო, ისე - ვალდებულებითი უფლებები (proprietary & personal rights)**²⁷². ბენეფიციარს სანივთო, აბსოლუტური უფლება გააჩნია ტრასტის ქონებაზე, მისგან სარგებლის მიღების მოთხოვნის ნაწილში და ნებისმიერი მესამე პირისგან ამ უფლების დაცვის უფლებამოსილების სახით. მეორე მხრივ, ამავედროულად ბენეფიციარს შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები ტრასტის მმართველს, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების, არასათანადო გამოყენების ან/და დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის გამო. ამდენად, ამ ნაწილში ბენეფიციარი აღჭურვილია ვალდებულებითი უფლებამოსილებითაც. აღნიშნული უფლება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ტრასტის მმართველს ბენეფიციარის მიმართ გააჩნია ფიდუციური ვალდებულებები²⁷³.

როგორც საკუთრების ექვითიდან გამომდინარე მფლობელებს, ბენეფიციარებს მინიჭებული აქვთ უფლება, მოითხოვონ ტრასტის სათანადო მართვა. **მათ შეუძლიათ სარჩელი აღძრან ტრასტის მმართველის ან ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ**, მათ შორის, ტრასტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით²⁷⁴. როგორც წესი, ბენეფიციარებს არ გააჩნიათ ტრასტის მმართველის მიერ ქონების მართვის დისკრეციაში ჩარევის უფლებამოსილება, თუმცა, ბენეფიციარებს შეუძლიათ სასამართლო გზით მოითხოვონ ტრასტის მმართველის მიმართ სათანადო ზომების გატარება, თუ სახეზეა ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგანი:

1. ტრასტის მმართველი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საერთოდ არ

²⁶⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26.

²⁶⁸ STEP, *supra* რეფერენსი 2, 9.

²⁶⁹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 22.

²⁷⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 46.

²⁷¹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 26.

²⁷² Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 45.

²⁷³ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 43.

²⁷⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 42.

იყენებს დისკრეციას - ფართო საზღვრებში გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას;

2. ტრასტის მმართველი მოვალეობებს ასრულებს **არასათანადო/შეუსაბამო მოტივებზე დაყრდნობით**;
3. ტრასტის მმართველი მხოლოდ **ფორმალურად - სათანადო ჩართულობისა და განსჯის გარეშე ახორციელებს საკუთარ ვალდებულებებს**²⁷⁵.

ბენეფიციარების ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა ტრასტის ქონების არასათანადო გასხვისების გარიგების ბათილობის მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი კეთილსინდისიერი (*bona fide*) შემძენია²⁷⁶.

ბენეფიციარებს შეუძლიათ, ტრასტით მათთვის მიკუთვნებული უფლებები სრულად გადასცენ ან უწილადონ სხვა პირებს²⁷⁷. კონკრეტულ შემთხვევებში, ბენეფიციარებს ასევე შეუძლიათ ტრასტის არსებობის შეწყვეტა - როგორც ზემოთ განიმარტა, ქონებაზე ტრასტის მმართველის კანონისმიერი უფლებებისა და ბენეფიციარების ექვიტიდან გამომდინარე, სარგებლის მიღების უფლებების გაერთიანებით. ასეთ შემთხვევებში ბენეფიციარები ტრასტის მმართველებს მოსთხოვენ, რომ მათ გადასცენ ქონებაზე ფორმალური საკუთრება, საკუთრების „გახლეჩის“ ელემენტის არარსებობის შემთხვევაში კი, ტრასტი წყვეტს არსებობას. **ბენეფიციარს ამგვარი მოთხოვნის უფლება ყოველთვის არ გააჩნია** - აღნიშნული ხდება ტრასტის აქტივში შესაბამისი დათქმის არსებობისას, თუ მაგალითად პირმა მიაღწია სრულწლოვანებას, ტრასტის აქტით განსაზღვრულ სხვა ასაკს ან დადგა აქტით გათვალისწინებული სხვა შედეგი, მაგალითად, თუ ბენეფიციარს შეეძინა შვილი²⁷⁸.

➤ ტრასტის მმართველის მიერ ტრასტის ქონების მესამე პირისთვის გადაცემის რეგულირება

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ფიდუციური ურთიერთობის შემთხვევაში²⁷⁹, სატრასტო ურთიერთობაშიც არსებობს ფიდუციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის რისკი²⁸⁰. თუ როგორ არეგულირებს სატრასტო ინსტიტუტი აღნიშნული რისკის რეალიზების შემთხვევებს, მისი გამოყენებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ტრასტის მმართველის მიერ ქონებაზე საკუთრების მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, როგორც წესი, ბენეფიციარს გააჩნია აღნიშნული გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება²⁸¹. აღნიშნული ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ქონებას სასყიდლიანად იძენს კეთილსინდისიერი (*bona fide*) პირი, გონივრული წინდახედულობის საფუძველზე და იგი წინასწარ არავის გაუფრთხილებია²⁸².

აღნიშნული მიდგომა ჯერ კიდევ XV საუკუნეში ჩამოაყალიბა ლორდ-კანცლერის სასამართლომ, ტრასტების სამართლის კონტურების გაჩენისთანავე²⁸³. სასამართლოს შეფასებით, გადაცემული ტრასტის ქონება დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ ტრასტის მმართველმა ქონებაზე ფორმალური საკუთრება (*legal title*) სასყიდლიანად გადასცა კეთილსინდისიერ პირს და თუ მას არ გააჩნდა ცოდნა/ის არ გაუფრთხილებიათ აღწერილი მოცემულობის თაობაზე²⁸⁴. ასეთი შემძენი გადაცემულ ქონებაზე საკუთრებას მოიპოვებს ბენეფიციარზე უპირატესად, უგულებელყოფილი იქნება ბენეფიციარის უფლება²⁸⁵, ისევე როგორც ეს ქართულ სამართალში ხდება, კანონიერი მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების შეპირისპირებით.

²⁷⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 355.

²⁷⁶ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 27; იხ. ასევე Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 46.

²⁷⁷ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26.

²⁷⁸ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 392, 401.

²⁷⁹ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 174.

²⁸⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

²⁸¹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 5, 10-12.

²⁸² Glistler J., *supra* რეფერენსი 58, 1-018, 2; იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 358; იხ. ასევე Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 32.

²⁸³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 28.

²⁸⁴ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 10-12.; იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 159.

²⁸⁵ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 28.

რებისას. ამდენად, აღწერილ შემთხვევაში, შემძენი მოიპოვებს აბსოლუტურ, უპირობო და უდავო საკუთრებას, ექვითის სამართლით²⁸⁶.

საქმეზე *James LJ in Pilcher v Rawlins*²⁸⁷ კანცლერის სასამართლომ დაადგინა, რომ თუ შემძენმა სათანადო წინდახედულება გამოიჩინა და, ამასთან, ის წინასწარ არავის გაუფრთხილებია, ქონებაზე მის მიერ მოპოვებული საკუთრების უფლება აბსოლუტურია და პირი დაცულია ყოველგვარი სამართლებრივი მოთხოვნებისაგან.

შედარებით მოგვიანებით, საქმეზე *Midland Bank Trust Co v Green*²⁸⁸ სასამართლომ უფრო დეტალიზებულად განსაზღვრა, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ტრასტის ქონების შემძენი, რომ ის ქონების ნამდვილ მესაკუთრედ ჩაითვალოს. სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ტრასტის ქონებაზე საკუთრების მოპოვება, ბენეფიციარის ინტერესის საპირისპიროდ, ექვითის სამართლის ნაყოფია²⁸⁹. ექვითის სამართლის მიდგომების განმარტებისას სასამართლომ დააზუსტა, რომ პირის კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად საჭირო იყო არა მხოლოდ გაფრთხილების არარსებობა, არამედ - გაფრთხილების არარსებობა პირის მხრიდან აუცილებლად სამართლიანი და პატიოსანი დამოკიდებულების/მიდგომის ფონზე. სასამართლოს მითითებით, კეთილსინდისიერება არ შეიძლებოდა განსაზღვრულიყო მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების არარსებობით - ექვითის სამართლის ორიენტირი აქაც უშუალოდ პირის სუბიექტური მხარე, მისი სინდისი უნდა ყოფილიყო²⁹⁰.

გაფრთხილების არარსებობას გამორიცხავს როგორც შემძენის მიერ ცალსახა ცოდნის ფაქტი, ისე - შესაბამის ფაქტებზე განზრახ თვალის დახუჭვა. პირი გაფრთხილებულად ჩაითვლება მაშინაც, თუ ივარაუდება, რომ მას უნდა შეეტყო ფაქტის შესახებ²⁹¹. კერძოდ,

თუ შემძენი გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაბამისი მოკვლევის ჩატარების შემთხვევაში, გაიგებდა ტრასტის მმართველის მიერ ქონების უკანონოდ განკარგვის მცდელობის თაობაზე²⁹². აღნიშნული პრინციპი დგინდება, მათ შორის, საქმით *MCC Proceeds v Lehman Bros International (Europe)*²⁹³, რომელიც წილებზე საკუთრების უფლებას ეხებოდა. გაფრთხილების არარსებობად ასევე არ ჩაითვლება ის შემთხვევები, როდესაც, მართალია, თავად შემძენს არ გააჩნდა ცოდნა გამყიდველის უფლებამოსილების შეზღუდვაზე, თუმცა აღნიშნული ცნობილი იყო მისი აგენტისათვის, მაგალითად გარიგებაში ჩართული იურისტისათვის (*imputed notice*)²⁹⁴.

აღნიშნული შემთხვევის გადაწყვეტისას, ყურადსაღებია, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი კეთილსინდისიერი, „უდანაშაულო მხარის“ - ბენეფიციარისა და ქონების ახალი შემძენის ინტერესები. ერთი მხრივ, ბენეფიციარს გააჩნია ექვითიდან გამომდინარე სტატუსი/საკუთრება, ქონების შემძენი კი ტრასტის მმართველისაგან იღებს ფორმალურ/კანონიერ საკუთრებას. აღნიშნული უფლებების შეთანასწორებისას სასამართლო, ისევე ექვითის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, უპირატესობას კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს²⁹⁵. კერძოდ, სასამართლო ეყრდნობა მაქსიმას, რომლის თანახმადაც „როდესაც ექვითიდან გამომდინარე უფლებები/ინტერესები თანაბარია, კანონი უპირატესია“ (*‘where the equities are equal the law prevails’*)²⁹⁶. ითვლება, რომ აღნიშნული პრინციპი გადანონის სხვა ანალოგიურ მაქსიმას, რომლის თანახმადაც: „როდესაც ექვითიდან გამომდინარე უფლებები/ინტერესები თანაბარია, უპირატესია დროში პირველი“ (*Where the*

²⁸⁶ Court of Appeal, 1872, *Pilcher v Rawlins*, წიგნიდან *Panesar S.*, *supra* რეფერენსი 68, 33.

²⁸⁷ Court of chancery, 1872, *James LJ in Pilcher v Rawlins*.

²⁸⁸ House of Lords, 1981, *Midland Bank Trust Co v Green*.

²⁸⁹ *Ramjohn M.*, *supra* რეფერენსი 46, 28.

²⁹⁰ House of Lords, 1981, *Midland Bank Trust Co v Green*.

²⁹¹ *Wendel P.*, *supra* რეფერენსი 113, 358.

²⁹² *Ramjohn M.*, *supra* რეფერენსი 46, 28.

²⁹³ Court of Appeal, 1998, *MCC Proceeds v Lehman Bros International (Europe)*.

²⁹⁴ *Panesar S.*, *supra* რეფერენსი 68, 33.

²⁹⁵ *Ramjohn M.*, *supra* რეფერენსი 46, 29.

²⁹⁶ *Glistler J.*, *supra* რეფერენსი 58, 1-029; იხ. ასევე *Ramjohn M.*, *supra* რეფერენსი 46, 29.

equities are equal the first in time prevails)²⁹⁷. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პირის სუბიექტური მხარე ექვითის მოთხოვნებთან შესაბამისია, კანონის მიხედვით, ქონებაზე საკუთრებას მოიპოვებს ახალი შემძენი²⁹⁸.

➤ გამოსხმობადი და გამოუხმობადი ტრასტები

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გამოსხმობად და გამოუხმობად ტრასტებს²⁹⁹. გამოსხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრასტის დამფუძნებელს შეუძლია ტრასტის გამოსხმობა, რაც ხელშეკრულების შეწყვეტის იდენტური შედეგების მომტანია. ტრასტის გამოსხმობის შემთხვევაში ტრასტის დამფუძნებელს შეუძლია მოითხოვოს ტრასტის ქონების უკან დაბრუნება³⁰⁰.

ჩვეულებითი სამართლის ტრადიციული მიდგომის თანახმად, ტრასტი გამოუხმობად ითვლება, თუ პირდაპირ არ არის საპირისპირო დადგენილი³⁰¹. ტრასტი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს როგორც გამოსხმობადი, ისე - გამოუხმობადი ან ანდერძისმიერი ტრასტის სახით. ტრასტი გამოსხმობადად უნდა ჩაითვალოს, თუ ტრასტის დამფუძნებელს გააჩნია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი უფლებამოსილება მანძი:

- ❖ მიიღოს სარგებელი ტრასტის ქონების ან მისგან მიღებული შემოსავლის განაწილებაში;
- ❖ გადააყენოს არსებული ტრასტის მმართველი და დანიშნოს სხვა;
- ❖ დანიშნოს ახალი ბენეფიციარები;
- ❖ შეცვალოს ზედამხედველი (trust protector), თუ ის ტრასტის მმართველის იდენტური უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი;
- ❖ შეცვალოს ტრასტის აქტი;
- ❖ გამოიხმოს ტრასტი;
- ❖ მოითხოვოს ტრასტის ლიკვიდაცია;

❖ ტრასტის აქტივებთან დაკავშირებით ტრასტის მმართველის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაადოს ვეტო.³⁰²

როგორც წესი, გამოსხმობადი ტრასტის ფორმით ყალიბდება საანდერძო ტრასტები. ისტორიულად, სასამართლოებს უჭირდათ გადაწყვეტა, იყო თუ არა გამოსხმობადი ანდერძისმიერი ტრასტი ნამდვილი, იმ ფონზე, რომ მოანდერძე ტრასტის დამფუძნებლის სტატუსთან ერთად ამავდროულად ტრასტის მმართველისა და, თავისი ცხოვრების განმავლობაში, ბენეფიციარის როლსაც ითავსებდა. თანამედროვე მიდგომით, სასამართლოები თანხმდებიან, რომ გამოსხმობადი ანდერძისმიერი ტრასტი ანდერძის ნამდვილი ჩამნაცვლებელია³⁰³. ამერიკის შეერთებული შტატების ტრასტების კოდექსი (*Uniform Trust Code*) კიდევ უფრო შორსაც მიდის და ადგენს, რომ ტრასტის აქტით განსაზღვრული ბენეფიციარის ინტერესი/უფლება არ წამოიშობა მანამ, სანამ ტრასტის დამფუძნებელი/მოანდერძე არ გარდაიცვლება³⁰⁴.

ჩვეულებითი სამართლის ტრადიციული მიდგომის თანახმად, თუ ტრასტი დუმს მისი გამოსხმობადობის თაობაზე, ის გამოუხმობადია. თუ ტრასტი გამოსხმობადია და ცხადად უთითებს გამოსხმობის კონკრეტულ ფორმაზე/მეთოდზე, მხოლოდ აღნიშნული მეთოდის გამოყენებით არის შესაძლებელი ტრასტის გამოსხმობა. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გამოსხმობადი ტრასტი და ტრასტის აქტით არ კონკრეტდება გამოსხმობის სპეციალური ფორმა ან მეთოდი, ტრასტის გამოსხმობად საკმარისი იქნება ნებისმიერი მეთოდი, რომელიც აღქმადს ხდის/აჩვენებს ტრასტის დამფუძნებლის განზრახვას ტრასტის გამოსხმობის თაობაზე³⁰⁵.

მაგალითისათვის, ისევ აშშ-ის ტრასტების კოდექსის თანახმად³⁰⁶:

²⁹⁷ Glister J., *supra* რეფერენსი 58, 1-030.

²⁹⁸ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 55.

²⁹⁹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 91.

³⁰⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 257.

³⁰¹ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 257, 288.

³⁰² Mark Barmes M., Trust business in Switzerland - do's and don'ts, 2-3.

³⁰³ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 48.

³⁰⁴ Uniform Trust Code (Last Revised or Amended in 2010) with Preparatory Note and Comments, <<https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=73cfb939-8b5b-53f6-bc09-6323e26f3d&forceDialog=0>>, [13.08.2022].

³⁰⁵ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 48.

³⁰⁶ Uniform Trust Code (Last Revised or Amended in 2010) with Preparatory Note and Comments,

1. ტრასტი გამოხმობადია, თუ პირდაპირ არ არის მითითებული სანინააღმდეგო;
2. თუ ტრასტი გამოხმობადია და აშკარად უთითებს გამოხმობის კონკრეტულ ფორმაზე, ეს მეთოდი მაინც არ ჩაითვლება ექსკლუზიურად, თუ სანინააღმდეგოს პირდაპირ არ ადგენს ტრასტის აქტი;
3. ტრასტის შექმნის შემდგომ დაწერილ ანდერძს შეუძლია ტრასტის გამოხმობა სრულად, ან ნაწილობრივ;
4. როდესაც გამოხმობისათვის კონკრეტული მეთოდი განსაზღვრული, ტრასტის გამოხმობისათვის საჭიროა მხოლოდ ამ მეთოდთან არსებითი შესაბამისობა.

ანდერძისმიერი ტრასტისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურებაა, რომ სანამ გამოხმობადი ტრასტის დამფუძნებელი თავად არის ტრასტის ბენეფიციარი (ე.ი. დამფუძნებლის/მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე), დამფუძნებლის კრედიტორებს შეუძლიათ მოთხოვნის დაკმაყოფილება ტრასტის ქონებიდანაც, დამფუძნებლის გარდაცვალების შემდგომაც კი.

➤ ტრასტის შეწყვეტა და შეცვლა

ტრასტის მოქმედება ავტომატურად წყდება მას შემდეგ, რაც ტრასტის მთელი ქონება განიკარგება/განაწილდება ტრასტის აქტის შესაბამისად³⁰⁷. თუმცა, ასევე საყურადღებოა, რომ განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში ტრასტის პირობები შესაძლოა შეიცვალოს³⁰⁸, ან ტრასტი შესაძლოა შეწყდეს მოსალოდნელ ვადაზე ადრე³⁰⁹.

აღნიშნული მსჯელობა, ბუნებრივია, მიესადაგება მხოლოდ გამოუხმობად ტრასტს. გამოხმობადი ტრასტის შემთხვევაში მხოლოდ ტრასტის დამფუძნებლის ნებაზე საკმარისია ტრასტის პირობების ნებისმიერ დროს შესაცვლელად ან ტრასტის შეწყვეტისათვის³¹⁰. გამოუხმობადი

ტრასტის შემთხვევაში ტრასტის პირობების ცვლილების ან/და შეწყვეტისათვის ინგლისის სასამართლოები, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით³¹¹, **საკმარისად მიიჩნევენ ყველა სრულწლოვანი ბენეფიციარის შეთანხმებას³¹²**. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარების ნაწილი არასრულწლოვანია, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლო დაიცავს მათ ინტერესებს³¹³. სრულწლოვანების მიღწევა საკმარისად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ტრასტის დამფუძნებელს ქონების განაწილებისათვის ბენეფიციარის მიერ უფრო დიდი წლოვანება (მაგ: 25 წელი) ჰქონდა განსაზღვრული³¹⁴.

პარალელისათვის, ამერიკული რეგულირებით ტრასტის პირობების შეცვლა ან ტრასტის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია, განურჩევლად ტრასტის პირობებისა/მიზნებისა, შემდეგ შემთხვევებში³¹⁵:

- ყველა ბენეფიციარი და ტრასტის დამფუძნებელი შეთანხმდებიან აღნიშნულზე;
- ყველა ბენეფიციარი და ტრასტის მმართველი ან მმართველები შეთანხმდებიან აღნიშნულზე;
- როდესაც ყველა ბენეფიციარი თანახმაა, მაგრამ ტრასტის მმართველი ეწინააღმდეგება შესაბამის გადაწყვეტილებას - სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოების მიერ განვითარებული დოქტრინის თანახმად, დასახელებულ შემთხვევაში სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ტრასტის ვადაზე ადრე შეწყვეტას, თუ ამავდროულად:
 - არ არსებობს შეუსრულებელი მატერიალური მიზანი. ასეთი შეიძლება იყოს ტრასტის შეწყვეტისათვის ბენეფიციარების კონკრეტულ ასაკამდე მიღწევის მოთხოვნა (Clafin doctrine).

<<https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=73cfb939-8b5b-53f6-bc09-6323e8e26f3d&forceDialog=0>>, [13.08.2022].

³⁰⁷ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 62.

³⁰⁸ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 182.

³⁰⁹ Moffat G., *supra* რეფერენსი 122, 49.

³¹⁰ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 62.

³¹¹ High Court, 1841, *Saunders v Vautier*; იხ. ასევე Court of Appeal, 1967, *Gosling v Gosling*.

³¹² Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 243, 639.

³¹³ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 62.

³¹⁴ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 243, 640.

³¹⁵ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 62, 63.

- თანამედროვე მიდგომით, შესაძლოა არსებობდეს შეუსრულებელი მატერიალური მიზანი, მაგრამ მაინც შეიცვალოს ტრასტის პირობები ან შეწყდეს ის, თუ აღნიშნული ემსახურება გამორჩეულად კარგ მიზანს, შედის ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესებში ან შეცვლილი გარემოებები „გადაწონის“ ტრასტის დამფუძნებლის თავდაპირველ განზრახვას.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბენეფიციარი არასრულწლოვანია, ან ჯერ არ დაბადებულა, სასამართლო ნიშავს მათთვის წარმომადგენელს, რომლებიც ბენეფიციარების მიერ გადამწყვეტილების მიღების პროცესში აწელებენ და იცავენ აღნიშნული ბენეფიციარების ინტერესებს³¹⁶.

ტრასტის პირობების იმგვარი ცვლილება, რაც გულისხმობს ტრასტის მმართველის გადაყენებას პოზიციიდან, განსხვავებულად წესრიგდება. ისტორიულად, ტრასტის მმართველის გათავისუფლება/გადაყენება არ ხდებოდა ყველა ბენეფიციარის შეთანხმების შემთხვევაშიც კი - გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტრასტის მმართველი მისი სამსახურისათვის შეუსაბამო პირი იყო ან სერიოზულად არღვევდა თავის მოვალეობებს. დღესდღეობით, ტრასტის მმართველის გადაყენება უფრო მარტივია და შეუძლია ტრასტის დამფუძნებელს, ტრასტის სხვა მმართველს, ბენეფიციარებს (ყველა ბენეფიციარის თანხმობით)³¹⁷ და სასამართლოსაც კი³¹⁸. აღნიშნულისათვის უნდა არსებობდეს ერთ-ერთი პირობა:

1. ტრასტის მმართველმა სერიოზულად დაარღვია თავისი მოვალეობები;
2. ტრასტის სხვა მმართველებთან მისი დაპირისპირება აზიანებს ტრასტის სხვა მმართველ(ებ)ის მიერ ტრასტის მართვის პროცესს.
3. გარემოებები არსებითად არის შეცვლილი.

4. ყველა ბენეფიციარი ითხოვს ტრასტის მმართველის გადაყენებას და აღნიშნული ისე ემსახურება ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესებს, რომ არ აზიანებს ტრასტის მიზანს³¹⁹.

ტრასტის მმართველის შეცვლა/„გადაყენება“ ასევე ხდება მმართველის გარდაცვალების შემთხვევაშიც³²⁰. აღნიშნული, იშვიათად მაგრამ მაინც, შესაძლოა ასევე მოხდეს ტრასტის აქტში ტრასტის მმართველის გადაყენებაზე მითითების საფუძველზე³²¹.

➤ ტრასტი და კომპანია (სამეწარმეო საზოგადოება)

ტრასტს, განსხვავებით სამეწარმეო საზოგადოებისაგან, არ გააჩნია სამართალსუბიექტობა - არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს³²². თუმცა, ტრასტი თავისი ბუნებით საკმაოდ ახლოს დგას კომპანიასთან. ტრასტის ქონების სამართლებრივი რეგულირება ისეთივეა, როგორც კომპანიის საკუთრების. კერძოდ, ისევე როგორც კომპანიის დირექტორებისა და დამფუძნებლების კრედიტორებს არ შეუძლიათ მოთხოვნების დაკმაყოფილება კომპანიის ქონებიდან, ისე - ტრასტის მმართველისა და დამფუძნებლების კრედიტორებს არ შეუძლიათ მოთხოვნების წაყენება ტრასტის ქონების წინააღმდეგ³²³. შესაბამისად, შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კომპანიები ტრასტების კარგი ჩამნაცვლებელია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეფასება გარკვეულ ჭეშმარიტებას ნამდვილად შეიცავს, ჯამში, ამ ორ კონცეპტს შორის არსებული დამოკიდებულების სწორ აღწერად მაინც ვერ ივარგებს.

კითხვაზე, თუ რას მატებს ტრასტების სამართალი საკორპორაციო სამართალს, პასუხია მოქნილობა. ტრასტები თავისუფალნი არიან ბევრი იმ შეზღუდვისა და რეგულირებისაგან (მათ

³¹⁶ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 64.

³¹⁷ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 387.

³¹⁸ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 386.

³¹⁹ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 64.

³²⁰ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 383.

³²¹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 384.

³²² Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 1-100.

³²³ Hansman H., Mattei U., *The Functions of Trust Law: a Comparative Legal and Economic Analysis*, New York, 1998, 472.

შორის, რეგისტრაციისა და რეპორტირების მოთხოვნები³²⁴, რომლებიც ვრცელდება კომპანიებზე, ყველაზე ლიბერალური საკორპორაციო სამართლის მქონე ქვეყნებშიც კი. აღნიშნულ საკანონმდებლო მოთხოვნებს შორის შესაძლოა გამოვყოთ, მათ შორის, საზოგადოებისათვის **კორპორაციული მართვის კუთხით დადგენილი მოთხოვნები**: დირექტორთა საბჭოს დაკომპლექტება და კონტროლი³²⁵, პარტნიორთა კრების ყოველწლიურად გამართვის ვალდებულება და ა.შ. ამასთან, კომპანიებს წილების ოდენობის გასაზრდელად ესაჭიროებათ პარტნიორთა კრების თანხმობის მოპოვება. მსგავსი პროცედურული მოთხოვნა არ არსებობს ტრასტების შემთხვევაში - მაგალითად, ტრასტის ფორმით მოქმედ საერთო საინვესტიციო ტრასტფონდს შეუძლია ყოველთვის მზად იყოს როგორც ბენეფიციარ მფლობელთა ოდენობის, ისე - მათ კუთვნილებაში მყოფი მოთხოვნის სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდისათვის³²⁶. შესაბამისად, **ტრასტი, მათ შორის, მეტ კონფიდენციალობასაც უზრუნველყოფს.**

ტრასტების კიდევ ერთ უპირატესობად შესაძლოა მიჩნეულ იქნას კომპანიებისგან განსხვავებული მოწესრიგება მმართველობითი მოწყობის ნაწილში. კომპანიებში საზოგადოების პარტნიორთა რომელიმე კლასს მაინც მიეკუთვნება უფლება, რომ პირდაპირ (ერთსაფეხურიანი მოწყობა) ან ირიბად (ორსაფეხურიანი სისტემა) ჩაერიოს დირექტორატის დაკომპლექტებასა და ფუნქციონირებაში. აღნიშნულის საპირისპიროდ, **ტრასტების შემთხვევაში მმართველები არ არიან ბენეფიციარების მხრიდან პირდაპირი კონტროლის ქვეშ³²⁷.**

აღწერილი განსხვავება შესაძლოა ტრასტების სასარგებლოდ მეტყველებდეს არა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბენეფიციარები არასაკმარისი კომპეტენციის მქონენი არიან, არამედ - მაშინაც, როდესაც მიმღებებს

(აქ: ბენეფიციარები და პარტნიორები) ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გააჩნიათ და საჭიროა მათი დაბალანსება³²⁸. მსგავს სიტუაციებში, ცალსახად უმჯობესია, რომ მმართველი აღჭურვილი იყოს უფრო ფართო დისკრეციითა და უფლებამოსილებებით, სხვაგვარად, 1. თუ სარგებლის მიმღებთა (აქ: საზოგადოების პარტნიორები) ცალკეულ ჯგუფს (აქ: პარტნიორთა ერთ კლასს) ექნება უფლება, მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორები, აღნიშნული დააზარალებს სხვა პარტნიორების ინტერესებს და 2. თუ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სხვა პარტნიორებთან შეთანხმებით, წარმოიშობა დროში განელილი პროცესებისა და დედლოქების (გადაწყვეტილებაზე შეთანხმების შეუძლებლობა) საფრთხე. ტრასტის შემთხვევაში ზემოთ აღწერილი რისკები გადაჭრილია იმით, რომ **მმართველი შებოჭილია მხოლოდ და მხოლოდ ფიდუციური ვალდებულებებით და არ არის მიმღებების (აქ: ბენეფიციარების) სხვაგვარი კონტროლის ობიექტი³²⁹.**

ეს წყალგამყოფი განსაკუთრებით კარგად იკვეთება ამერიკული სასამართლოების გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც: ტრასტში, რომელშიც ბენეფიციარებს გააჩნიათ ტრასტის მმართველის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება, ბენეფიციარების მხრიდან კონტროლი იმდენად არსებითად ჩაითვლება, რომ **შესაბამისი ურთიერთობები დაკვალიფიცირდება საზოგადოებად, ნაცვლად - ნამდვილი ტრასტისა და ბენეფიციარებს დაეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობები (კორპორაციული საბურველის გაჭოლვის შემთხვევებში)³³⁰.**

³²⁴ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 4, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

³²⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 90.

³²⁶ Hansman H., *supra* რეფერენსი 323, 473.

³²⁷ *Id.*, 474.

³²⁸ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 88.

³²⁹ Hansman H., *supra* რეფერენსი 323, 474; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 90.

³³⁰ Supreme Court of California, 1930, Goldwater v Oltman.

1.1.2.3. ტრასტების მეშვეობით უზრუნველყოფილი სერვისები

კონცეპტი, რომელიც თავდაპირველად რაინდების ლაშქრობებში ყოფნის დროს მათი ოჯახების ფინანსურად უზრუნველსაყოფად შეიქმნა³³¹, დღესდღეობით საკმაოდ ფართო დანიშნულებითა და უამრავი სხვადასხვა მოტივით გამოიყენება, მათ შორის - რთული კომერციული³³² და ფინანსური მიზნების განსახორციელებლად³³³. ტრასტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც „ოჯახური სიტუაციების“ ეფექტური მოგვარების მექანიზმი, ისე - მთელი რიგი კომერციული ტრანზაქციების ან/და საქველმოქმედო მიზნებისათვის³³⁴.

ტრასტის ინსტიტუტის არსებობის ხანგრძლივი ისტორია (რაც სამართლებრივი კონსტრუქტის წარმატებულობის უმთავრეს ინდიკატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ) მისი მოქნილობით, ადაპტირებადობითა და მუდმივი განვითარებით შეგვიძლია ავსხნათ³³⁵. მიუხედავად შედეგიანი და წარმატებული წარსულისა, ტრასტის კონცეფცია ერთ ადგილზე არ გაყინულა და დღესდღეობითაც აგრძელებს თანამედროვე საჭიროებებზე მორგებას - ნაცვლად მშრალი და უსიცოცხლო არსებისა, ტრასტის სამართალი უფრო მეტად ცოცხალ, მუდმივად ზრდად და ცვალებად ორგანიზმს შეგვიძლია შევადაროთ³³⁶. სწორედ ამიტომ არის, რომ ტრასტის ინსტიტუტს, როგორც მეტი თავისუფლების მქონე და მოქნილ კონსტრუქტს, დღესდღეობითაც მრავალი სხვადასხვა სიტუაციის გადამჭრელ მექანიზმად იყენებენ³³⁷, მათ შორის შემდეგი მოტივებით: პირის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიკუთვნება საიდუმლო ბენეფიციარებისათვის, საქორწინო შეთანხმების საბსტიტუტის/შემცვლელის შექმნა, ფისკალური უპი-

რატესობის მიღება დაბეგვრისას, ქონების დაცვა იმ ბენეფიციართაგან, რომლებიც ზედმეტად მხარჯველები არიან (ქონებას ფუქსავატურად ეპყრობიან), გამსესხებლების დაცვა, თანამშრომლებისათვის ფინანსური მოტივაციის გაჩენა, იმ არასრულწლოვნების უზრუნველყოფა ქონებით, რომელთაც ქონების ფლობის კანონიერი უფლება არ გააჩნიათ (მაგ: ინგლისში - მინის ფლობა არასრულწლოვნების მიერ)³³⁸. ამ ქვეთავში სწორედ შესაბამისი პრაქტიკული მაგალითები იქნება უფრო ვრცლად წარმოდგენილი:

1.1.2.3.1. სააღსრულებო მოთხოვნებისაგან ქონების დაცვა

ტრასტის დამფუძნებლის ცხოვრებაში ტრასტში შეტანილი ქონება აღარ მიეკუთვნება ტრასტის დამფუძნებლის აქტივს და, შესაბამისად, არ გადაეცემა მის კრედიტორებს არც სიცოცხლეში და არც - დამფუძნებლის გარდაცვალების შემდგომ (არ შევა სამკვიდროში)³³⁹. ამავდროულად, ტრასტის აქტივები ქმნიან დამოუკიდებელ ფონდს და არ ითვლებიან არც ტრასტის მმართველის საკუთრებად³⁴⁰. ამიტომაც, ანალოგიურად, ტრასტის ქონების მართ მოთხოვნას ვერ წამოაყენებენ ვერც ტრასტის მმართველის პირადი კრედიტორები³⁴¹. ამდენად, ტრასტების გამოყენებით იქმნება შემოზღუდული/გამოყოფილი აქტივი (ring-fenced), რომელიც დაცულია ტრასტის მმართველისა და ტრასტის დამფუძნებლის გადახდისუუნარობის შემთხვევებისაგან³⁴².

განსხვავებულად წესრიგდება საკითხი, როდესაც ტრასტი იქმნება დამფუძნებლის ანდერძის საფუძველზე - აღნიშნულ შემთხვევაში, ქონება თავდაპირველად მიექცევა მამკვიდრებ-

³³¹ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 53.

³³² Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 166.

³³³ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 2, 5, 63; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 267.

³³⁴ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 34.

³³⁵ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 9,

<<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

³³⁶ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 63.

³³⁷ Glister J., *supra* რეფერენსი 58, 3-002.

³³⁸ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 35.

³³⁹ Beyer W.G., *supra* რეფერენსი 40, 269.

³⁴⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21.

³⁴¹ Hayton D., *Supra* რეფერენსი 3, 3.

³⁴² Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 443.

ლის კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად³⁴³ და მხოლოდ ნარჩენი აქტივი გადაეცემა ტრასტს³⁴⁴.

1.1.2.3.2. ქონების/მემკვიდრეობის ეფექტიანი განკარგვა

მემკვიდრეობითი ტრასტი გამომხმობადია მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე³⁴⁵. პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება გადაეცემა ანდერძის აღმასრულებლებს - მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირები გაისტუმრებენ გარდაცვლილის ყველა ვალს, მათ შორის, შესაბამის გადასახადებს და დაფარავენ ქონების ადმინისტრირების ხარჯებს, მათ ეკისრებათ ექვითიდან გამომდინარე ვალდებულება, გადასცენ ქონება ანდერძით განსაზღვრულ პირებს (აქ: ტრასტის მმართველებს). ქონების გადაცემის შედეგად ფუძნდება ტრასტი, ანდერძით დასახელებულ პირთა (ბენეფიციართა) სასარგებლოდ³⁴⁶. **ტრასტი დაფუძნდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტრასტის მმართველად დასახელებული პირი უარს განაცხადებს ქონების მიღებაზე, ე.ი. თუ ის უარს იტყვის ტრასტის მმართველის პოზიციის დაკავებაზე, ასევე მაშინაც, როდესაც აღნიშნულ პირს არ შეუძლია ქონების მიღება ან გარდაცვლილია³⁴⁷. მსგავს შემთხვევაში ტრასტი დაფუძნდება სხვა პირის მიერ ქონების მიღების საფუძველზე³⁴⁸.**

ანდერძისმიერი ტრასტი საშუალებას აძლევს პირს, უფრო მოხერხებულად და მის სურვილებზე უფრო მეტად მორგებულად განკარგოს ქონება მისი გარდაცვალების შემდგომი პერიოდისათვის³⁴⁹. განსხვავებით ჩვეულებრივი ანდერძისაგან, **ანდერძს, რომელიც აყალიბებს ტრასტს, შეუძლია ტრასტის მმართველი დაავალდებულოს, ქონება განკარგოს კონკრეტული წესების შესაბამისად და ამგვარად, განსაზღვრავს მამკვიდრებლების (აქ: ბენე-**

ფიციარების) მიერ მისაღებ სარგებელს უფრო ზუსტად. მაგალითისათვის, ალკოჰოლზე დამოკიდებული ბენეფიციარის შემთხვევაში მამკვიდრებელს შეუძლია გაითვალისწინოს არა - პირდაპირ მთელი ქონების გადაცემა, არამედ - ტრასტის მმართველის მიერ მისთვის ყოველთვიურად კონკრეტული ოდენობების გასაცემების გაცემა.

ქონების უფრო ეფექტიანი განკარგვის მიზანს მოემსახურება პირის სიცოცხლეშივე შექმნილი ისეთი ტრასტებიც, რომლებიც მიზნად ისახავენ პირის ავადმყოფობის ან დაზიანების გამო მისი ქონების სამართავად სასამართლოს მიერ ადმინისტრატორის დანიშვნის თავიდან არიდებას. ნაცვლად სრულიად უცხო პირის დანიშვნისა (აქ: ადმინისტრატორი), რომელიც ვერ გაითვალისწინებს დამფუძნებლის ინტერესებს, პირს შეუძლია თავადვე შექმნას წინსწრებით ტრასტი, შეიტანოს მთელი თავისი ქონება მასში და იყოს როგორც მმართველი, ისე - ბენეფიციარი და განსაზღვროს პირი, რომელიც საჭიროებისამებრ ჩაანაცვლებს ტრასტის მმართველის პოზიციას³⁵⁰.

1.1.2.3.3. საპენსიო ფონდები (Pension funds)

განვითარებულ ქვეყნებში უფრო და უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს **დასაქმებულთა საპენსიო სქემებით უზრუნველყოფის პრაქტიკა³⁵¹**. მეტიც, ბევრი დამსაქმებელი ამ ბენეფიტის შეთავაზებას აუცილებელ საჭიროებადაც კი მიიჩნევს, შრომით ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. სქემების უმეტესობაში შენატანებს ახორციელებენ როგორც დამსაქმებულები, ისე დასაქმებულები, ხოლო რიგ შემთხვევებში - მხოლოდ დამსაქმებულები³⁵². პენსიაზე გასვლის შემდგომ პირს შეუძლია მოითხოვოს კუთვნილი სახსრები³⁵³. აღნიშ-

³⁴³ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 96.

³⁴⁴ BeyerW.G., *supra* რეფერენსი 40, 269.

³⁴⁵ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 3-009.

³⁴⁶ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 31.

³⁴⁷ Court of Chancery, 1780, Sonley v. The Clockmakers' Company.

³⁴⁸ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 2-004.

³⁴⁹ BeyerW.G., *supra* რეფერენსი 40, 268.

³⁵⁰ *Id.*

³⁵¹ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 268.

³⁵² Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 45, 436.

³⁵³ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 64.

ნულ ტრასტებს სხვა სახის ტრასტებისაგან გამოარჩევთ ის, რომ ტრასტის დამფუძნებელსა (დამსაქმებელი) და ბენეფიციარს (დასაქმებულს) შორის ყოველთვის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა³⁵⁴.

საპენსიო ფონდების უმეტესობა ყალიბდება სწორედ ტრასტის ფორმით³⁵⁵. **დამსაქმებლისა და დასაქმებულის შენატანები გადაეცემა ტრასტის მმართველს და ინვესტირდება ბენეფიციართა - დასაქმებულთა სასარგებლოდ.** რეალურად, არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა ან მოთხოვნა, რომელიც აუცილებელს გახდება ამ სქემის ტრასტის ფორმით ფუნქციონირებას³⁵⁶. თუმცა, მსგავსი გადანაცვება განპირობებულია სატრასტო ურთიერთობის განსაკუთრებული მოხერხებულობით და იმ პრობლემების გადაჭრის უნარით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ხელშემშლელ ფაქტორებად დარჩებოდა³⁵⁷. მაგალითისათვის, შესაძლოა გაჟღერდეს მოსაზრება, რომ აღნიშნული სქემის მოქმედება შესაძლებელია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გარიგების საფუძველზეც. ამ შემთხვევაში პრობლემად დარჩებოდა იმ სუბიექტის ვინაობა, ვისაც უნდა მიეღო საპენსიო სახსრები. კერძოდ, გადაუჭრელი დარჩებოდა ის საკითხი, თუ ვისთვის უნდა გადაეცა დამსაქმებელს საპენსიო შენატანები.

ტრასტი შესაძლებელს ხდის საპენსიო სქემების ეფექტიან არსებობას მისი შემდეგი მახასიათებლებიდან გამომდინარე:

- ❖ **ტრასტის ქონება დამოუკიდებელი და გამოიჯნულია დამსაქმებლის ქონებისაგან.** შესაბამისად, ხდება დამსაქმებლის გადახდისუუნარობის ან/და არაკეთილსინდისიერად მოქცევის რისკების მიტიგაცია³⁵⁸;
- ❖ **ბენეფიციარები/დამსაქმებულები აღჭურვილნი იქნებიან საპენსიო სახსრებზე**

სანივთო უფლებებით, ხოლო ამ სახსრების განმკარგველი პირის/ტრასტის მმართველის მიმართ - ვალდებულებითი უფლებებით. ეს უფლებები აზღვევს იმ რისკს, რაც დამსაქმებლის მიერ საპენსიო სახსრების განსაზღვრული პირისათვის გადაცემას სდევს თან. ამავდროულად, დასაქმებულების გარდაცვალების შემთხვევაში საპენსიო სახსრებზე სანივთო უფლება მემკვიდრეობით გადაეცემათ შესაბამის მემკვიდრეებს³⁵⁹.

- ❖ საპენსიო ფონდის სახით წარმოდგენილი ტრასტი **სარგებლობს მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებით**³⁶⁰. აღნიშნული ბენეფიციტით სარგებლობის წინაპირობაა, რომ საპენსიო ტრასტი გამოუხმობადი იყოს³⁶¹.

1.1.2.3.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება

ტრასტის შექმნა შეიძლება ეფექტიანი გამოსავალი იყოს იმ პირთათვის, რომლებსაც ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან/და წარმოეშობათ ინტერესთა კონფლიქტი³⁶². მაგალითისათვის, ასეთები შეიძლება იყვნენ თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები. მათთვის სამეწარმეო საზოგადოებებში მონაწილეობა შესაძლოა შეზღუდული/აკრძალული იყოს ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად.

მსგავს შემთხვევებში, დაინტერესებული პირი შესაბამის „პრობლემურ“ აქტივებს შეიტანს ტრასტში, ტრასტის მმართველად დანიშნავს დამოუკიდებელ მესამე პირს და ტრასტის აქტივით განსაზღვრავს, რომ თავად არანაირი მმართველობითი უფლებამოსილება ან სხვაგვარი

³⁵⁴ Glister J., *supra* რეფერენსი 58, 3-002, 17-001.

³⁵⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 268; იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67.

³⁵⁶ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 8, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

³⁵⁷ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 64.

³⁵⁸ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 268.

³⁵⁹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 64.

³⁶⁰ Glister J., *supra* რეფერენსი 58, 3-002, 17-006; იხ. ასევე Turner C., *supra* რეფერენსი 80, 10.

³⁶¹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 65.

³⁶² The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 8, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

უფლებამოსილება არ ექნება ტრასტის ქონებაზე. აღნიშნული ტიპის ტრასტს „ბრმა“ ტრასტებსაც უწოდებენ³⁶³.

1.1.2.3.5. პირის მიერ ზიანის მიღების შემთხვევებისათვის (Personal injury trusts)

აღნიშნული ტრასტი მიზნად ისახავს იმ სახსრების ეფექტიანად განკარგვას, რომელსაც პირი იღებს დაზარალების გამო. მათ შორის, ასეთი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ფიზიკური ან გონებრივი დაზიანება. რეგულირება შემოსაზღვრავს იმ შესაძლო შემოსავლებს/კომპენსაციებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღნიშნული ტრასტის დასაფუძნებლად, ტრასტის ქონებად³⁶⁴.

აღნიშნული ტრასტი სარგებლობს სხვადასხვა შეღავათებით, მათ შორის, ეს შემოსავლები ზეგავლენას არ ახდენს პირის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრაზე ან/და სხვა მსგავსი დახმარების გაცემის შეფასების პროცესზე³⁶⁵. პარალელისათვის, მსგავსი რეგულირების შემთხვევაში, ქართულ რეალობაში აღნიშნული ტრასტიდან მიღებული შემოსავლები არ იმოქმედებდა პირისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების პროცესზე.

პირის დაზიანებისთვის განკუთვნილი ტრასტები განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც დაზიანებას იღებს არასრულწლოვანი ან/და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (ჩვენი კანონმდებლობისათვის - მხარდაჭერის მიმღები³⁶⁶). აღნიშნულ შემთხვევებში, დაზარალებული პირის ინტერესების დასაცავად, ტრასტის შექმნისა და შემდგომ პროცესებში აქტიურად არის ჩართული სასამართლო³⁶⁷.

1.1.2.3.6. საერთო საინვესტიციო ტრასტ-ფონდი (Unit trusts)

საერთო საინვესტიციო ტრასტის შემთხვევაში ინვესტორებისაგან მიღებული ფონდები გადაეცემა ტრასტს, რომელიც შემდგომ უკვე აინვესტირებს მიღებულ სახსრებს სხვადასხვა კომპანიაში წილების შეძენით³⁶⁸. ამ პროცესში ხდება საზოგადოების მონვევა ფონდის დამატებითი ერთეულების შესყიდვისათვის, ე.ი. ინვესტირების გაფართოებისათვის³⁶⁹. ერთეულების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა თავსდება ტრასტის მმართველებთან, მანამ, სანამ საჭიროდ არ ჩაითვლება ინვესტიციების რაოდენობის გაზრდა³⁷⁰. აღნიშნული თანხა ტრასტის მმართველებთან განთავსებულია ფონდის ერთეულის შემქმნთა სასარგებლოდ, ე.ი. აღნიშნული ტრასტისათვის ბენეფიციარად მიიჩნევა პირი, რომელმაც ტრასტის ერთეული შეიძინა³⁷¹. ერთეულის მფლობელს შეუძლია ტრასტის ერთეულის სხვა პირზე გასხვისება³⁷². ერთეულის ფასი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ემყარება ფონდის მიერ განხორციელებული შესაბამისი ინვესტიციების ღირებულებას.

კორპორაციის მიერ ფონდის შექმნის შემთხვევისაგან განსხვავებით, აღწერილ ქეისში ფონდის მმართველის (ტრასტის მმართველი) გადახდისუუნარობას ვერ ექნება ზეგავლენა თავად ფონდზე - ტრასტის მმართველის კრედიტორებს არ შეუძლიათ მოთხოვნა წარადგინონ ტრასტის ქონების წინააღმდეგ. ამდენად, აღნიშნული სქემა ინვესტორებს სთავაზობს ბევრად მეტ დაცვას და ამ კუთხით რისკის მინიმიზაციას³⁷³.

³⁶³ Beyer W.G., *supra* რეფერენსი 40, 270.

³⁶⁴ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 64.

³⁶⁵ www.headway.org.uk, The Brain Injury Association, A guide to personal injury trusts, <<https://www.headway.org.uk/media/2782/a-guide-to-personal-injury-trusts-factsheet.pdf>>, [10.08.2022].

³⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁶⁷ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 69.

³⁶⁸ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of

Payments Statistics, Tokyo, 2001, 8, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

³⁶⁹ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67; იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67.

³⁷⁰ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 1046.

³⁷¹ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 166.

³⁷² Glister J., *supra* რეფერენსი 58, 19-009.

³⁷³ Hansman H., *supra* რეფერენსი 323, 467.

როგორც წესი, ტრასტის მართვასთან დაკავშირებით არსებით საინვესტიციო გადაწყვეტილებებს იღებს ფონდის მენეჯერი, დამატებითი რგოლი აღნიშნულ ტრასტში, და მათ აღასრულებს ტრასტის მმართველი. ტრასტის მმართველის დისკრეცია აღნიშნულ ტრასტში მკვეთრად შეზღუდულია³⁷⁴.

ამგვარი ტრასტის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში სწორედ მენეჯერის, ე.ი. კვალიფიციური პირის მიერ, გაცნობიერებულად და შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე³⁷⁵. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ამცირებს ჩვეულებრივი პირებისათვის საფონდო ბირჟაზე დამოუკიდებლად ოპერირებასთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთან, ფონდების მოცულობა შესაძლებელს ხდის საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიცირებას, რაც ასევე ამცირებს ინვესტირების თანმდევ შესაძლო რისკებს³⁷⁶.

საერთო საინვესტიციო ტრასტფონდმა საშუალება მისცა რიგით ადამიანებს, გაეკეთებინათ ინვესტირება საფონდო ბირჟაზე, ბირჟისთვის თანმდევი ჩვეული რისკის მინიმაზაციის ფონზე³⁷⁷. ტრასტის აღნიშნული ფორმა წარმატებით უზრუნველყოფს საინვესტიციო რისკის გადანაწილებას/დივერსიფიცირებას³⁷⁸.

ტრასტის ამ ფორმამ განსაკუთრებული სამსახური გაუწია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორივე მხარეს - ინვესტორებსაც (როგორც მცირე, ისე - დიდ ინვესტორებს (თუმცა უფრო მეტად - მცირე ინვესტორებს)) და იმ კომპანიებსაც, რომლებსაც საფონდო ბირჟის მეშვეობით დაფინანსების მოპოვება სურდათ³⁷⁹. საერთო საინვესტიციო ტრასტფონდის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი დაარსება და შემდგომი ფუნქციონირება საკმაოდ დეტალურად და მკაცრად არის რეგულირებული ნორმატიულ დონეზე³⁸⁰. მეტიც, აღნიშნული ტიპის ტრასტებზე ინგლისში ზედამხედველობას ახორციელებს

ოფიციალური მარეგულირებელი - Financial Services Authority³⁸¹.

ფონდები მეტწილად განსხვავებულები არიან მათი მიზნისა და არჩეული პრიორიტეტებისა მიხედვით. აღნიშნული ხელს უწყობს პირების მიერ მათთვის საინტერესო ფონდში ინვესტირებას. მაგალითად, ზოგიერთი ფონდი ორიენტირებულია კაპიტალის, ზოგი - შემოსავლის გაზრდაზე, ფონდების ნაწილი კი ამ ორი პრიორიტეტის დაბალანსებას ცდილობს. ასევე, შეიძლება არსებობდეს ფონდი, რომელიც, მაგალითად, კონკრეტულად უკრაინულ კომპანიებში ინვესტირებაზეა ორიენტირებული და სხვა³⁸².

1.1.2.3.7. კრედიტორის მიერ თავის მოთხოვნაზე მყარი უზრუნველყოფის შექმნა

დადგენილი პრაქტიკით³⁸³, მათ შორის, საქმეზე *Barclays Bank v Quistclose Investments Ltd*³⁸⁴, ტრასტი შესაძლოა პირის მიერ გამოყენებულ იქნას სესხის ნაკლებრიკიანად გაცემისათვის. კერძოდ, ხსენებულ საქმეზე დადგინდა, რომ პირებს შორის ერთდროულად შეიძლება არსებობდეს სასესხო და სატრასტო ურთიერთობა³⁸⁵. მოცემულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ პირები ცალსახად არ უთითებდნენ ტრასტის შექმნის განზრახვაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისი შინაარსით მხარეები სატრასტო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მსგავსი დასკვნის ძირითადი საფუძველი იყო შემდეგი:

1. მხარეები შეთანხმდნენ გადაცემული თანხის განკარგვის კონკრეტულ მიზნობრიობაზე (მოგების გაცემაზე). მსესხებელს ეკრძალება, სხვა მიზნით გამოეყენებინა თანხა; და

³⁷⁴ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 269.

³⁷⁵ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70.

³⁷⁶ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 63.

³⁷⁷ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 43.

³⁷⁸ Glistler J., *supra* რეფერენსი 58, 3-002; იხ. ასევე Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 63.

³⁷⁹ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 43, 63.

³⁸⁰ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70;

³⁸¹ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 166.

³⁸² Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70.

³⁸³ High Court, 1975, Re Kayford Ltd.

³⁸⁴ House of Lords, 1968, Barclays Bank v Quistclose Investments Ltd;

³⁸⁵ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70, 18.

2. ხელშეკრულების თანახმად, სესხის თანხა მსესხებლის აქტივებისგან სრულად გამიჯნულად და იზოლირებულად უნდა ყოფილიყო განთავსებული (სხვა საბანკო ანგარიშზე).³⁸⁶

სასამართლოს შეფასებით, დათქმა, რომ გადაცემული თანხა მხოლოდ მოგების გასანაწილებლად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, ამავედროულად ნიშნავდა, რომ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში (კონკრეტულ შემთხვევაში დაწყებული იყო მსესხებლის ლიკვიდაციის პროცესი) თანხა უნდა დაბრუნებოდა გამსესხებელს.³⁸⁷ **მსგავსი მონესრიგება კი მიესადაგებოდა სატრასტო ურთიერთობას და სახეზე იყო სწორედ აღნიშნული.** მსესხებლისთვის თანხის გადაცემით, მისი სეგრეგირების მოთხოვნითა და თანხის გამოყენების მიზნობრიობის (მოგების განაწილება) დათქმით შეიქმნა პირველი ტრასტი. დათქმული მიზნის შეუსრულებლობის შემდგომ ავტომატურად წარმოიშვა მეორე ტრასტი - მსესხებელს ამ დროს თანხა ეჭირა უკვე გამსესხებლის (აქ: ამავედროულად ტრასტის დამფუძნებლის) სასარგებლოდ.³⁸⁸ სწორედ ამიტომ, მსესხებლის სხვა კრედიტორებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ მოთხოვნა გასესხებულ თანხაზე.³⁸⁹

აღნიშნულ მაგალითზე დაყრდნობით, **იურიდიული თვალსაზრისით კარგად გათვითცნობიერებულმა გამსესხებელმა შესაძლოა მისი სესხის უზრუნველყოფა სესხის თანხის ტრასტში შეტანით მოახერხოს.** ამ შემთხვევაში მსესხებელსა და გამსესხებელს შორის რეალურად იარსებებს სასესხო ურთიერთობა, თუმცა, ამავედროულად, თანხის გადაცემა, განკარგვა და შემდგომი დაბრუნება მოხდება სასესხო თანხის ტრასტში შეტანის მეშვეობით. გამსესხებელი ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება ერთდროულად როგორც ტრასტის ბენეფიციარად, ისე - დამფუძნებლად. გამსესხებელი სესხის თანხას გადასცემს მსესხებელს (აქ: ამავედროულად ტრასტის მმართველს), ისე როგორც ტრასტის ქონებას. მსესხებლის/ტრასტის მმართველის

მიერ ქონების მიღების შემდეგ იგი (მსესხებელი) ვალდებულია თანხა განკარგოს ტრასტის აქტის პირობების დაცვით.³⁹⁰ აუცილებელი პირობაა, რომ გადაცემული თანხა არ იყოს გამიჯნული ტრასტის მმართველის/მსესხებლის ერთიან ქონებაში ინტეგრირებისათვის. არამედ, აღნიშნული თანხა უნდა იმართებოდეს გამიჯნულად.³⁹¹

მსგავსი სქემის მთავარი მოტივი და უპირატესობა ის არის, რომ მსესხებლის სხვა კრედიტორებს ვერ ექნებათ მოთხოვნის უფლება ტრასტის ქონების სახით გადაცემულ ფულად სახსრებზე. ამდენად, გამსესხებელს მეტი შანსი აქვს, უკან დაიბრუნოს გასესხებული თანხა.

1.1.2.3.8. საგადასახადო შეღავათები

გადასახადების მინიმიზაცია ტრასტების შექმნის ერთ-ერთ უპირველეს მოტივატორად მიიჩნევა. **ტრასტების გამოყენებამ შესაძლოა გადაავადოს გადასახადის გადახდა ან შეამციროს მისი ოდენობა.** აღნიშნული „შეღავათები“ განსაკუთრებით რელევანტურია იმ იურისდიქციებში, სადაც პროგრესული გადასახადები მოქმედებს.³⁹² მაგალითისათვის: თუ ტრასტის დამფუძნებელი ტრასტზე უფრო მაღალი განაკვეთით იხდის გადასახადებს, ქონების ტრასტში შეტანით შესაძლებელია უფრო დაბალი განაკვეთით დაბეგვრის უზრუნველყოფა. მათ შორის, თუ ტრასტის დამფუძნებლის მიერ ტრასტის მმართველად დანიშნული პირი „საგადასახადო სამოთხის“ რეზიდენტი, ტრასტი დაიბეგრება რეზიდენტობის ქვეყნის სამართლით, შეღავათიანი დაბეგვრის პრინციპებით.

ტრასტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უკვე დაკისრებული საგადასახადო მოთხოვნის თავიდან ასარიდებლად. აღნიშნული ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულებად.³⁹³

³⁸⁶ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 163; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 158.

³⁸⁷ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 18.

³⁸⁸ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 164; იხ. ასევე Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70.

³⁸⁹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 158.

³⁹⁰ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 70.

³⁹¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 158.

³⁹² Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 37.

³⁹³ Court of Appeal, 1987, Patel v W. H. Smith (Eziot) Ltd.

ტრასტს შეუძლია როგორც გადასახადისგან თავის არიდება, ისე - მისი მინიმიზაცია/მიტიგაცია. ამ ორს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1. გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ამცირებს მის საგადასახადო ვალდებულებას იმგვარად, რომ მის მიმართ არ დგება პარლამენტის მიერ განსაზღვრული ეკონომიკური შედეგები. გადასახადებისგან თავის არიდება, როგორც წესი, კანონიერი საშუალებებით (დასაბეგრი ოპერაციების გონივრულად დაგეგმვით) ხორციელდება, თუმცა, რაც უფრო მეტი ხელოვნური სქემაა გამოყენებული გადასახადისაგან თავის არიდებისათვის, მით მეტია ამ ოპერაციების თვალთმაქცურად მიჩნევის რისკი.

2. გადასახადების მიტიგაციის შემთხვევაში, გადასახადების გადამხდელი უპირატესობას ანიჭებს/ირჩევს საგადასახადო ტვირთის მხრივ ნაკლებად მძიმე ვარიანტს. მიტიგაცია ყოველთვის კანონიერად განხორციელებულად ითვლება.³⁹⁴

ტრასტის გამოყენება შესაძლებელია ორივე ზემოხსენებული მიზნობრიობით. ამგვარი სქემების ნამდვილობის/კანონიერების შეფასების პრინციპი დადგინდა საქმეზე IRC v Duke of Westminster გაკეთებული განმარტებით: ყველა გადამხდელი უფლებამოსილია, დაგეგმოს მისი საქმიანობა იმგვარად, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად რაც შეიძლება მინიმალური გადასახადი დაეკისროს³⁹⁵. თუმცა, ამავედროულად, თუ ტრასტი მხოლოდ გადასახადების იტიგაციისათვის ან თავიდან არიდებისათვის არის შექმნილი, ის ჩაითვლება მოჩვენებითად^{396,397}.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი მიიღება ტრასტიდან, გადასახადით დაბეგვრა ხორციელდება ორ ეტაპად: 1. გადახდის ვალდებულება ეკისრებათ ტრასტის მმართველებს,

რადგანაც ისინი იღებენ შემოსავალს და 2. ბენეფიციარებს ასევე ეკისრებათ საგადასახადო ვალდებულება ტრასტიდან მიღებულ შემოსავალზე, მაგრამ გათვალისწინებული იქნება ტრასტის მმართველების მიერ უკვე გადახდილი გადასახადები.

ინგლისურ სამართალში ტრასტი ასევე ხდება კაპიტალის ზრდაზე გადასახადის სუბიექტი, თუმცა, აღნიშნული ქართული საგადასახადო სისტემისათვის ნაკლებრელევანტურია, ისევე როგორც მემკვიდრეობის გადასახადი.

1.1.2.3.9. ქველმოქმედება

ტრასტის ერთ-ერთი უპირველესი გამოყენება სწორედ ქონების საქველმოქმედო მიზნით გადაცემაში გამოიხატებოდა და დღესაც აქტუალურია³⁹⁸. აღნიშნული ტრასტის ფარგლებში ქონება ტრასტის მმართველს გადაეცემა იმ მიზნით, რომ აქტივი მართოს საქველმოქმედო მიზნების შესაბამისად, გადამცემის/ტრასტის დამფუძნებლის პირობების მიხედვით³⁹⁹. აღნიშნულ შემთხვევაში ბენეფიციარების მიმართ ვალდებულება გამოიხატება არა კონკრეტული პირის, არამედ - კონკრეტული მიზნის სასარგებლოდ მოქმედებაში⁴⁰⁰.

1.1.2.3.10. არასრულწლოვნების ქონების მართვა

ტრასტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას არასრულწლოვნების მიერ ქონების ფლობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და შეზღუდვების გადასაღებად⁴⁰¹. კერძოდ: ხშირ შემთხვევაში, არ არის მიზანშეწონილი, რომ ქონება არასრულწლოვნის საკუთრებად ირიცხებოდეს⁴⁰². მაგალითად, ქართული კანონმდებლობა

³⁹⁴ House of Lords, 1997, Inland Revenue Commissioners v Willoughby.

³⁹⁵ House of Lords, 1935, IRC v Duke of Westminster.

³⁹⁶ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 38.

³⁹⁷ შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი.

³⁹⁸ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67.

³⁹⁹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 74.

⁴⁰⁰ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 8, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁴⁰¹ Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67.

⁴⁰² Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 75.

ადგენს მნიშვნელოვან შეზღუდვებს არასრულწლოვნის კუთვნილი უძრავი ქონების⁴⁰³ ან 1 000 ლარს ზემოთ ღირებულების მოძრავი ნივთის⁴⁰⁴ განკარგვისათვის. ინგლისური კანონმდებლობის შემთხვევაში, არასრულწლოვანი არ შეიძლება ფლობდეს მიწაზე კანონისმიერ საკუთრებას⁴⁰⁵.

აღწერილ შემთხვევებში გამოსავალი შეიძლება იყოს არასრულწლოვნისთვის საკუთრების „გადაცემა“ ტრასტის მეშვეობით⁴⁰⁶. ე. ი. უწლოვანისათვის მხოლოდ სარგებლის მიღების უფლებამოსილების მინიჭება, ტრასტის ბენეფიციარად დანიშვნა⁴⁰⁷. მოცემულ შემთხვევაში ტრასტის ქონების განკარგვაზე არ უნდა გავრცელდეს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები (მათ შორის, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული), რადგან ქონების კანონისმიერ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს ტრასტის დამფუძნებელი.

ამდენად, ამ შემთხვევაში ტრასტი საშუალებას იძლევა, ქონება განიკარგოს ეფექტიანად, სასამართლო კონტროლისაგან თავისუფლად და, ამავდროულად, არ დაირღვეს კანონით დადგენილი შეზღუდვები.

1.1.2.3.11. დამცავი ტრასტები

შესაძლებელია, მშობელი ან სხვა პირი (აქ: ტრასტის დამფუძნებელი) ღელავდეს მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი პირის (აქ: ტრასტის ბენეფიციარის) ნებისყოფაზე, ფინანსურ გამოუცდელობაზე, ალკოჰოლზე ან სხვა ნივთიერებაზე მიჯაჭვულობაზე და ამის გამო სურდეს, რომ მაქსიმალური კონტროლი ჰქონდეს აღნიშნული პირისათვის გადასაცემ სახსრებზე. აღწერილ შემთხვევაში:

ტრასტის დამფუძნებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ტრასტის დაფუძნების შემდგომ ტრასტის ბენეფიციარს მიენიჭება გასხვისებადი და უზრუნველყოფად გამოყენებადი უფლება⁴⁰⁸. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის მომავალი დამფუძნებლისთვის ცნობილია ბენეფიციარის მხრიდან მოსალოდნელი არასწორი ფინანსური გადაწყვეტილებების, მიღებული ქონების შესაძლო გაფლანგვის ან/და არასწორი გამოყენების თაობაზე, დამფუძნებელი ქმნის დამცავ ტრასტს⁴⁰⁹. აღნიშნული ტრასტის ბენეფიციარები, როგორც წესი, ის პირები არიან, ვისაც არ გააჩნია მენტალური ან ფიზიკური კომპეტენცია, ან/და აკლია გამოცდილება გონივრული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად⁴¹⁰. შესაბამის ტრასტს დამცავი ეწოდება სწორედ იმიტომ, რომ წარმოადგენს ბენეფიციარის ერთგვარ დამცავ მექანიზმს, მოსალოდნელი ნეგატიური ხდომილებებისათვის⁴¹¹, მათ შორის, სტანდარტული მიდგომის შესაბამისად, ტრასტის ქონებაზე არ ვრცელდება ბენეფიციარის წინააღმდეგ არსებული მოთხოვნები⁴¹².

დამცავი ტრასტის ფარგლებში ტრასტის აქტში შესაძლოა გაიწეროს ტრასტის მმართველის უფლებამოსილება, გაუნაწილოს ბენეფიციარს სარგებელი მხოლოდ მაშინ და იმ ოდენობით, რასაც ის მიზანშეწონილად ჩათვლის. ამგვარად, შეიძლება თავიდან იქნას არიდებული ტრასტის ქონების გაფლანგვა ბენეფიციარის მხრიდან⁴¹³. მეორე მხრივ, ტრასტის დამფუძნებელს შესაძლოა ასევე მიზნად დასახული ჰქონდეს ბენეფიციარის მიერ ფინანსური პასუხისმგებლობის, შესაბამისი სიდიდისა და ნებისყოფის გამომუშავება. ტრასტის პირობები, ამავდროულად, შესაძლოა აღნიშნულ მიზანსაც ემსახურებოდნენ. კერძოდ: ტრასტის დამფუძნებელმა შესაძლოა ტრასტის აქტში მიუთითოს,

⁴⁰³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი 11 ნაწილი.

⁴⁰⁵ Law of Property Acts 1925, s. 1(6), <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/15-16/20/section/1>>, [20.08.2022].

⁴⁰⁶ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 11.

⁴⁰⁷ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 629.

⁴⁰⁸ Turner C., *supra* რეფერენსი 80, 82; იხ. ასევე Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 76.

⁴⁰⁹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 16; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 34.

⁴¹⁰ Beyer W. G., *supra* რეფერენსი 40, 267.

⁴¹¹ Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 31.

⁴¹² Turner C., *supra* რეფერენსი 80, 11.

⁴¹³ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 241; იხ. ასევე Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 31.

რომ ბენეფიციარსაც აქვს ტრასტის ქონების განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუმცა - ერთგვარი „ჩამკეტი“ მექანიზმის სახით შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ტრასტის მმართველს შეუძლია ბენეფიციარის გადაწყვეტილებების შეჩერება, თუ ჩათვლის, რომ შეუსაბამო და მიზანშეუწონელ ქმედებებს აქვს ადგილი⁴¹⁴.

აღნიშნული ტრასტი ასევე უზრუნველყოფს ბენეფიციარის „დაცვას“ მისი გადახდისუნარიობის შემთხვევებისთვისაც⁴¹⁵. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის ქონებაზე ბენეფიციარს მხოლოდ ექვითიდან გამომდინარე უფლება გააჩნია, კრედიტორები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ბენეფიციარს მოთხოვნა წარუდგინონ ტრასტის ქონებაზეც⁴¹⁶.

1.1.2.3.12. საიდუმლო ტრასტები

საიდუმლო ტრასტები ანდერძისმიერი ტრასტების იმ სახეობას წარმოადგენს, რომელიც **მამკვიდრებელს მეტი კონფიდენციალობის შესაძლებლობას აძლევს**. ხშირ შემთხვევაში, მამკვიდრებელს (აქ: ამავდროულად ტრასტის დამფუძნებელს) შესაძლოა არ სურდეს, რომ გამჟღავნდეს იმ პირების ვინაობა, რომელთაც მორალური ვალდებულებებიდან თუ პირადი გრძნობებიდან გამომდინარე მისი ქონების მოსარგებლედ/ბენეფიციარად ასახელებს⁴¹⁷. ასეთები შეიძლება იყვნენ, მაგალითად, უკანონო შვილები, საყვარლები⁴¹⁸, ყოფილი ოჯახის წევრები - ქმარი, შვილები და სხვა⁴¹⁹. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა **ანდერძით გამორიცხულია, რადგან იგი აღსრულების მომენტში საჯარო დოკუმენტია** და მისი შინაარსი ცნობილი ხდება სხვა პირებისთვისაც⁴²⁰. პასუხად, მამკვიდრებელს შეუძლია, ანდერძში გაითვალისწინოს

ქონების გადაცემა ტრასტის მმართველისათვის, რომელსაც დაევალება, რომ არ გათქვას ბენეფიციართა ვინაობა. ტრასტის მმართველის მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის პრევენციას უზრუნველყოფს ექვითიდან გამომდინარე უფლება, მოითხოვოს მმართველის პასუხისმგებლობა ტრასტის აქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევისდა გამო⁴²¹.

მამკვიდრებელს შეუძლია შექმნას როგორც **სრულად გასაიდუმლოებული, ისე - ნახევრად გასაიდუმლოებული ტრასტი**:

სრულად საიდუმლო ტრასტის შემთხვევაში, ანდერძიდან არ იკვეთება არც ბენეფიციარის ვინაობა და არც ის, რომ ტრასტის მმართველს საკუთრება გადაეცემა არა - აბსოლუტური საკუთრებით, არამედ - ისე, როგორც სამართავი ტრასტის ქონება⁴²². ტრასტის სრულად საიდუმლოდ მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგი 3 პირობა: 1. მამკვიდრებლის განზრახვა, რომ ქონების მიმღებმა ქონება დაიკავოს დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად, 2. აღნიშნული განზრახვის თაობაზე კომუნიკაცია შესაბამის მესამე პირთან და 3. მესამე პირის მხრიდან ამ ვალდებულების მიღებაზე დათანხმება⁴²³.

ნახევრად გასაიდუმლოებული ტრასტის შემთხვევაში კი ანდერძიდან ჩანს, რომ ტრასტი იქმნება - ე.ი. ქონება მესამე პირს გადაეცემა ბენეფიციართა სასარგებლოდ, თუმცა - არ იდენტიფიცირდება ბენეფიციართა ოდენობა, ტრასტის აქტის პირობები⁴²⁴.

1.1.2.3.13. აქტივების სეკურიტიზაცია

აქტივების სეკურიტიზაციის საჭიროება ტრასტების სამეწარმეო მიზნით გამოყენების ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია⁴²⁵. სეკურიტი-

⁴¹⁴ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 76.

⁴¹⁵ Glistner J., *supra* რეფერენსი 58, 8-001.

⁴¹⁶ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 76; იხ. ასევე Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 241; იხ. ასევე Glistner J., *supra* რეფერენსი 58, 9-003.

⁴¹⁷ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 59.

⁴¹⁸ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 77.

⁴¹⁹ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 3-128.

⁴²⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 307; იხ. ასევე Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 60.

⁴²¹ Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 77.

⁴²² Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 60.

⁴²³ High Court, 1972, *Ottaway v Norman*.

⁴²⁴ Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 3-126, 3-139. იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 308.

⁴²⁵ Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 259, 357.

ზაციის სტანდარტულ შემთხვევაში, ბიზნეს კორპორაცია ქმნის ტრასტს და გადასცემს მას კორპორაციის განსაზღვრულ ქონებას, ისეთს, რომელსაც გააჩნია საკუთარი საშემოსავლო ნაკადები. ტრასტი, თავის მხრივ, უშვებს სავალო ფასიან ქაღალდებს - ბონდებს, რომელთა უზრუნველყოფასაც სწორედ მისთვის გადაცემული ქონება (ტრასტის ქონება) წარმოადგენს და ბონდების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს გადასცემს კორპორაციას. აღწერილ სქემაში, ფაქტობრივად, **ტრასტი გამოყენებულია როგორც შუამავალი საშუალება იმ ტრანზაქციისათვის, რომელშიც კორპორაცია აგირავებს თავის აქტივებს ბონდების უზრუნველსაყოფად**⁴²⁶. ტრასტისთვის ბენეფიციარები არიან ინვესტორები - ბონდების შემძენი პირები⁴²⁷.

კითხვაზე, თუ რატომ იყენებს კორპორაცია ტრასტს და რატომ არ უშვებს ბონდებს თავად, პასუხი შემდეგია: ტრასტი აღნიშნულ შემთხვევაში წარმატებით გამოიყენება კორპორაციის იმ ქონების განცალკევებისათვის/იზოლირებისათვის, რომელიც გამოიყენება კრედიტორთა ცალკეული ჯგუფის (ბონდების მფლობელები) მოთხოვნების უზრუნველსაყოფად⁴²⁸. **ტრასტის გამოყენებით საკმაოდ მკაფიო ზღვარი ივლება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქონება შეიძლება მოითხოვონ კორპორაციის კრედიტორებმა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და პირიქით, რა მოთხოვნის ფარგლები შეიძლება ჰქონდეთ ბონდების მფლობელებს**⁴²⁹.

ამ სქემაში ტრასტის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტრასტი „გადახდისუნარიანობის მხრივ იზოლირებულია“ კორპორაციისაგან. აღნიშნული გულისხმობს, რომ კორპორაციის გადახდისუნარიანობა არ მოახდენს ზეგავლენას ტრასტის საქმიანობაზე და მის ქონებაზე - ტრასტი უპრობლემოდ შეინარჩუნებს მისთვის გადაცემულ აქტივებს, განურჩევლად

კორპორაციის გადახდისუნარიანობისა. ამდენად, კორპორაციის შემოსავლიანი აქტივები ტრასტის მფლობელობაში უფრო ეფექტიანად და ნაკლები რისკით სამართავი იქნება.

ამდენად, ტრასტების გამოყენებით, კორპორაციებს, რომლებიც საზოგადოდ უფრო მაღალი რისკის დონით (შეფასებით) ხასიათდებიან, შეუძლიათ გამოუშვან უფრო დაბალი რისკის (მაღალი სანდოობის შეფასების) მქონე ფასიანი ქაღალდები. აღნიშნულ პოზიტიურ შედეგს კი უზრუნველყოფს სწორედ უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების გამიჯვნა კორპორაციის ქონებიდან - ტრასტის გამოყენება სქემაში⁴³⁰.

თავი II. „ტრასტების და მათი ცნობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის“ ჰააგის კონვენცია - ტრასტების აღიარებისა და უნიფიკაციის საერთაშორისო მექანიზმი

2.1. კონვენციის შექმნის ისტორიული რაკურსი

ტრასტის ინსტიტუტი, როგორც უკვე აღინიშნა, მეტწილად ინგლისური სამართლის ზეგავლენის მქონე ქვეყნებშია განვითარებული⁴³¹ - საერთო სამართლის ქვეყნებში (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალია...) ტრასტის კონცეპტს საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. დღესდღეობით, კაპიტალის მოძრაობის მობილობის აქამდე არნახული ზრდის გამო, **ტრასტის ქონების უფრო მეტი და მეტი ნაწილი იყრის თავს ისეთ ქვეყნებში, რომელთაც არ გააჩნიათ ტრასტების რეგულირება**⁴³². შესაბამისად, ტრასტების მოქმედების არეალი იშვიათად შემოიფარგლება მხოლოდ იმ ქვეყნების საზღვრებით,

⁴²⁶ Hansman H., *supra* რეფერენსი 323. 468; იხ. ასევე Supreme Court, 2012, Re Lehman Brothers International (Europe).

⁴²⁷ International Finance Corporation, Securitization Key Legal and Regulatory Issues, 2004, 8, 10.

⁴²⁸ Hansman H., *supra* რეფერენსი 323. 468.

⁴²⁹ Comptroller of the Currency Administrator of National Banks, Comptroller's Handbook, Asset Securitization, 1997, 15.

⁴³⁰ Hansman H., *supra* რეფერენსი 323. 469.

⁴³¹ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 4, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁴³² Hayton D., The Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, The International and Comparative Law Quarterly, 1987, 260.

რომლებიც ტრასტებს არეგულირებენ⁴³³. მაგალითად, ინგლისში დაფუძნებული ტრასტები ხშირად იკვეთებიან სხვა ქვეყნების სამართალთან - აქტივების, ტრასტის მმართველის, თუ ბენეფიციართა განსხვავებული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე⁴³⁴. საფინანსო სისტემების საზღვრებსმიღმა გაფართოვებისა და ინტერნაციონალიზაციის კვალდაკვალ, ამგვარი შემთხვევები უფრო და უფრო ხშირად წარმოჩინდება⁴³⁵.

რამდენადაც ტრასტის ინსტიტუტის ისტორიული განვითარების პროცესში სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტებს შორის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების დამყარება იშვიათობას წარმოადგენდა, კონტინენტურ და საერთო სამართალს შორის განსხვავებები ტრასტებისათვის ირელევანტური, უმნიშვნელო იყო. აღნიშნულისგან განსხვავებით, **დღესდღეობით ურთიერთობების საერთაშორისო ხასიათი უფრო და უფრო ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ტრასტების რეგულირების მქონე და დანარჩენი სახელმწიფოების რეზიდენტებს შორის ამგვარი ურთიერთობების სიხშირე, ტრასტებთან დაკავშირებით მკაფიო, ჰარმონიზებული მიდგომების შექმნის მნიშვნელოვან იმპულსს/საფუძველს ქმნის**⁴³⁶.

როგორ უნდა გადაჭრას საკითხი კონტინენტური სამართლის ქვეყანამ მაშინ, როდესაც საქმე შეიცავს/ეხება ინგლისში დაფუძნებულ ტრასტს? რამდენიმე სახელმწიფოსთან დაკავშირებული ტრასტის რეგულირებისას აქტუალური ხდება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის საკითხი. როგორც ნესი, პრობლემათა უმეტესობა წარმოიშობა სატრასტო ურთი-

ერთობაში ისეთი ქვეყნების რეზიდენტების ჩართვით, რომელთაც არ გააჩნიათ ტრასტების რეგულირება/არ აღიარებენ ტრასტებს⁴³⁷. აღნიშნულ დაბრკოლებას შესაძლოა ხელი შეემალა, მათ შორის და არა მხოლოდ, შემდეგ შემთხვევებში:

1. ყველაზე მნიშვნელოვან რისკად შესაძლოა დასახელებულიყო **ტრასტების რეგულირების გარეშე მყოფი სახელმწიფოს მიერ ტრასტის ქონების გამიჯნულობის, განცალკევებულობის კონცეპტის აუღიარებლობა**. ასეთ სახელმწიფოებს შესაძლოა ტრასტის ქონება ჩაეთვალოს ტრასტის მმართველის, დამფუძნებლის ან ბენეფიციარის პირად საკუთრებად⁴³⁸.
2. ტრასტის დაფუძნება გაპრობლემდებოდა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც **პირი, რომელიც ტრასტის დაფუძნებას დააპირებდა, ისეთი სახელმწიფოს რეზიდენტი იქნებოდა, სადაც არ რეგულირდებოდა ტრასტები**⁴³⁹.
3. პრობლემური იქნებოდა **ბენეფიციარის უფლებების დარეგულირების ნაწილიც**. მაგალითად: თუ ინგლისში, ინგლისის სამართლის მიხედვით შექმნილი ტრასტის ბენეფიციარი გადაწყვეტდა, რომ ტრასტის შეწყვეტა და შესაბამისი ქონების მიღება სურდა. თუ ტრასტის ქონება ისეთი კანონმდებლობის მქონე სახელმწიფოში იქნებოდა, რომელიც არ იცნობდა/სხვაგვარად არეგულირებდა ტრასტის ინსტიტუტს, მოსალოდნელი იქნებოდა მთელი რიგი სამართლებრივი სირთულეები⁴⁴⁰.
4. მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეიქმნებოდა მაშინაც, **თუ ბენეფიციარი ტრასტის**

⁴³³ Gaillard E., Trautman D., *Trusts in Non-Trust Countries: Conflict of Laws and the Hague Convention on Trusts*, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 35, No. 2, 1987, 307; იხ. ასევე Harris J., *The Hague Trusts Convention Scope, Application and Preliminary Issues*, Oxford, 2002, 83.

⁴³⁴ Dyer A., Loon H., *Report on Trusts and Analogous Institutions*, Preliminary Document No 1, 1982, *Proceedings of the 15th of the Hague Conference on Private International Law 1984*, Book II —Trusts—Applicable Law and Recognition, 113–4, 65–7, ნიგნიდან Harris J., *supra* რეფერენსი 433, 81.

⁴³⁵ STEP, *supra* რეფერენსი 2, 8.

⁴³⁶ Harris J., *supra* რეფერენსი 433.

⁴³⁷ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433,

⁴³⁸ Overbeck A., *Hague Conference on Private International Law: Explanatory Report on the Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on their Recognition*, *International Legal Materials*, Vol. 25, No. 3, 1986, 591; Harris J., *supra* რეფერენსი 433, 81, 83.

⁴³⁹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 81; იხ. ასევე Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 261.

⁴⁴⁰ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 82.

მმართველის წინააღმდეგ სასამართლო დავის წამოწყებას მოისურვებდა და ტრასტის მმართველის რეზიდენტობის სახელმწიფოს ტრასტების რეგულირება არ ექნებოდა ან განსხვავებული რეგულირება ექნებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბენეფიციარის სახელმწიფო შეძლებდა ამ დავის განხილვასა და გადაწყვეტას, პრობლემური იქნებოდა მისი აღსრულების ნაწილი⁴⁴¹.

ამდენად, შესაძლო გართულებები შემდეგ ორ ძირითად სახედ შეიძლება დაიყოს:

- შედარებით-სამართლებრივი შეუსაბამობები - სახელმწიფოები ადგენენ განსხვავებულ რეგულირებას;
- სამართლის არჩევასთან დაკავშირებული სირთულეები. ტრასტის რეგულირების არმქონე ქვეყნების სამართლის გამოყენება, ისევე როგორც ამ სახელმწიფოში აღსრულების წარმართვა, პრობლემურია⁴⁴².

მაგალითისათვის, ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, *Harrison v. Credit Suisse*⁴⁴³, შვეიცარიული სასამართლო განიხილავდა, თუ რომელი სამართლით უნდა შეეფასებინა ტრასტის დაფუძნების მიზნით ამერიკის მოქალაქის მიერ საკუთარი აქტივების შვეიცარიული კომპანიისათვის გადაცემა. სასამართლომ მიიჩნია, რომ შემთხვევა შვეიცარიულ სამართალში ამ ურთიერთობასთან ყველაზე ახლოს მდგომი რეგულირების შესაბამისად უნდა გადაეწყვიტა და გამოიყენა წარმომადგენლობის, ქონების ფიდუციარზე გადაცემისა და მესამე მხარის სასარგებლოდ დადებული გარიგების პირობები⁴⁴⁴. **აღწერილი პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური იყო და არის კონტინენტუ-**

რი სამართლის ქვეყნებისათვის⁴⁴⁵. ამ სახელმწიფოების უმეტესობის კანონმდებლობა არ არეგულირებს ტრასტებს⁴⁴⁶.

აღნიშნული სახელმწიფოების მიერ ტრასტის ცნობის, აღიარებისა და შესაბამისი გამოსაყენებელი სამართლის მარტივად განსაზღვრის შესაძლებლობა სწორედ „ტრასტებისა და მათი ცნობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ ჰააგის კონვენციამ (შემდგომში - ჰააგის კონვენცია) გააჩინა⁴⁴⁷. ჰააგის კონვენცია უცხო იურისდიქციების მიერ ტრასტების აღიარების მცდელობაა. კონვენცია ცდილობს, შექმნას ცალსახა და არაორაზროვანი, შეძლებისდაგვარად ჰარმონიზებული მიდგომები ტრასტებისადმი⁴⁴⁸ - ცდილობს დაარეგულიროს ზემოთ მითითებული ორი ძირითადი პრობლემური საკითხი: შედარებით-სამართლებრივი შეუსაბამობები და სამართლის არჩევასთან დაკავშირებული სირთულეები. ტრასტების საზღვრებს მიღმა ცნობის მხარდაჭერით, ტრასტების კონვენცია ტრასტების ბენეფიციარებს და ტრასტის შედეგად შექმნილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ურთიერთობა იყოს განჭვრეტადი და სანდო.

თავად კონვენციის შექმნის ისტორია სათავეს იღებს ჰააგის 1980 წლის კონფერენციიდან, მე-14 სესიიდან, რომელზეც გადაწყდა, რომ ტრასტებთან დაკავშირებით კონვენცია უნდა ჩამოყალიბებულიყო⁴⁴⁹. კონვენციას ხელი მოეწერა 1985 წლის 1 ივლისს და ამოქმედდა 1992 წლის 1 იანვარს⁴⁵⁰. **კონვენცია დღეის მდგომარეობით 16 სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული:** შვეიცარიას, გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთს, იტალიას, აშშ-ს, ლუქსემბურგს, ჰოლანდიას, კანადას, მონაკოს, ლიხტენშტეინს,

⁴⁴¹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 82.

⁴⁴² Gaillard E., *supra* რეფერენსი 433,

⁴⁴³ Swiss federal Supreme Court, *Harrison V Credit Suisse*, 1971.

⁴⁴⁴ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 315-316.

⁴⁴⁵ Lupoi M., *Effects of the Hague Convention in a Civil Law Country, Trusts & Trustees*, Vol. 4, Issue 7, 1998, 15.

⁴⁴⁶ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 313.

⁴⁴⁷ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე Hayton D., *Supra* რეფერენსი 3, 3.

⁴⁴⁸ Harris J., *supra* რეფერენსი 433.

⁴⁴⁹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 84.

⁴⁵⁰ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 312.

სან მარინოს, მალტას, პანამას, ავსტრალიას, კვიპროსსა და ჩინეთს⁴⁵¹.

როგორც თავად კონვენციის პრეამბულა უთითებს, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები კონვენციას იღებენ იქიდან გამომდინარე, რომ აცნობიერებენ: “ტრასტები, როგორც საერთო სამართლის იურისდიქციებში განვითარებული და შემდგომში სხვადასხვა იურისდიქციებში გარკვეული ცვლილებებით აღიარებული კონსტრუქტი, უნიკალური სამართლებრივი ინსტიტუტია და საჭიროა საერთო ნორმების შექმნა მათ მიმართ გამოსაყენებელი სამართლისა და ტრასტების ცნობის დარეგულირებისათვის”⁴⁵².

კონვენციის პრეამბულის თანახმად, რამდენადაც ტრასტი და მისი ანალოგიური ინსტიტუტები საკმაოდ ფართოდ იქნა გავრცელებული (XX საუკუნის ბოლოსთვის), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საერთო სამართლის ეს ინსტიტუტი (ტრასტი) უნიკალურია, **კონვენციამ მიზნად დაისახა ტრასტებისათვის საერთო რეგულირების შემუშავება და, ამგვარად, ხიდის გადება სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციის მქონე იურისდიქციებს შორის**⁴⁵³.

2.2. კონვენციის რეგულირების მიმოხილვა

3ა

2.2.1. კონვენციის მიზანი

კონვენციის შექმნის მომენტს ტრასტების სამართლის ისტორიაში ერთ-ერთ გარდამტეხ წერტილად მოიაზრებენ⁴⁵⁴. მსგავსი მნიშვნელობის მინიჭება აიხსნება იმ ფაქტით, რომ კონვენცია განსაზღვრავს ტრასტების საერთაშორისო

დონეზე აქტიური გავრცელებისათვის უმთავრეს საკითხს - ტრასტების მიმართ გამოსაყენებელ სამართალსა და ტრასტების ცნობის საკითხს⁴⁵⁵. **კონვენცია პირდაპირ უთითებს, რომ მისი მიზანია ტრასტების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა და ტრასტების აღიარებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა**⁴⁵⁶.

კონვენცია, აყალიბებს რა საერთო ნორმებს ტრასტის ცნობა-აღიარებისათვის, სარგებლიანია როგორც ტრასტის ინსტიტუტის მარეგულირებელი, ისე - შესაბამისი მოწესრიგების არმქონე სახელმწიფოებისათვის. კონვენცია საშუალებას აძლევს კონტინენტური სამართლის ქვეყნებს, ტრასტის კონცეპტი ეროვნულ კანონმდებლობებს უფრო მარტივად, საკუთარი პრინციპების დაურღვევლად შეუთავსონ⁴⁵⁷. ამგვარად, კონვენციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, ეროვნულ კანონმდებლობაში ტრასტების რეგულირების არმქონე სახელმწიფოებმა საერთაშორისო ტრასტების ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნან - საბაზისო დონეზე დააკმაყოფილონ ტრასტის მხარეების მოლოდინები/სურვილები. მეორე მხრივ, საერთო სამართლის იურისტებისათვის კონვენცია ხსნის იმ მთელ რიგ სირთულეებსა და რისკებს, რაც თან სდევს ტრასტის ქონებად ისეთი აქტივის გამოყენებას, რომელიც ტრასტების მოწესრიგების არმქონე ქვეყანაში მდებარეობს⁴⁵⁸.

გარდა აღნიშნულისა, კონვენცია ასევე აერთიანებს, **მეტნაკლებად კოდიფიცირებას უკეთებს ტრასტებთან დაკავშირებით საერთო სამართლის მიდგომებს**. ტრასტის ნამდვილობა,

⁴⁵¹ Status Table of Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, <<https://www.hcch.net/en/instruments/conventions/status-table/?cid=59>>, [29.08.2022].

⁴⁵² Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, პრეამბულა, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁵³ Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, 1, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022].

⁴⁵⁴ STEP, *supra* რეფერენსი 2, 8.

⁴⁵⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 1, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁵⁶ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, პრეამბულა, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁵⁷ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 314.

⁴⁵⁸ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 84.

ტრასტის დამფუძნებლის უფლებამოსილებები და მოვალეობები, ბენეფიციარის უფლებები - ეს ის საკითხებია, რომლებზეც საერთო მიდგომის გამონახვა საერთო სამართლის მქონე ქვეყნებსაც უჭირთ⁴⁵⁹.

2.2.2. კონვენციის გამოყენების ფარგლები

კონვენციის შემქმნელები შიშობდნენ, რომ კონვენციის გავრცელების ფარგლები მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა და ტრასტების მოქნილობას საფრთხე შეექმნებოდა, თუ დაადგენდნენ ტრასტის ზუსტ და მკაცრად დეტალიზებულ განმარტებას⁴⁶⁰. სწორედ ამიტომაც, კონვენციის ტექსტი არ იძლევა ტრასტის დეფინიციას⁴⁶¹ - მხოლოდ ჩამოთვლის ტრასტის მახასიათებლებს და ტრასტის შედეგად შექმნილი სამართლებრივი ურთიერთობის ტიპებს⁴⁶².

მიუხედავად აღნიშნულისა, კონვენციის ფარგლები, რა თქმა უნდა, გარკვეულ პირობებს მაინც ემყარება - კონვენციის გამოყენება შეზღუდულია იმ ტრასტებით, რომლებიც ნებაყოფლობით არის შექმნილი და რომელთა არსებობაც წერილობით არის დადასტურებული⁴⁶³. შესაბამისად, კანონის საფუძველზე შექმნილი ტრასტები არ არის კონვენციის რეგულირების ქვეშ - სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად შექმნილი ტრასტები კონვენციის ფარგლებში ექცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

ხელშემკვრელი სახელმწიფო აღნიშნულზე თანხმობას განაცხადებს⁴⁶⁴. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ასევე აქვთ უფლება, თავად გადანყვიტონ, გავრცელდეს თუ არა კონვენცია ისეთ ტრასტებზე, რომლებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის კონვენციის ძალაში შესვლამდე შეიქმნა. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან სანინააღმდეგო პოზიციის გამოუხატავობის შემთხვევაში კონვენცია ვრცელდება ყველა ტრასტზე, განურჩევლად მათი შექმნის თარიღისა⁴⁶⁵. კონვენციის ფარგლებიდან ასევე გამორიცხულია ფისკალური საკითხები⁴⁶⁶.

კონვენცია ასევე არ ვრცელდება ანდერძის ან სხვა ისეთი აქტების ნამდვილობის საკითხებზე, რომლებიც იწვევენ აქტივების რწმუნებულის მფლობელობაში გადასვლას⁴⁶⁷. სხვა სიტყვებით, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ უშუალოდ ტრასტთან დაკავშირებულ და, ამასთან, ტრასტის დაფუძნების შემდეგ წარმოშობილ საკითხებზე და არ ეხება, მაგალითად, ანდერძის ან სხვა ისეთი აქტების ნამდვილობას, რომელთა საფუძველზედაც ტრასტის ქონება ტრასტის მმართველს გადაეცემა⁴⁶⁸.

ჯამში, კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს თავისუფლებას ანიჭებს, თავად გადანყვიტონ მათ მიმართ კონვენციის გამოყენების ფარგლები. კონვენციის გამოყენება ასევე ვრცელდება ტრასტის სტრუქტურულ (და არა - მხოლოდ

⁴⁵⁹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 85.

⁴⁶⁰ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 317.

⁴⁶¹ Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 261.

⁴⁶² Harris J., *supra* რეფერენსი 433, 104.

⁴⁶³ Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, 1, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022]; იხ. ასევე Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 263; იხ. ასევე Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 317.

⁴⁶⁴ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 20, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, 1, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022].

⁴⁶⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 22, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე Harris J., *supra* რეფერენსი 433, 406.

⁴⁶⁶ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on their Recognition 1985, მუხლი 19, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁶⁷ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 4, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁶⁸ Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, 1, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022]; იხ. ასევე *Supra* რეფერენსი 3, 12.

ფუნქციონალურად იდენტურ) ანალოგებზეც⁴⁶⁹.

2.2.3. ტრასტის განმარტება

კონვენციის ტექსტი პირდაპირ არ განმარტავს ტრასტის მნიშვნელობას. აღნიშნულის ნაცვლად, კონვენცია ჩამოთვლის ტრასტის ძირითად მახასიათებლებს და ტრასტის შედეგად შექმნილი სამართლებრივი ურთიერთობის ტიპებსა და თანმდევ შედეგებს⁴⁷⁰.

ტექსტი არ გვანდის ამომწურავ, ავტონომიურ განმარტებას ტრასტისათვის, რითაც საკმაო თავისუფლებას ანიჭებს შესაძლო ხელმომწერ მხარეებს - „მე-2 მუხლი ამ სახელმწიფოების სახელმძღვანელო უნდა იყოს, თუმცა არა - ბიბლია“⁴⁷¹. ეს ყოველივე ასახავს კონვენციის შემქმნელების მიზანს, უზრუნველყოს კონვენციის რელევანტურობა და გამოყენება საერთაშორისო კონტექსტში, ე.ი. იმ მოცემულობაში, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში ტრასტისა თუ მისი მსგავსი ინსტიტუტების ბევრი სხვადასხვა იდენტური კონცეპტი მოქმედებს.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ამით თავიდან იქნა არიდებული ტრასტის მოუქნელობა⁴⁷², სხვა დასაბუთებით კი, თავად ტრასტის ბუნება, ფაქტი, რომ კომპანიისგან განსხვავებით მას არ გააჩნია სამართალსუბიექტობა, შეუძლებელს ხდის მისი ზუსტი აღწერის ჩამოყალიბებას. სამაგიეროდ, შესაძლებელია საკმარისი დახასიათების შემუშავება იმისათვის, რომ ყველას შეეძლოს იმ ძირითადი პრინციპების გამოყოფა, რასაც ტრასტი ეფუძნება⁴⁷³.

ერთი თუ მეორე საფუძვლით, კონვენციამ ძირითადი მახასიათებლების აღწერა არჩია ტრასტის განმარტების შემოღებას. კონვენციისეული განმარტება შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: 1. ტრასტის საკმაოდ ზოგადი აღწერა -

ურთიერთობის მონაწილე მხარეებისა და მათ შორის არსებული კავშირის შინაარსის განსაზღვრა; და 2. სატრასტო ურთიერთობის უფრო დეტალიზებული მახასიათებლების გამოყოფა⁴⁷⁴. კერძოდ, კონვენციის მიხედვით⁴⁷⁵:

1. „ტრასტი“ გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც ტრასტის დამფუძნებლის მიერ შექმნილია მისსავე სიცოცხლეში ან გარდაცვალების შემდეგ, ბენეფიციარის სასარგებლოდ ან სხვა კონკრეტული მიზნით აქტივების ტრასტის მმართველისათვის გადაცემის მეშვეობით; და
2. ტრასტს შემდეგი მახასიათებლები გააჩნია:
 - ა) აქტივები წარმოადგენს განცალკევებულ ქონებას და არ არის ტრასტის მმართველის ქონების ნაწილი;
 - ბ) ტრასტზე საკუთრების უფლება აქვს ტრასტის მმართველს ან ტრასტის მმართველის სახელით ნებისმიერ სხვა პირს;
 - გ) ტრასტის მმართველს გააჩნია უფლებამოსილება და აკისრია პასუხისმგებლობა, მართოს, განკარგოს და გაანაწილოს აქტივები ტრასტის აქტისა და მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად.
 - დ) ტრასტის დამფუძნებლის მიერ გარკვეული უფლებებისა და უფლებამოსილებების შენარჩუნება, ისევე როგორც ტრასტის მმართველის მიერ ბენეფიციარის გარკვეული უფლებების ქონა, არ ეწინააღმდეგება ტრასტის არსებობას.

დეფინიციის პირველი ნაწილი ანგლოამერიკული ტრასტის ზოგად აღწერას ფარავს, რომლის თანახმადაც, ტრასტის მმართველებს გააჩნიათ კანონიერი (ფორმალური), ხოლო ბენეფიციარებს - ექვითიდან გამომდინარე საკუთრება. საკუთრების ამგვარი გახლეჩა იმ სახელმწიფოების იურისტებისათვის, რომელთა ეროვნული

⁴⁶⁹ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁷⁰ Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, 1, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022]; იხ. ასევე, Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 22.

⁴⁷¹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 116.

⁴⁷² Harris J., *supra* რეფერენსი 433, 104.

⁴⁷³ Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 261.

⁴⁷⁴ *Id.*, 262.

⁴⁷⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

კანონმდებლობაც არ არეგულირებს ტრასტებს, უცხო კონცეპტია, თუმცა, იდენტურ ინსტიტუტებს მაინც ვხვდებით, მაგალითად, შოტლანდიასა და ინდოეთში. აქ ტრასტის მმართველებს კანონიერი (ფორმალური) საკუთრება ენიჭებათ ტრასტის აქტივზე, ბენეფიციარებს კი - უფლებები ტრასტის ქონებაზე და ტრასტის მმართველების წინააღმდეგ⁴⁷⁶.

საყურადღებოა, რომ კონვენციის ეს ჩანაწერი საკმაოდ წინააღმდეგობრივად შეიძლება ჩაითვალოს. წარმომადგენლობის ინსტიტუტისაგან ტრასტის მთავარი განმასხვავებელი ქონების საკუთრებაში გადაცემა, საკუთრებაში (და არა - მფლობელობაში) მიღებული აქტივის მართვაა, რაც კონვენციით ერთვარად უგულებელყოფილია. კერძოდ, **მუხლი უთითებს ტრასტის მმართველის კონტროლქვეშ საკუთრების გადაცემაზე, მაშინ, როდესაც უნდა განსაზღვრავდეს ტრასტის მმართველისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემის პირობას**⁴⁷⁷.

ტრასტის აღწერის მეორე ნაწილი შეეხება ტრასტების ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ესადაგება სხვადასხვა ქვეყნის ტრასტის მსგავს ინსტიტუტებს, მათ შორის, შემდეგ ქვეყნებში: ისრაელი, იაპონია, კვებეკი, ლუიზიანა, ეგვიპტე, არგენტინა, ასევე ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნების ზოგიერთ კონცეპტს⁴⁷⁸.

კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ ამ აღწერას თან სდევს დაზუსტება, რომ: ტრასტი არ იარსებებს, თუ პირი თავადვე იქნება ტრასტის მმართველი და ბენეფიციარი, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ პირმა დააარსოს ისეთი ტრასტი, სადაც თავადვე იქნება ბენეფიციარი. ამავდროულად, ტრასტის დამფუძნებელმა შესაძლოა შეინარჩუნოს, მაგალითად, ტრასტის გამოხმობის ან/და ბენეფიციართა კლასისათვის ახალი პირის დამატების უფლებამოსილება⁴⁷⁹.

2.2.4. კონვენციით რეგულირებული ძირითადი საკითხები და მთავარი პრინციპები

როგორც უკვე აღინერა, კონვენცია ცდილობს უნიფიცირებული წესების შემუშავებას ტრასტებთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლისა და ტრასტებისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპებისათვის. შესაძლოა შემდეგი ძირითადი პრინციპების გამოყოფა:

აქტივების გამიჯვნა

კონვენცია ცალსახად ადგენს, რომ **ტრასტის აქტივები დამოუკიდებელ, განცალკევებულ ქონებას/ფიდუციარულ ფონდს წარმოადგენს და ტრასტის მმართველის პირად კრედიტორებს ან/და მემკვიდრეებს არ შეუძლიათ მის მიმართ მოთხოვნების წაყენება**⁴⁸⁰. კონვენციის თანახმად, ტრასტის აღიარების მინიმალურ პირობას სწორედ ამ პრინციპის დაცვა წარმოადგენს⁴⁸¹.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ განსხვავებით ტრასტის ქონების ტრასტის მმართველის აქტივებისაგან გამიჯვნის მოთხოვნისა, **კონვენცია არ ითხოვს საკუთრების უფლების გახლეჩა/გამიჯვნას** - კონვენციის რატიფიკაცია არ გულისხმობს საკუთრების დაყოფას კანონიერ (ფორმალური) და ექვითიდან გამომდინარე საკუთრების უფლებებად⁴⁸². ეს მიდგომა ამარტივებს კონტინენტური სამართლის ქვეყნებისათვის კონვენციასთან მიერთებას და უცხო ქვეყნებში ტრასტებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადანყვებილების აღსრულებას (რადგან ტრასტის კონცეპტი აპრიორი არ ჩაითვლება ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული პრინციპული იმპერატიული ნორმების საწინააღმდეგოდ).

⁴⁷⁶ Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 262.

⁴⁷⁷ *Supra* რეფერენსი 3, 5.

⁴⁷⁸ Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 262.

⁴⁷⁹ Hayton D., *supra* რეფერენსი 432, 262.

⁴⁸⁰ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, მუხლი 11, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c->

93c1-56d58a610cf5.pdf>, [29.08.2022]; იხ. ასევე Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 16-034.

⁴⁸¹ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 11, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]; იხ. ასევე Hayton D., *Supra* რეფერენსი 3, 3.

⁴⁸² Harris J., *supra* რეფერენსი 433, 107.

სამართლის არჩევა - მხარის ავტონომიის პრინციპი

კონვენცია მხარს უჭერს მხარეთა ავტონომიას - უპირატესობას ანიჭებს ტრასტის დამფუძნებლის მიერ შერჩეულ სამართალს⁴⁸³. კონვენციის თანახმად, სატრასტო ურთიერთობა, პირველ რიგში, დარეგულირდება იმ კანონმდებლობით, რომელსაც თავად ტრასტის დამფუძნებელი აირჩევს, პირდაპირ ან ნაგულისხმევად⁴⁸⁴. თუმცა, კონვენცია არ უშვებს შესაძლებლობას, რომ ტრასტის დამფუძნებელმა აირჩიოს ის სამართალი, რომელიც არ ითვალისწინებს ტრასტის ინსტიტუტს.

ამავდროულად, კონვენცია ღიად არ ტოვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამოსაყენებელი სამართალი არ არჩეულა. კონვენციის მიხედვით⁴⁸⁵, აღნიშნულ შემთხვევებში გამოიყენება სამართალი, რომელთანაც ტრასტი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- ა) ტრასტის მართვის ადგილსამყოფელი;
- ბ) ტრასტის აქტივების ადგილსამყოფელი;
- გ) ტრასტის მმართველის საცხოვრებელი ადგილი ან საქმიანობის ადგილი;
- დ) ტრასტის მიზნები და აღნიშნული მიზნების შესრულების ადგილი.

კონვენციის მიხედვით, არჩეული ან მისადაგებული სამართალი უნდა დარეგულირდეს ტრასტების ნამდვილობის, შექმნის, მართვისა და თანმდევი შედეგების საკითხები⁴⁸⁶. ამასთან, შესაძლებელია, რომ ტრასტის ცალკეულ საკითხებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი,

ტრასტის მართვასთან დაკავშირებით, გამოყენებულ იქნას სხვა სამართალი⁴⁸⁷. შესაძლებელია თუ არა ტრასტის ცალკეული საკითხის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის სხვა სამართლით ჩანაცვლება, ტრასტის ნამდვილობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლით უნდა განისაზღვროს⁴⁸⁸.

ტრასტების ცნობა და თანმდევი შედეგები

კონვენცია ადგენს⁴⁸⁹, რომ არჩეული თუ მისადაგებული სამართლის შესაბამისად შექმნილი ტრასტი ცნობილ უნდა იქნეს ტრასტად. ტრასტად ცნობა, თავის მხრივ, გულისხმობს სულ მცირე შემდეგი მიდგომების უზრუნველყოფას:

- ტრასტის ქონება აღიარებულია ტრასტის დამფუძნებლისა და მმართველის ქონებისაგან განცალკევებულად;
- ტრასტის მმართველს შეუძლია სარჩელის შეტანა ტრასტის მმართველის უფლებამოსილებების ფარგლებში;
- ტრასტის მმართველის წინააღმდეგ შესაძლოა წარდგენილ იქნას სარჩელი, ტრასტის მმართველის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით;
- ტრასტის მმართველს უნდა ჰქონდეს უფლება, განახორციელოს წარმომადგენლობა და იმოქმედოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში ნოტარიუსის ან ნებისმიერი თანამდებობის პირის წინაშე.

იმ ფარგლებში, რაც დადგენილი ექნება ტრასტის მიმართ გამოსაყენებელ სამართალს, ცნობა ასევე უნდა ადგენდეს შემდეგ პირობებს:

⁴⁸³ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 6, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁸⁴ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 323.

⁴⁸⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 7, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁸⁶ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 8, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁸⁷ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 9, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁸⁸ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 10, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁸⁹ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 11, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

ა) ტრასტის მმართველის პირად კრედიტორებს არ აქვთ მოთხოვნის უფლება ტრასტის აქტივებზე;

ბ) ტრასტის აქტივები არ წარმოადგენს ტრასტის მმართველის ქონების ნაწილს მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

გ) ტრასტის აქტივები არ წარმოადგენს ტრასტის მმართველის ან მისი მეუღლის არც საქონიწინო და არც სამკვიდრო ქონების ნაწილს;

დ) ტრასტის აქტივების ჩამორთმევა შესაძლებელია, თუ ტრასტის მმართველი ტრასტის პირობების დარღვევით შეურევს ტრასტის ქონებას საკუთარს ან გაასხვისებს ტრასტის აქტივებს. აქტივების მიმღები მესამე პირების უფლებები და ვალდებულებები უნდა გადაწყდეს დავის განმხილველი სამართლის პირობების შესაბამისად.

ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციის გავრცელების ფარგლების განსაზღვრა

კონვენცია ხელმომწერი მხარეებისთვის საკმარის მოქნილობას უზრუნველყოფს კონვენციის გავრცელების ფარგლების განსაზღვრის ნაწილში⁴⁹⁰. კერძოდ:

ტრასტების აღიარების ვალდებულებასთან დაკავშირებით კონვენცია აზუსტებს, რომ არცერთი სახელმწიფო არ არის ვალდებული, აღიაროს ტრასტი, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტები (გარდა გამოსაყენებელი სამართლისა, მართვის ადგილისა და რწმუნებულის საცხოვრებელი ადგილისა) უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სახელმწიფოსთან, რომელიც არ იცნობს ტრასტს ან კონკრეტული კატეგორიის ტრასტს⁴⁹¹. ამავდროულად, **მხარეებს ასევე**

შეუძლიათ უგულებელყონ კონვენციის ნორმები, თუ მათი გამოყენება არსებითად ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს⁴⁹².

კონვენცია მხარეებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფისკალური საკითხების ნაწილშიც, ადგენს რა, რომ თავად ზეგავლენა არ ექნება სახელმწიფოთა ფისკალურ საკითხებზე⁴⁹³.

ამავდროულად, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია, ტრასტების ცნობასთან დაკავშირებით კონვენციის ნორმები გამოიყენოს მხოლოდ იმ ტრასტებთან მიმართებით, რომელთა ნამდვილობის მიმართაც გამოიყენება ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართალი⁴⁹⁴.

კონვენციის ხელმომწერთათვის კონვენციის მოქმედების შეზღუდვის უფლებამოსილების მინიჭების საპირისპიროდ, **მხარეებს ასევე შეუძლიათ გააფართოვონ კონვენციის ფარგლები**. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს განაცხადონ, რომ კონვენციის პირობები გავრცელდება იმ ტრასტებზეც, რომლებიც შექმნილია სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად (არანებაყოფლობით შექმნილი ტრასტები)⁴⁹⁵.

2.3. კონვენციაზე ხელმოწერის მნიშვნელობა და შედეგები

როგორც ზემოთ ვრცლად იქნა აღწერილი, კონვენცია განსაზღვრავს ტრასტის ჰარმონიზებულ დახასიათებას და არეგულირებს მოქმედი კანონის არჩევისას წარმოშობილი კონფლიქტების შემთხვევებს. შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის ტექსტი არ არეგულირებს კონკრეტულ

Outline of the Convention of 1 July 1985 on the Law Applicable to Trusts and on their Recognition, <<https://assets.hcch.net/docs/489deb8e-f3b8-4c97-b349-fd691b7f8591.pdf>>, [02.09.2022].

⁴⁹¹ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 13, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁹² Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 18, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁹³ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 19, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁹⁴ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 21, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁹⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 20, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

ტულ საკითხებს ხელშემკვრელ მხარეებში დაფუძნებულ ტრასტებთან დაკავშირებით და ძირითადად შემოიფარგლება იმ ზოგადი წესებისა და პრინციპების დადგენით, რომლებიც განსაზღვრავენ მარეგულირებელ კანონმდებლობას სხვადასხვა იურისდიქციებთან შემხებლობაში მყოფი ტრასტებისთვის⁴⁹⁶.

ამდენად, კონვენცია მიზნად ისახავს იმგვარი ჩარჩოს შექმნას, რომელზე დაყრდნობითაც ეროვნული კანონმდებლობები შესაბამისობაში მოვა ტრასტების კონცეფციის საერთო გაგებასთან. **კონვენციის ხელმოწერის მთავარი სიკეთე მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოებს შეეძლება ტრასტის, როგორც სამართლებრივი კონსტრუქტის ცნობა-აღიარება.** თუმცა, აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ სასამართლოების მიერ ტრასტების ცნობა-აღიარების შესაძლებლობის მიუხედავად, მხოლოდ კონვენცია ვერ უზრუნველყოფს ტრასტის ფუნქციონირების საკითხების დარეგულირებას. აღნიშნული საკითხები, როგორც უკვე აღინიშნა, არ რეგულირდება კონვენციით, და შესაბამისად - ამ თემების რეგულირებას ვერც კონვენციის ეროვნულ კანონმდებლობაში რატიფიკაცია უზრუნველყოფს⁴⁹⁷. **ეროვნულ კანონმდებლობაში დამატებითი რეგულირებების გაჩენის გარეშე, მხოლოდ კონვენციის რატიფიკაცია არ ქმნის რეგულირებას ტრასტების ნამდვილობის, ფუნქციონირების, მართვისა და სხვა დაკავშირებული საკითხების თაობაზე.**

ამასთან, კონვენცია ხელმომწერ მხარეებს არ სთხოვს საკუთარ სამართლებრივ სისტემაში ტრასტების რეგულირების შემოღებას⁴⁹⁸ - კონვენცია თავს არიდებს ხელშემკვრელი მხარეების დავალდებულებას, ეროვნულ კანონმდებლობაში ასახონ მათთვის უცხო და, ზოგჯერ, შესაძლოა, ეროვნული სამართლის პრინციპებთან

რადიკალური წინააღმდეგობების მქონე კონცეპტი⁴⁹⁹. ტრასტების რეგულირებისათვის აუცილებელია შესაბამისი საკითხების დამატებითი მოწესრიგება ეროვნული კანონმდებლობით.

კონვენციაზე ხელმოწერა იმ ქვეყნის მიერ, რომელსაც არ გააჩნია ტრასტებისა და მისი მახასიათებელი ძირითადი პრინციპების რეგულირება ეროვნულ დონეზე, ლიტერატურაში შედარებულია სახლის საძირკვლის გარეშე მშენებლობასთან. ამგვარ სიტუაციაში სასამართლოებს გაუჭირდებათ იმ სიცარიელის ამოვსება, რასაც ტრასტების ფუნქციონირებისა და აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური მოუწესრიგებლობის არარსებობა გამოიწვევს.⁵⁰⁰

ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ კონვენციის რატიფიკაცია იმ სახელმწიფოებში, რომელთაც არ გააჩნიათ ტრასტების რეგულირება, გამოიწვევს არათანაბარ/განსხვავებულ მოპყრობას ტრასტებისა და შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომ ურთიერთობებს შორის. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი კატალიზატორი შეიძლება იყოს ტრასტების ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში სრულად რეგულირებისათვის⁵⁰¹.

იმ ფონზე, რომ კონვენცია ტრასტების შინაარსობრივ რეგულირებას არ ითვალისწინებს, ასევე ისმება კითხვა, არის თუ არა საკმარისი მისი რატიფიკაცია ხელშემკვრელ სახელმწიფოში ტრასტების დასაფუძნებლად. რამდენადაც კონვენციის მიხედვით ტრასტების მიმართ უნდა მოქმედებდეს ტრასტის დამფუძნებლის მიერ შერჩეული სამართალი⁵⁰², **კონვენცია ირიბად ადგენს იმის შესაძლებლობასაც, რომ ტრასტი დაფუძნდეს ტრასტის რეგულირების არმქონე სახელმწიფოშიც, სხვა სახელმწიფოს სამართლის გამოყენებით.**

კონვენციის რატიფიკაციის მნიშვნელობის ჭრილში უნდა აღინიშნოს, რომ FATF-ის

⁴⁹⁶ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლები 6-10, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁴⁹⁷ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 90.

⁴⁹⁸ Hayton D., *supra* რეფერენსი 432.

⁴⁹⁹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 90.

⁵⁰⁰ *Id.*

⁵⁰¹ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 90.

⁵⁰² Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 6, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

(Financial Action Task Force) კვლევის თანახმად (2017 წელი, 87 სახელმწიფო), სახელმწიფოების 60%-ს გააჩნია ტრასტის ან მისი მსგავსი ინსტიტუტის ეროვნული რეგულირება, 21%-ს არ გააჩნია თავისი რეგულირება, თუმცა ცნობს უცხოურ ტრასტებს და სახელმწიფოთა მხოლოდ 19%-ია ისეთი, რომელიც არც არეგულირებს და არც ცნობს სატრასტო ურთიერთობებს⁵⁰³.

თავი III. საქართველოში ტრასტების შექმნის მიზანშეწონილობა

3.1. სახელმწიფოსათვის ტრასტების ფუნქციონირებით მოსალოდნელი სარგებელი

ეკონომიკური თვალსაზრისით, ითვლება, რომ ტრასტები აქტივების ფლობის კუთხით სხვადასხვა სახის ბენეფიტებს სთავაზობენ „მომხმარებლებს“, მათ შორის: **არაკეთილგონიერი ბენეფიციარების დაცვა აქტივებთან დაკავშირებით უგუნური განსჯისაგან/გადაწყვეტილებებისაგან, საშემოსავლო და ქონების გადასახადების ოდენობის შემცირება, ქონების დაცვა გადახდისუნარობის ან განქორწინების შემთხვევებისაგან**⁵⁰⁴. ამავდროულად, ტრასტის მმართველისათვის, როგორც პორტფოლიოს მენეჯერისათვის დაკისრებული ქვემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებები განაპირობებს გადაცემული ქონების ეფექტიანად მართვას:

- პორტფოლიოდან/აქტივიდან მაქსიმალური ამონაგების მიღება;

- პორტფოლიოს/აქტივის ლიკვიდობის შენარჩუნება;
- კაპიტალის ნამატი (კაპიტალის ღირებულების ზრდა/მოგება კაპიტალზე);
- პორტფოლიოს დაცულობა, გარანტირებული უზრუნველყოფა⁵⁰⁵.

ეკონომიკურ ქრილში ტრასტების სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობად ასევე სახელდება ის ფაქტი, რომ **ტრასტების სამართალი ორიენტირებულია არა - პირებზე, არამედ - ქონებაზე, აქტივზე**. მისი მთავარი დოქტრინები უზრუნველყოფენ რესურსების ეფექტიან განკარგვას და პირველ რიგში, იცავენ აქტივს და არა - ბენეფიციარების ან სხვა პირების ინტერესს კონკრეტულ ქონებაზე⁵⁰⁶.

ტრასტების ეკონომიკურ ფუნქციად გამოყოფენ შემდეგ სამ როლს:

- აქტივების ჰყრობა ინდივიდების, ოჯახების და პირთა მცირე ჯგუფების სასარგებლოდ;
- კოლექტიური საინვესტიციო სქემების ფუნქციონირება;
- საოჯახო ბიზნესების ოპერირება⁵⁰⁷.

ტრასტი შესაძლებლობას იძლევა, რომ განაწილდეს/გაიყოს შემოსავალი ქონების დაყოფის გარეშე. აღნიშნული განსაკუთრებით რელევანტურია საოჯახო ბიზნესებისა თუ ერთობლივი აქტივების შემთხვევებისათვის - მთლიანი ქონება დანაწევრების გარეშე გადაეცემა ტრასტს და აკუმულირებული მოგება/სარგებელი იყოფა ოჯახის წევრებს შორის⁵⁰⁸.

ტრასტების გამოყენების მასშტაბებისა და ეკონომიკაზე მათი ზეგავლენის ასასახად რელევანტურია მათი რაოდენობის ხაზგასმაც.

⁵⁰³ Egmont Group of Financial Intelligence Units, Concealment of Beneficial Ownership, 2018, 99, <<https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/fatf-egmont-concealment-beneficial-ownership.pdf>>, [15.09.2022].

⁵⁰⁴ IMF Committee on Balance of Payments Statistics, The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, Tokyo, 2001, 4, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁵⁰⁵ Stanford D. J, An economic analysis of the legal concept of trustees' powers of investment, 2001, 10, <https://www.researchgate.net/publication/228390226_An_Economic_Analysis_of_the_Legal_Concept_of_Trustees'_Powers_of_Investment>, [18.09.2022].

⁵⁰⁶ Lau, M. W., The Economic Structure of Trusts: Towards a Property-based Approach, Oxford, 2011, Oxford Academic, 2011, <<https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780199602407.003.0009>>, [24.08.2022].

⁵⁰⁷ IMF Committee on Balance of Payments Statistics, The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, Tokyo, 2001, 6, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁵⁰⁸ IMF Committee on Balance of Payments Statistics, The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, Tokyo, 2001, 7, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

2015 წლის მონაცემებით, მხოლოდ დიდ ბრიტანეთში 1.5 მილიონიდან 2 მილიონამდე ტრასტი ფუნქციონირებდა (მოიცავს როგორც კომერციულ (მაგ: საპენსიო სქემები), ისე - პერსონალურ ტრასტებს). სხვა ანალოგიური კვლევის (2021 წელი) თანახმად, აღნიშნული რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მხოლოდ პერსონალური ტრასტების ჭრილში 2 მილიონს გადააჭარბა. 2017 წლის მონაცემებით, 850 000-ზე მეტი ტრასტი მოქმედებდა ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში - 500 000-მდე, ჰონგ კონგში მოქმედი ტრასტების ქონების ღირებულება კი 132 მილიარდს აჭარბებდა.⁵⁰⁹ ტრასტებთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას ართულებს და არასრულს ხდის ის ფაქტი, რომ **ტრასტებისა და მათი ქონების რეპორტირების ვალდებულებას ეროვნული კანონმდებლობები, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ** (რამდენადაც ტრასტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს).

ტრასტებიდან მომდინარე ზემოთხსენებული ბენეფიტები ქართულ რეალობაში ისევე რელევანტური უნდა იყოს, როგორც სხვა სახელმწიფოებში - ამ მხრივ რამე არსებით სხვაობას არ უნდა ველოდეთ. საყურადღებოა, რომ **საქართველოს მთავრობის განკარგულებით შექმნილი კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი, რომელიც კაპიტალის ბაზარს შეისწავლიდა და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემდა, სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვისას ყურადღებას ამახვილებს ქართულ სამართალში ტრასტების რეგულირების არარსებობაზე**⁵¹⁰.

ამ მომენტისათვის, საქართველოს ეკონომი-

კაზე ტრასტების რეგულირების შემოღების ზეგავლენის ყველაზე კონკრეტულ და საფუძვლიან პროგნოზს გვანდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და Galt & Taggart-ის მიერ მომზადებული კვლევა. კვლევის - ტრასტების რეგულირების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, მიხედვით, ტრასტების მოწესრიგების შემოღებით სახელმწიფოსთვის შემდეგი პოზიტიური შედეგების მოლოდინი შეგვიძლია გვეკონდეს⁵¹¹:

➤ უცხოური ინვესტიციების ზრდა

ქართულ სამართალში ტრასტების რეგულირებამ უნდა გაზარდოს არარეზიდენტი პირების ინტერესი ქართული ეკონომიკისადმი. კერძოდ, აღნიშნულმა პირებმა საკუთარი ქონების ნაწილი საქართველოში დაფუძნებულ ტრასტებში უნდა შეიტანონ. აღნიშნულ ტრასტებს, შესაბამისად, ქართული კომპანიები/სამეწარმეო საზოგადოებები უნდა მართავდნენ, ე.ი., უნდა შეითავსონ ტრასტის მმართველის როლი.

კვლევის პროგნოზით, რეგულირების შემოღებიდან მომდევნო 5 წელიწადში დაახლოებით 5 000-მა არარეზიდენტმა უნდა გამოიჩინოს საქართველოში ტრასტების დაფუძნების ინიციატივა და მათში დაახლოებით 2.5 მილიარდი დოლარის ღირებულების მქონე ქონება მაინც უნდა შეიტანოს. ამასთან, პროგნოზის თანახმად, დაფუძნებული ტრასტების ოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იმატებს და მეხუთე წელს 3 000-ს შეიძლება მიაღწიოს, პირველ წელს ნავარაუდები 20 ტრასტის დაფუძნების პირისპირ.

პროგნოზის შემოკლებული ვერსია ცხრილის სახით:

ქართულ ეკონომიკაში ინვესტირების პროგნოზი	ტრასტების სამართლის ამოქმედების შემდგომი წლები					5 წლის მონაცემები კუმულატიურად
	1	2	3	4	5	
დაფუძნებული ტრასტების ოდენობა	20	30	450	1,500	3,000	5,000
ტრასტებში შეტანილი ქონებების ღირებულება \$ (ათასებში)	22,160	40,240	225,000	750,000	1,500,000	2,537,400

⁵⁰⁹ STEP, *supra* რეფერენსი 2, 10.

⁵¹⁰ კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი, ჩამოყალიბებული მთავრობის 2014 წლის 22 სექტემბრის N1-1/264 განკარგულებით, საქართველოს კაპიტალის ბაზარი - დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები, 2015, 28,

<http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015._GEO.pdf>, [27.08.2022].

⁵¹¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, Galt & Taggart, *Impact of Trust Law on Georgian Economy*, 2021.

➤ **მულტიპლიკატორების მისადაგება**

მოცემულ შემთხვევაში მულტიპლიკატორი აღნიშნავს იმ რაოდენობრივ მაჩვენებელს, რომელიც ადგენს, თუ როგორ აისახება (რამდენჯერ იზრდება ან მცირდება) კონკრეტულ სექტორში ინვესტირებული 1 ლარი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე (შემდგომში - მშპ). იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში მოახდენს ტრასტი მიღებული ქონების ინვესტირებას, მულტიპლიკატორი ნაგარაუდევია შემდეგი მოცულობებით:

ინვესტირების სფერო	მულტიპლიკატორი
საცალო სესხები	0.61
კორპორატიული სესხები	1.3
ადგილობრივი კაპიტალის ბაზარი	1.7
უძრავი ქონება	0.78
ტურიზმი	0.6

➤ **მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ზეგავლენა**

ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, ტრასტების სამართლის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში ნაგარაუდევია ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების (მშპ, საგადასახადო შემოსავლები, დასაქმების მაჩვენებელი) შემდეგი მოცულობებით ზრდა:

პარამეტრები	რეგულირების ამოქმედებიდან 5 წლის შემდგომ
მშპ-ზე ზეგავლენა (%)	2.3%
საგადასახადო შემოსავლებზე ზეგავლენა (ლ)	863 000 000
დასაქმების მაჩვენებლებზე ზეგავლენა (ახალი სამუშაო ადგილების ოდენობა)	9 066

ტრასტი ინვესტირებული 1 ლარი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე (შემდგომში - მშპ). იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში მოახდენს ტრასტი მიღებული ქონების ინვესტირებას, მულტიპლიკატორი ნაგარაუდევია შემდეგი მოცულობებით:

3.2. საქართველოში არსებული სამართლებრივი შეზღუდვები ტრასტების დაფუძნებისთვის

როგორც სტატიაში უკვე არაერთხელ აღინიშნა, ქართული კანონმდებლობა არ არეგულირებს ან ცნობს ტრასტებს. ქართულ სამართალში არ არსებობს ტრასტი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის ფორმა ან ხელშეკრულების კონკრეტული სახე⁵¹². ქართულ კანონმდებლობაში ტრასტებთან ყველაზე ახლოს მდგომ ანალოგად საკუთრების მინდობის ურთიერთობა შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების მინდობის მარეგულირებელი ნორმები⁵¹³ ხშირად ანგლო-ამერიკული ტრასტის კონცეფციის საკანონმდებლო განსხვავებად არის მოხსენიებული⁵¹⁴, აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება⁵¹⁵. საკუთრების მინდობა ქართულ სამართალში გერმანულ პარადიგმას იმეორებს, რომლის გაიგივებაც ტრასტის ინსტიტუტთან არასწორია, თუმცა, არც სატრასტო ურთიერ-

⁵¹² კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი, ჩამოყალიბებული მთავრობის 2014 წლის 22 სექტემბრის N1-1/264 განკარგულებით, საქართველოს კაპიტალის ბაზარი - დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები, 2015, 31, <http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015._GEO.pdf>, [27.08.2022].

⁵¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავი XIV, მუხლები 724-729.

⁵¹⁴ გველესიანი ი., *supra* რეფერენსი 5. იხ. ასევე ხეცურიანი, ჭანტურია, ზოიძე, ნინიძე, შენგელია, ხეცურიანი(რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი 2001, 416.

⁵¹⁵ ხეცურიანი, *supra* რეფერენსი 514, 416, წყაროდან რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

თობასთან არსებული მსგავსებების უგულვებელყოფა იქნება სამართლიანი⁵¹⁶. აღნიშნული მიმართების აღსაწერად, მათ შორის, სატრასტო ურთიერთობის დასამყარებლად არსებული შეზღუდვებისა და ვაკუუმების გამოსავლენად, საჭიროა ამ ორი ინსტიტუტის შედარება, როგორც საკანონმდებლო, ისე - სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. რამდენადაც უშუალოდ⁵¹⁷ საკუთრების მინდობის რეგულირებას ქართულ სამოქალაქო კოდექსში სულ 5 მუხლი აქვს დათმობილი, მისი ტრასტებთან შედარების კონტექსტში აუცილებელი იქნება ამ ნორმებთან დაკავშირებით არსებული იურიდიული კომენტარებისა და პრაქტიკის მოშველიება:

პირველ რიგში საჭიროა ტრასტებსა და საკუთრების მინდობის ურთიერთობას შორის თავად სამოქალაქო კოდექსითვე განსაზღვრული განსხვავებების იდენტიფიცირება:

- **საკუთრების მიმნდობი არ გადასცემს მინდობილ მესაკუთრეს ქონებაზე საკუთრებას⁵¹⁸** - საკუთრება რჩება საკუთრების მიმნდობთან, მინდობილი მესაკუთრე კი მხოლოდ მართავს მას⁵¹⁹. აღნიშნულის საპირისპიროდ, ტრასტის აქტივებზე კანონიერი (ფორმალური) საკუთრება ტრასტის მმართველს გააჩნია⁵²⁰. შესაბამისად, საკუთრების მინდობა ვერ უზრუნველყოფს იმ მთელ რიგ ბენეფიტებს, რასაც ტრასტის შემთხვევაში ქონებაზე საკუთრების სხვა პირზე გადაცემა იწვევს. მაგალითად: საკუთრების მიმნდობის მიერ მინდობილისათვის გადაცემული ქონება შესაძლოა გახდეს კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილების საგანი⁵²¹. იურიდიული პირის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, აღნიშნული ქონება გა-

დახდისუნარიანობის მასაში შევა⁵²². საკუთრების მიმნდობი ასევე ვერ ისარგებლებს საგადასახადო შეღავათებით.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს, რომ საკუთრების მინდობისას ქონება უნდა იმართებოდეს მიმნდობის ინტერესების შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ:

1. „**ბენეფიციარი**“ კვლავ მიმნდობი რჩება. ე.ი., ანგლო ამერიკული ტრასტისგან განსხვავებით, **გაყოფილი არ არის კანონიერი (ფორმალური) და ექვითიდან გამომდინარე საკუთრება** - ორივე მათგანი თავმოყრილია ერთი პირის ხელში, რაც ტრასტების არსებობის გამომრიცხავი პირობაა. ტრასტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ინტერესები - კანონისმიერი მესაკუთრეობისა (legal title) და ექვითის მიხედვით საკუთრებისა (equitable title), გამიჯნულია⁵²³.

2. **მიმნდობთან რჩება გადაცემული აქტივის განკარგვაზე მითითებების შეუზღუდავად გაცემის უფლებამოსილება**, არამხოლოდ გადაცემის მომენტში კონკრეტული მითითებებისა და მიზნების განსაზღვრის სახით (შეადარეთ - ტრასტის აქტი), არამედ - ქონების გადაცემის შემდგომაც, მუდმივად და პარალელურ რეჟიმში. მინდობილი მესაკუთრე ასრულებს მესაკუთრის უფლებამოსილებას, მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში. ფაქტობრივად, სახეზეა დავალების ხელშეკრულებით წარმოშობილი სიტუაცია⁵²⁴. ტრასტების შემთხვევაში, როგორც წესი, ტრასტის მმართველს

⁵¹⁶ ხეცურიანი, *supra* რეფერენსი 514, 416, წყაროდან რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

⁵¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 729, საკუთრების მინდობის მიმართ ასევე გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

⁵¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 724, 729 და 715.

⁵¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 724. იხ. ასევე რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 7.

⁵²⁰ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 21. იხ. ასევე Turner C., *supra* რეფერენსი 80, 8.

⁵²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 715-716-ე მუხლები.

⁵²² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

⁵²³ Hudson A., *supra* რეფერენსი 53, 14-15. იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

⁵²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 729-ე მუხლი: „საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები“.

(შეადარეთ - მინდობილი მესაკუთრე) საკმარისი დისკრეცია აქვს მინიჭებული გადანყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად⁵²⁵.

მსგავსებების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში მესაკუთრის უფლებამოსილებით სარგებლობს⁵²⁶. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მინდობილი მესაკუთრე ვერ მოიპოვებს რეალურ საკუთრებას გადაცემულ ქონებაზე, მესამე პირებთან ურთიერთობის ნაწილში მაინც, მისი სტატუსი ტრასტის მმართველის პოზიციის მსგავსია.

ამასთან, კოდექსისავე მიხედვით, ტრასტის მმართველის მსგავსად, მინდობილ მესაკუთრესაც დაეკისრება პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა საკუთრების მიმდობის მიმართ არასაკმარისი გულისხმიერების გამოჩენისა და ამით საკუთრების მიმდობის ან მესამე პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში⁵²⁷.

ქართული კანონმდებლობის კვალდაკვალ, არც ქართული სასამართლო პრაქტიკა არეგულირებს ტრასტებთან დაკავშირებულ საკითხებს. **იმ ერთადერთ საქმეში⁵²⁸, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ მეტნაკლებად შინაარსობრივად განიხილა სატრასტო ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, ტრასტის ქართული კანონმდებლობისათვის უცხო/დაურეგულირებელი თავისებურებების შეფასება საჭირო არ გამხდარა -** სასამართლომ სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით შეძლო გადანყვეტილების მიღება.

რაც შეეხება საკუთრების მინდობის ინსტიტუტის თაობაზე ქართული სასამართლოების მიერ გაკეთებულ შეფასებებს და მის მისადაგებას სატრასტო ურთიერთობასთან: უზენაესი

სასამართლოს 2017 წელს გაკეთებული განმარტებით, საკუთრების მიმდობი საკუთარი ფასეულობის განკარგვისათვის გამოხატავს კეთილი ნდობის რისკს და სამართლებრივ ურთიერთობაში შედის პირთან, რომელიც ხდება მინდობილი მესაკუთრე. საკუთრების მინდობა წარმოადგენს არაპირდაპირ წარმომადგენლობას, რადგან მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საკუთრებას საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით, მაგრამ თავისი სახელით მართავს⁵²⁹. უზენაესი სასამართლოს ამ განმარტებაში კიდევ უფრო ცალსახად არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ **მინდობილი მესაკუთრე წარმოადგენს მიმდობის დავალების შემსრულებელს, მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედ პირს და არა - გადაცემულ აქტივზე საკუთრების მფლობელ, მესამე პირის (ბენეფიციარი) ინტერესების შესაბამისად მოქმედ პირს, როგორც ეს ტრასტის მმართველის შემთხვევაშია.**

სხვა საქმეზე⁵³⁰ სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების მინდობა არ გულისხმობს მინდობილი პირისათვის მინდობილი ქონების განკარგვის უფლების მინიჭებას. საკუთრების მინდობა, თავისი კლასიკური არსითა და დანიშნულებით, გულისხმობს მინდობილი პირის ვალდებულებას, მართოს მინდობილი ქონება თავისი სახელით, თუმცა, მინდობილი მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად. ... **ამგვარი თავისებურებით ხასიათდება დავალების ხელშეკრულებაც. საკუთრების მინდობა დავალების ხელშეკრულების ერთ-ერთი სახესხვაობაა, იმ თავისებურებით, რომ საკუთრების მინდობის დროს დავალების არსი მდგომარეობს მინდობილი ქონების მართვაში. დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების**

⁵²⁵ Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265, 355.

⁵²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵²⁷ ლილუაშვილი გ., ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“ №1, 1998, იურიდიული პირი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, 41.

⁵²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის №ას-1794-1771-2011 განჩინება.

⁵²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის №ას-842-786-2017 განჩინება.

⁵³⁰ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 მაისის №2ბ/974-12 გადანყვეტილება.

ხელშეკრულების მხარეები არიან, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობებში კრედიტორის როლში გამოდის და მეორე მხრივ, რწმუნებულის, რომელიც დავალებული მოქმედების განხორციელებას კისრულობს. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება.

სააპელაციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **საკუთრების მინდობისას არათუ საკუთრების უფლების გადაცემას არ აქვს ადგილი, არამედ - მინდობილი პირი მოქმედებს სრულად საკუთრების მიმდობის მითითებების/დავალების შესაბამისად**. ამდენად, ამ ურთიერთობის ფარგლებში არ გვხვდება სანივთო გარიგების ელემენტები და სახეზეა განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დავალება, იმ სპეციფიკით, რომ შესასრულებელი სამუშაო გულისხმობს ქონების მართვას. როგორც ზემოთ უკვე ხაზი გაესვა, აღნიშნულის საპირისპიროდ, ტრასტის მმართველი გადაცემულ ქონებაზე საკუთრებას იძენს და მიუხედავად იმისა, რომ ქონებას მართავს ტრასტის აქტის შესაბამისად⁵³¹, როგორც წესი, ბევრად უფრო ფართო დისკრეციით არის აღჭურვილი.

უზენაესმა სასამართლომ თავის 2019 წლის გადაწყვეტილებაში⁵³² გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ რწმუნებულების მიცემისას, გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია მხოლოდ ერთი პირის - მარწმუნებლის ნების გამოვლენა, ხოლო **საკუთრების მინდობის ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ურთიერთობის მონაწილე ყველა მხარის ნების არსებობისას**. აქ საკუთრების მინდობასა და სატრასტო ურთიერთობას შორის კიდევ ერთი განსხვავება იკვეთება: **საკუთრების მინდობა ორმხრივი ნების გამოვლენას ემყარება, მაშინ, როდესაც ტრასტი ცალმხრივი გარიგებაა, ტრასტის შექმნისათ-**

ვის საკმარისია ტრასტის დამფუძნებლის მიერ მხოლოდ ტრასტის დაფუძნების ნების დეკლარაცია⁵³³.

ტრასტის ინსტიტუტისა და მასთან ყველაზე ახლოს მდგარი ქართული ურთიერთობის შედარება ნათელს ხდის, რომ საკუთრების მინდობა ვერ გამოდგება სატრასტო ურთიერთობების სუროგატად.

ქართულ სამართალში მოქმედი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან⁵³⁴ გამომდინარე, **შესაძლოა გამოითქვას მოსაზრება, რომ სატრასტო ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი არ არის ტრასტების საკანონმდებლო რეგულირების არსებობა და აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ სახელშეკრულებო დათქმების საფუძველზეც**. ეს მსჯელობა მცდარია შემდეგი მოცემულობის გამო:

როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში, ტრასტი გულისხმობს საკუთრების უფლების გახლეჩას, რამდენადაც, როგორც მიმდობი, ისე მინდობილი საკუთრების უფლების მფლობელია. სწორედ ანგლო-ამერიკული სამართლის ეს თავისებურება, მისთვის დამახასიათებელი სამართლის ორი ფენით – საერთო სამართალი და ექვიტით, რომლებიც კონკურირებენ და ხანდახან ავსებენ ერთმანეთს, შეუძლებელს ხდის ამ გადაწყვეტის რეცეფციას საქართველოში⁵³⁵. ინგლისური სამართლის დოქტრინას განვითარებული აქვს საკუთრების უფლების დიქტომია იმგვარად, რომ ტრასტის მმართველი ფორმალური სამართლის მიხედვით (*at law, legal title*) მესაკუთრედ მიიჩნევა, ხოლო ბენეფიციარს საკუთრება ეკუთვნის *in equity* (ექვიტის სამართლის შესაბამისად)⁵³⁶.

ქართულ რეალობაში, საკანონმდებლო დონეზე არსებული შეზღუდვების გამო, საკუთრების უფლების მსგავსი მოდიფიკაციის ხელშეკრულებით გათვალისწინება დაუშვებელია. კერძოდ, ქართულ სანივთო სამართალში მოქმე-

⁵³¹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 436.

⁵³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის №ას-452-2019 განჩინება.

⁵³³ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 70.

⁵³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი.

⁵³⁵ რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 12.

⁵³⁶ Graf V. B., *Einführung in das englische Recht*, 4 Aufl, München 2011, 160, წყაროდან რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4, 11.

დებს *numerus clausus* პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ სანივთო სამართალში მოქმედებს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონმდებლობით არის დადგენილი⁵³⁷. კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს შეუძლია არჩევანი გააკეთოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სანივთო უფლებებს შორის, თუმცა არ შეუძლია მათი შინაარსის შეცვლა. იმავე მიდგომას იყენებენ კონტინენტური ევროპის სამართლის სხვა ქვეყნები⁵³⁸ და სწორედ ეს წარმოადგენს მათ შემთხვევაშიც ტრასტების გამოყენების ძირითად დაბრკოლებას.

აღნიშნული დაბრკოლების გადაჭრა გარკვეულწილად შესაძლებელი უნდა იყოს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების გამოყენებით. მსგავსად სატრასტო ურთიერთობისა, აქაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება ექნებათ როგორც კრედიტორს (აქ: ტრასტის დამფუძნებელს), ისე - მესამე პირს (აქ: ბენეფიციარს). თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტა იმთავითვე საკმაოდ სარისკო გზად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც, ამ შემთხვევაში მოვალეს უნდა გადაეცეს ქონებაზე საკუთრება და დაეკისროს ვალდებულება, მისგან მიღებული სარგებელი გადასცეს მესამე პირს, ბენეფიციარს. კრედიტორის მიერ გადაცემულ საკუთრების უფლებაზე საკუთრების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის - სარგებლობის⁵³⁹ გამორიცხვა, აუცილებლად დადგება ეჭვქვეშ⁵⁴⁰.

გარდა აღნიშნულისა, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს ტრასტის ქონების დაუცველობა ტრასტის მმართველისა და ბენეფიციარის პირადი კრედიტორებისაგან. ტრასტის ქონების განცალკევების/გამიჯნულობის საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებლობის შემთხვევაში კრედიტორები აუცილებლად შეეცდებიან კუთვნილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის, ტრასტის ქონებიდანაც.

თავი IV. საქართველოში ტრასტის ინსტიტუტის შესაქმნელად საჭირო ცვლილებები

4.1. ტრასტების ცნობა/აღიარების შესაძლებლობა ჰააგის კონვენციის ხელმოწერის მეშვეობით

კონვენციის რატიფიკაცია, მათ შორის, ემსახურება საერთაშორისო, ინტერნაციონალურ სატრასტო ურთიერთობებში ჩართულობის სერიოზულობის ხაზგასმასა და აღიარებას⁵⁴¹. ჰააგის კონვენციის ხელმოწერის მეშვეობით ტრასტების ცნობა/აღიარების საკითხის შეფასებისას მხედველობაში მისაღებია: 1. თავად კონვენციით გათვალისწინებული მისი ხელმოწერის შედეგები და 2. ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების ამოქმედების შესაძლებლობა.

როგორც ზემოთ უკვე განხილულ იქნა, კონვენციის ხელმოწერის მთავარი სიკეთე მდგომარეობს იმაში, რომ **სასამართლოებს შეეძლება ტრასტის, როგორც სამართლებრივი კონსტრუქტის ცნობა-აღიარება**. კონვენციის ტექსტი არ არეგულირებს კონკრეტულ საკითხებს ხელშემკვერელ მხარეებში დაფუძნებულ ტრასტებთან დაკავშირებით და ძირითადად შემოიფარგლება იმ ზოგადი წესებისა და პრინციპების დადგენით, რომლებიც განსაზღვრავენ მარეგულირებელ კანონმდებლობას სხვადასხვა იურისდიქციებთან შემხებლობაში მყოფი ტრასტებისთვის. კონვენცია მიზნად ისახავს იმგვარი ჩარჩოს შექმნას, რომელზე დაყრდნობითაც ეროვნული კანონმდებლობები შესაბამისობაში მოვა ტრასტების კონცეფციის საერთო გაგებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **მხოლოდ კონვენციის რატიფიკაცია, ეროვნულ კანონმდებლობაში დამატებითი რეგულირებების გაჩენის გარეშე, ავტომატურად არ გარდაქმნის მას ტრასტების მარეგულირებელ თვითმყოფად სამართლებრივ ინსტრუმენტად**

⁵³⁷ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117.

⁵³⁸ *Id.* 50.

⁵³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი.

⁵⁴⁰ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999, 15.

⁵⁴¹ Gaillard E., *supra* რეფერენსი 433, 339.

- რატიფიკაცია ვერ დაარეგულირებს ტრასტების ნამდვილობის, ფუნქციონირების, მართვისა და სხვა დაკავშირებულ საკითხებს. კონვენცია არც ადგენს ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი მონესრიგების გაჩენის ვალდებულებას^{542,543} - კონვენცია თავს არიდებს ხელშემკვრელი მხარეების დავალდებულებას, ეროვნულ კანონმდებლობაში ასახონ მათთვის უცხო და, ხშირად, ეროვნული სამართლის პრინციპებთან არსებითი წინააღმდეგობების მქონე კონცეპტი⁵⁴⁴. მხოლოდ კონვენციის იმპლემენტაციის შემთხვევაში, ტრასტების რეგულირებისათვის აუცილებელი იქნება შესაბამისი საკითხების დამატებითი მონესრიგება ეროვნული კანონმდებლობით.

იმ ფონზე, რომ კონვენცია ტრასტების შინაარსობრივ რეგულირებას არ ითვალისწინებს, ასევე ისმება კითხვა, არის თუ არა მისი რატიფიკაცია საკმარისი ხელშემკვრელ სახელმწიფოში ტრასტების დასაფუძნებლად. რამდენადაც კონვენციის მიხედვით ტრასტების მიმართ უნდა მოქმედებდეს ტრასტის დამფუძნებლის მიერ შერჩეული სამართალი⁵⁴⁵, **კონვენცია ირიბად ადგენს იმის შესაძლებლობასაც, რომ ტრასტი დაფუძნდეს ტრასტის რეგულირების არმქონე სახელმწიფოშიც, სხვა სახელმწიფოს სამართლის გამოყენებით.**

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციის პრინციპების ამოქმედების შესაძლებლობას, მთავარ შესაძლო ხელშემშლელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ტრასტების რეგულირებისათვის დამახასიათებელი საკუთრების „გახლეჩის“ კონცეპტი⁵⁴⁶. სატრასტო ურთიერთობის ფარგლებში საკუთრების ფორმალურ სამართლებრივ (კანონიერ) და ექვითი-

დან გამომდინარე საკუთრებებად დაყოფა ინგლისური სამართლის ნოუ-ჰაუა და სხვა იურისდიქციების, მეტწილად კი, კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობებში არსებით დაბრკოლებებს წარმოშობს. თუმცა, ეს წინააღმდეგობა მხოლოდ კონვენციის რატიფიკაციით არ წარმოიშობა, რადგანაც, **კონვენციის ხელმოწერა არ გულისხმობს/ითხოვს საკუთრების დაყოფას კანონიერ (ფორმალური) და ექვითიდან გამომდინარე საკუთრების უფლებებად**⁵⁴⁷.

კონვენციის დათქმის შესაბამისად, იგი არ ვრცელდება ფისკალურ საკითხებზე⁵⁴⁸, შესაბამისად, საგადასახადო კუთხით დაუბრკოლებლად იმოქმედებს ქართული კოდექსი და თანმხლები აქტები.

კონვენცია ითხოვს ტრასტის აღიარებას ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციით ჩამოყალიბებული სამართლებრივი ეფექტების გათვალისწინებით, მათ შორის, ტრასტის აქტივების გამიჯვნის პრინციპის ცნობასა და დაცვას მინდობილი მესაკუთრის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების შემთხვევაში⁵⁴⁹. აღიარება, მათ შორის, ასევე მოიცავს ტრასტის მმართველის ვალდებულებას, დააბრუნოს ტრასტის აქტივები, თუ მმართველი ტრასტის აქტის დარღვევით გაასხვისებს ან შეურევს მას თავის პირად აქტივებს.

ეროვნულ კანონმდებლობაში ტრასტების რეგულირების გაჩენის გარეშე მხოლოდ კონვენციის აღიარების თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ შვეიცარიის შემთხვევა. შვეიცარიას კონვენციის ხელმოწერის პარალელურად არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი ცვლილებები საკუთარ კანონმდებლობაში

⁵⁴² Harris J., *supra* რეფერენსი 433, 90.

⁵⁴³ Hayton D., *supra* რეფერენსი 432.

⁵⁴⁴ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 91.

⁵⁴⁵ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 6, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁴⁶ Graham M., *supra* რეფერენსი 10, 38. Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 5.

⁵⁴⁷ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 107.

⁵⁴⁸ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 19, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁴⁹ Conseil fédéral Suisse, Message concernant l'approbation et l'exécution de la Convention de La Haye relative à la loi applicable au trust et à sa reconnaissance, 2005, <<https://fedlex.data.admin.ch/filestore/fedlex.data.admin.ch/eli/fga/2006/54/fr/pdf-a/fedlex-data-admin-ch-eli-fga-2006-54-fr-pdf-a.pdf>>, [28.08.2022].

და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საქართველოს მიერ მხოლოდ კონვენციის ხელმოწერის გეგმის განხილვისთვისაც რელევანტური იქნება:

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ჰააგის კონვენციას 2007 წლიდანვე შეუერთდა⁵⁵⁰, მას არ გააჩნია შიდა, თვითკმარი რეგულირება ტრასტებისათვის. შვეიცარიის კანონმდებლობაში არ არსებობს კანონი ტრასტების შესახებ - არსებითად არც სხვა კანონებში გვხვდება ტრასტებთან დაკავშირებით სხვა საკითხების რეგულირება, გარდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონმდებლობისა⁵⁵¹. მიუხედავად აღნიშნულისა, შვეიცარიაში ასობით ტრასტის მმართველი და ათასობით ტრასტი წარმატებით ფუნქციონირებს.

კონვენციის რატიფიკაციამ შემოიტანა განსაზღვრულობა შვეიცარიაში მართული ტრასტების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაში⁵⁵². შვეიცარიული სამართალი ავსებს კონვენციით ღია დატოვებულ იმ თემებს, რომლებიც აუცილებელია ტრასტების ცნობა/აღიარებისათვის, მათ შორის:

➤ ქონების გადაცემის ნამდვილობა

ქონების ტრასტის მმართველისათვის გადაცემის ნამდვილობის საკითხს თავად კონვენცია არ არეგულირებს⁵⁵³. სამაგიეროდ, ასეთი ტრანზაქციის ნამდვილობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა შვეიცარიული სამართალი და **ბათილად აფასებს ისეთი სახის გადაცემებს, რომლებიც წინააღმდეგობაშია მიმღების უფ-**

ლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან, საოჯახო სამართალთან და სხვა კანონით დადგენილ აკრძალვებთან⁵⁵⁴.

ქონების გადაცემის ბათილად ცნობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია **გადახდისუუნარობის პროცესიდან ქონების განრიდების მოტივი**. ქართული კანონმდებლობის მსგავსად⁵⁵⁵, შვეიცარიული გადახდისუუნარობის სამართალიც საცილოდ მიიჩნევს გადახდისუუნარობის მომენტამდე ახლო წარსულში ქონების გადაცემის საეჭვო შემთხვევებს⁵⁵⁶. ამდენად, მხოლოდ კონვენციის იმპლემენტაციის შემთხვევაში, ქართულ სამართალში არსებულმა გარიგების საცილობის წესმა⁵⁵⁷ (გადახდისუუნარობის ფარგლებში, გადახდისუუნარობის მომენტამდე 2 ან 3 წლით ადრე დადებულ კონკრეტულ გარიგებებზე) უნდა იმოქმედოს ტრასტის ქონებასთან მიმართებითაც.

➤ იმპერატიული/„გადაუხვევადი“ (non-derogable) წესების დაცვა

იმის მიუხედავად, თუ რომელი სამართლით წესრიგდება ტრასტი, კონვენცია არ კრძალავს არჩეული სამართლის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ნორმების შეცვლა ნებაყოფლობით არის შესაძლებელი შემდეგ საკითხებთან მიმართებით: არასრულწლოვანთა და ქმედუნარიანობაშეზღუდული პირების დაცვა, ქორწინების თანმდევი პირადი და ქონებრივი შედეგები, სამემკვიდრეო საკითხები, ქონებაზე საკუთრების ან უზრუნველყოფის გადაცემა, გადახდისუუნარობის ფარგლებში

⁵⁵⁰ Mark Barmes M. *supra* რეფერენსი 302, 1.

⁵⁵¹ Conseil fédéral Suisse, Message concernant l'approbation et l'exécution de la Convention de La Haye relative à la loi applicable au trust et à sa reconnaissance, 2005, <<https://fedlex.data.admin.ch/filestore/fedlex.data.admin.ch/eli/fga/2006/54/fr/pdf-a/fedlex-data-admin-ch-eli-fga-2006-54-fr-pdf-a.pdf>>, [28.08.2022].

⁵⁵² Mark Barmes M. *supra* რეფერენსი 302, 1.

⁵⁵³ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 8, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁵⁴ Harris J., *supra* რეფერენსი 433, 461.

⁵⁵⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი.

⁵⁵⁶ Restructuring & insolvency laws & regulations in Switzerland 2022, <<https://iclg.com/practice-areas/restructuring-and-insolvency-laws-and-regulations/switzerland>>, [28.08.2022].

⁵⁵⁷ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი.

კრედიტორების და, საზოგადოდ, ასევე კეთილ-სინდისიერი მესამე პირების დაცვა⁵⁵⁸.

ამდენად, **აკრძალულია აღნიშნული საკითხების რეგულირების სახელშეკრულებო შეთანხმებით შეცვლა**. შესაბამისად, ქართულ რეალობაშიც, საჭირო იქნება შენარჩუნდეს აღნიშნულ საკითხებზე არსებული რეგულირების იმპერატიულობა.

➤ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

როგორც ქართული⁵⁵⁹, ისე - შვეიცარიული სამართლით⁵⁶⁰, **სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით ქონება შესაძლოა დაექვემდებაროს კონფისკაციას, მათ შორის, ტრასტის აქტივების ნაწილშიც, თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდება დანაშაულის საგანი ან დანაშაულებრივად მოპოვებული ნივთი**. ტრასტებთან მიმართებით შვეიცარიული მიდგომაა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის მესაკუთრის მოთხოვნებისაგან დაცვის პრინციპის მსგავსად, თუ ტრასტის აქტივი მოპოვებულია კეთილსინდისიერად და, ამავდროულად, ანაზღაურების სანაცვლოდ, მასზე კონფისკაცია ვერ განხორციელდება. სხვა შემთხვევებში, ტრასტის ქონება სტანდარტულად დაექვემდებარება ჩამორთმევას⁵⁶¹.

როდესაც ტრასტის აქტივები არ არის დაკავშირებული დანაშაულთან, ისინი მაინც შეიძლება გახდნენ კონფისკაციის ობიექტები, თუ სახეზეა ცრუ/თვალთმაქცური ტრასტი (ტრასტი, რომელიც შექმნილია არა ტრასტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევას, არამედ - მხოლოდ აქტივების სეპარაციისათვის). იგივე მიდგომა უნდა გავრცელდეს ქართულ სამართალშიც - გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის აქტივები არ ითვლება არც თავად ტრასტის დამფუძნებ-

ლის, არც ტრასტის მმართველის და არც ბენეფიციარის პირად საკუთრებად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში⁵⁶² დამატებით უნდა განხორციელდეს შესაბამისი დაზუსტებები - ცრუ ტრასტების ქონებაზე კონფისკაციის შესაძლებლობის თაობაზე.

4.2. ტრასტების დაფუძნებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა ეროვნულ კანონმდებლობაში მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნით

როგორც ზემოთ უკვე ვრცლად იქნა განხილული, მხოლოდ კონვენციის რატიფიკაცია არ ქმნის საკმარის საფუძველს ქართულ კანონმდებლობაში ტრასტების ფუნქციონირების მარეგულირებელი წესების შექმნისათვის. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ტრასტების ფუნქციონირება კონვენციით განსაზღვრული ძირითადი მახასიათებლების შესაბამისად (მაგალითად, ტრასტის აქტივების გამიჯვნა ტრასტის მმართველის ქონებისაგან), აუცილებელია ეროვნულ კანონმდებლობაში დამატებით მთელი რიგი იმპერატიული დანაწესების ცვლილება. ტრასტების დაარსების, მოქმედებისა და შეწყვეტისათვის გამოსაყენებელ სამართლად ქართული სამართლის მითითება რომ ნამდვილი იყოს, აუცილებელია **1. მთელი რიგი ცვლილებების განხორციელება არსებულ ნორმატიულ აქტებში, ან - 2. ალტერნატივად, ქვემოთ აღწერილი ცვლილებების თავმოყრა ახალ - „ტრასტების შესახებ“ კანონში**.

ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ტრასტისთვის დამახასიათებელი საკუთრების უფლების გახლეჩა (ფორმალური (legal title) და ექვიტის სამართლის (equitable title) მიხედვით)

⁵⁵⁸ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 15, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

⁵⁶⁰ Swiss Criminal Code of 21 December 1937 (Status as of 1 June 2022), ქვეთავი 5.b,

<https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/en>, [28.08.2022].

⁵⁶¹ Swiss Criminal Code of 21 December 1937 (Status as of 1 June 2022), მუხლი 70, <https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/en>, [28.08.2022].

⁵⁶² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

ექვითის სამართლის არმქონე ქვეყნებში მთავარ გამოწვევად მიიჩნევა⁵⁶³. ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემებში ტრასტის თანმდევი საკუთრების უფლების გახლეჩა გულისხმობს საკუთრებიდან სარგებლის მიღებისა და მასზე კონტროლის, მართვის უფლებამოსილებების გამიჯვნას⁵⁶⁴. ეს თავისებურება ართულებს ამ გადანყვეტის რეცეფციას საქართველოში. კერძოდ, შესაფასებელია, გარდაუვალია თუ არა ქართულ სამართალში ექვითის სამართლის იდენტური კონცეპტის დამკვიდრება - აღნიშნული მნიშვნელოვან და არაპროგნოზირებად ზეგავლენას იქონიებდა სამოქალაქო სამართლის ფაქტობრივად ყველა ურთიერთობაზე. ალტერნატივის სახით, უნდა განისაზღვროს, ხომ არ არის შესაძლებელი ექვითის გვერდის ავლით, მხოლოდ ტრასტისთვის დამახასიათებელი თავისებურებების (ძირითადად - ბენეფიციარის უფლებების შესაფერისი სტანდარტით უზრუნველყოფა) კანონმდებლობაში ასახვით, იგივე შედეგის მიღწევა.

იმის გამო, რომ ქართულ იურისდიქციაში საკუთრების უფლება სამი განუყოფელი კომპონენტისაგან (მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა) შედგება, სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომ, ამჟამად, საკუთრების დაყოფა/გახლეჩა გამოირიცხება⁵⁶⁵. საკუთრება სრულად უნდა ეკუთვნოდეს ერთ-ერთს: ტრასტის დამფუძნებელს, მმართველს ან ბენეფიციარს - ორი ან სამი პირი ერთდროულად ვერ ისარგებლებს მესაკუთრის სტატუსით. სხვაგვარი გადანყვეტისათვის აუცილებელი იქნებოდა სპეციალური სანივთო უფლების არსებობა, რომელიც დაუშვებდა მინდობილისათვის საკუთრების დარი სამართლებრივი პოზიციის მინიჭებას და რისთვისაც ანგლო-ამერიკული ტრასტი შეიძლება აგველო პარადიგმად, თუმცა ეს მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე შეიძლება განხორციელდეს და აღნიშნული, პარალელურად,

სასამართლო პრაქტიკის ძირეულ ცვლილებებს გამოიწვევს⁵⁶⁶.

რადგანაც სანივთო სამართალში მოქმედი **numerus clausus** პრინციპი გამორიცხავს ახალი სანივთო უფლების შექმნას მხარეთა კერძო-ავტონომიური შეთანხმების საფუძველზე⁵⁶⁷, ტრასტის მმართველის სანივთო-სამართლებრივი მდგომარეობის მხრივ მხოლოდ შემდეგი გადანყვეტა შეიძლება იყოს შემოთავაზებული: 1. ტრასტის დამფუძნებელი უნდა დარჩეს ნივთის მესაკუთრედ და ტრასტის მმართველმა არ უნდა მოიპოვოს არანაირი სანივთო პოზიცია ან პირიქით, 2. ტრასტის მმართველი უნდა გახდეს სრულუფლებიანი მესაკუთრე, 3. სანივთო უფლებების არსებულ საკანონმდებლო ჩამონათვალს დაემატოს კიდევ ერთი უფლება, ტრასტის ბენეფიციარის მიერ ტრასტის ქონებიდან სარგებლის მოთხოვნის სახით.

ქვემოთ შემოთავაზებულია ქართულ კანონმდებლობაში ის არსებითი ცვლილებები (მათ შორის, ტრასტების ინსტიტუტისათვის **Ring-fencing**-ის შემოღება), რომლებმაც უნდა უზრუნველყოს კონვენციის წარმატებული რატიფიკაცია. შესაბამისი ცვლილებების კოდიფიკაციით შესაძლებელია ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებაც - ტრასტების მარეგულირებელი ახალი კანონის მიღება.

4.2.1. ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში

სამოქალაქო კოდექსში შემოთავაზებული ცვლილებები ყველაზე დიდი მნიშვნელობის მატარებელია, რამდენადაც მათი ფუნქციაა, ქართულ კანონმდებლობაში უზრუნველყონ საკუთრების გახლეჩის გარეშე ისეთი რეგულირების შემოღება, რომელიც იმავე შედეგს გამოიღებს რასაც - საკუთრების ანგლო-ამერიკული დიქო-

⁵⁶³ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 245. იხ. ასევე Wendel P., *supra* რეფერენსი 113.

⁵⁶⁴ The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 1, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁵⁶⁵ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117, 119-120.

⁵⁶⁶ რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4. იხ. ასევე *Supra* რეფერენსი 3.

⁵⁶⁷ შოთაძე თ., *supra* რეფერენსი 117, 29-30. იხ. ასევე რუსიაშვილი გ., *supra* რეფერენსი 4.

ტომია. ტრასტისათვის სამართლებრივი ჩარხოს შესაქმნელად კოდექსში საჭირო იქნება შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

I. ცვლილებების ძირითადი ნაწილი, სასურველია, ჩამოყალიბდეს სახელშეკრულებო სამართლის კარში, კერძოდ - წიგნი III (ვალდებულებითი სამართალი), თავ XIII-სა (დავალდება) და თავ XIV-ს (საკუთრების მინდობა) შორის.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტრასტი ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს⁵⁶⁸ და მისი ნამდვილობა არ ემყარება ტრასტის დამფუძნებლის მიერ დასახელებული ტრასტის მმართველის თანხმობას, ტრასტის ფუნქციონირება საბოლოოდ მაინც მხოლოდ მისი აქცეპტის საფუძველზეა შესაძლებელი⁵⁶⁹. შესაბამისად, ტრასტების რეგულირება მიზანშეწონილია სახელშეკრულებო სამართლის კარში. თუმცა, კოდექსში აღნიშნული მახასიათებლისა (ტრასტი, როგორც ცალმხრივი გარიგება) და იმ მოცემულობის ასახვისათვის, რომ ტრასტი შესაძლოა შეიქმნას როგორც ზეპირად⁵⁷⁰ ისე - მოქმედებითა⁵⁷¹, ტერმინის - „ტრასტი/სატრასტო ხელშეკრულება“, ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნას ტერმინი „ტრასტის აქტი“.

კოდექსის ახალ თავში ტრასტის ინსტიტუტისათვის უნდა განისაზღვროს შემდეგი ძირითადი პირობები:

➤ **ურთიერთობის ძირითადი შინაარსი და მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები. მათ შორის, შემდეგი პირობები:**

- ტრასტისათვის ქონების გადაცემით ტრასტის დამფუძნებელი თმობს საკუთრებას მიწოდებულ აქტივზე და გადასცემს მას ტრასტის მმართველს. ტრასტის მმართველმა ტრასტის ქონება უნდა განკარგოს მასზე დაკისრებული ფიდუციური ვალდებულებების დაცვით⁵⁷².

მმართველისათვის გადაცემული საკუთრებიდან სარგებლის მიღების უფლება ეკუთვნით ტრასტის აქტით განსაზღვრულ ბენეფიციარებს. ტრასტის მმართველმა, მისი ფუნქციის შესრულებისას მესამე პირებს უნდა გაუმჟღავნოს საკუთარი სტატუსი - უნდა მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომ იგი წარმოადგენს ქონების მესაკუთრეს, როგორც ტრასტის მმართველი⁵⁷³.

- ტრასტის მმართველს ტრასტის ქონებასთან დაკავშირებით შეუძლია როგორც დავის დაწყება (მოსარჩელობა), ისე - მოპასუხედ გამოსვლა.
- თუ ტრასტის აქტში დასახელებული ტრასტის მმართველი: 1. უარს განაცხადებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე, ან 2. გარდაიცვლება ან ლიკვიდირდება თანხმობამდე, ტრასტის დამფუძნებელს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია ტრასტის მმართველად განსაზღვროს სხვა პირი. თუ მსგავს შემთხვევაში სახეზეა ანდერძისმიერი ტრასტი (ისე, რომ ანდერძში განსაზღვრული არ არის ახალი მმართველის განსაზღვრაზე უფლებამოსილი პირი) ან უარის თქმის მომენტისათვის დამფუძნებელი აღარ არის ცოცხალი, სხვა მმართველი უნდა დაინიშნოს სასამართლოს მიერ.
- ტრასტის აქტი არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილად, თუ ტრასტის დამფუძნებელი განსაზღვრულია ტრასტის ერთადერთ ბენეფიციარად⁵⁷⁴.
- ტრასტის დამფუძნებელმა შესაძლოა ტრასტის აქტით დანიშნოს ტრასტის ზედამხედველი (trust protector)⁵⁷⁵, რომელსაც შესაძლოა მიაკუთვნოს, მათ შორის, შემდეგი უფლებამოსილებები:

⁵⁶⁸ Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 70.

⁵⁶⁹ Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 381.

⁵⁷⁰ Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 136.

⁵⁷¹ Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 24.

⁵⁷² იხ. მსგავსი Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 436.

⁵⁷³ იხ. მსგავსი Money Laundering, Terrorist Financing and Transfer of Funds (Information on the Payer) Regulations 2017/692, მუხლი 44,

<<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2017/692/made>>, [27.08.2022].

⁵⁷⁴ იხ. მსგავსი Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23.

⁵⁷⁵ იხ. მსგავსი *Supra* რეფერენსი 3, 14. იხ. ასევე The Legal Structure, Economic Function, and Statistical Treatment of Trusts, IMF Committee on Balance of Payments Statistics, Tokyo, 2001, 5,

- ❖ ტრასტის მმართველის საქმიანობის კონტროლი და ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში - მისი გათავისუფლება;
- ❖ ბენეფიციარების დამატება ან ამოშლა.
 - ტრასტის მმართველისთვის ტრასტის აქტის საფუძველზე გადაცემული ქონება არ შეიძლება აღსასრულებლად მიეცეულ იქნას მმართველის ან ტრასტის დამფუძნებლის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად⁵⁷⁶. აღნიშნული „დაცვის წესი“ არ იმოქმედებს ტრასტის დამფუძნებლისადმი წარდგენილი მოთხოვნების მიმართ, თუ შექმნილია ან დერძისმიერი ან გამოუხმობადი ტრასტი.
 - ტრასტის მმართველი ვალდებულია, ტრასტის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს, მათ შორის, მართოს და განკარგოს ქონება ტრასტის პირობებისა და მისთვის კანონის საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად, კეთილსინდისიერად, სათანადო გულისხმიერებითა და იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ტრასტისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია. როგორც ტრასტის დამფუძნებელს, ისე - ბენეფიციარებს უნდა შეეძლოს ტრასტის მმართველის მიმართ მოთხოვნების წაყენება აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გამო, მათ

შორის, უნდა შეეძლოს, მოითხოვოს ტრასტის აქტივების არაკანონიერად ან არაკეთილსინდისიერად გასხვისების საფუძველით გარიგების ბათილობა (თუ მიმღები არაკეთილსინდისიერია) ან ბათილობის საფუძველის არსებობისას სხვა ალტერნატიული მოთხოვნების დაყენება.⁵⁷⁷

- ტრასტების რეგულირების ამოქმედების საწყის ეტაპზე, სასურველია, რომ ტრასტის შექმნა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბენეფიციარების განსაზღვრის საფუძველზე და არა - ტრასტის მმართველისათვის ზოგადი მიზნის მითითებით (*charitable trusts*).⁵⁷⁸
- ტრასტში შესაძლებელი უნდა იყოს როგორც უძრავ/მოძრავი ქონების, ისე - არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების შეტანა.⁵⁷⁹
- ბენეფიციარებისათვის უნდა განისაზღვროს ტრასტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები.⁵⁸⁰
- ტრასტი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს როგორც გამოხმობადი, ისე - გამოუხმობადი სახით. ტრასტი გამოხმობადად უნდა ჩაითვალოს, თუ ტრასტის დამფუძნებელს გააჩნია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი უფლებამოსილება მაინც:

<<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2001/01-12.pdf>>, 25.08.2022.

⁵⁷⁶ იხ. მსგავსი Hansman H., *supra* რეფერენსი 323.

⁵⁷⁷ იხ. მსგავსი Wendel P., *supra* რეფერენსი 113; იხ. ასევე Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 26, 428; იხ. ასევე Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265, 355.

⁵⁷⁸ იხ. მსგავსი Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 75; იხ. ასევე Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 67; იხ. ასევე Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 74.

⁵⁷⁹ იხ. მსგავსი Ramjohn M., *supra* რეფერენსი 46, 23, 44.

⁵⁸⁰ იხ. მსგავსი Duddington J., *supra* რეფერენსი 67, 305-308.

- ❖ მიიღოს სარგებელი ტრასტის ქონების ან მისგან მიღებული შემოსავლის განაწილებაში;
 - ❖ გადააყენოს არსებული ტრასტის მმართველი და დანიშნოს სხვა;
 - ❖ დანიშნოს ახალი ბენეფიციარები;
 - ❖ შეცვალოს ზედამხედველი (**trust protector**), თუ ის ტრასტის მმართველის იდენტური უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი;
 - ❖ შეცვალოს ტრასტის აქტი;
 - ❖ გამოიხმოს ტრასტი;
 - ❖ მოითხოვოს ტრასტის ლიკვიდაცია;
 - ❖ ტრასტის აქტივებთან დაკავშირებით მიღებულ ტრასტის მმართველის გადაწყვეტილებებს დაადოს ვეტო.⁵⁸¹
- ტრასტი გამოუხმობადად უნდა ჩაითვალოს თუ საპირისპირო არ არის დადგენილი⁵⁸². იმის მიხედვით, გამოხმობადია ტრასტი, თუ გამოუხმობადი, უნდა მოქმედებდეს განსხვავებული მიდგომები:
 - ❖ გამოხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრასტის დამფუძნებელს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს აქტში ცვლილებების შეტანა (მათ შორის, ბენეფიციარებისა და მათთვის მისაკუთვნილებელი სარგებლის) ან საერთოდ ტრასტის გაუქმება/გამოხმობა⁵⁸³. ანდერძისმიერი ტრასტი ყოველთვის გამოხმობადი უნდა იყოს⁵⁸⁴.
 - ❖ გამოუხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრასტის დამფუძნებელს არ უნდა გააჩნდეს ზემოხსენებული უფლებები. შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ტრასტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების ცვლილება, თუ ბენეფიციარები და ტრასტის მმართველი თანხმობას განაცხადებენ ერთხმად.
 - ანდერძისმიერი ტრასტი იქმნება ტრასტის დამფუძნებლის გარდაცვალების შემდგომ და მიზნად ისახავს ქონების გარდაცვლილის ნების შესაბამისად განაწილებას მემკვიდრეებს შორის⁵⁸⁵. აღნიშნული ტრასტი უნდა შეესაბამებოდეს მემკვიდრეთათვის გადასაცემი კოდექსით დადგენილი სავალდებულო წილის მოთხოვნებს⁵⁸⁶. სავალდებულო წილისთვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა არ შეიძლება გახდეს ტრასტის გაუქმების საფუძველი. მსგავს შემთხვევაში პირობები უნდა დაკორექტირდეს იმგვარად, რომ სავალდებულო წილის მემკვიდრემ მიიღოს სარგებელი კოდექსით დადგენილი მოცულობით/წილით.
 - თუ ტრასტის აქტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში მის მიერ ტრასტიდან სარგებლის მიღების უფლება, როგორც არამატერიალური ქონებრივი აქტივი, ისე უნდა გადაეცეს/განაწილდეს მემკვიდრეებზე.
- **ტრასტის აქტის ფორმა** - საკმარისი უნდა იყოს მარტივი წერილობითი ფორმა ან ვერბალური გამოხატულება⁵⁸⁷.

⁵⁸¹ იხ. მსგავსი Mark Barmes M., *supra* რეფერენსი 302.

⁵⁸² იხ. მსგავსი Wendel P., *supra* რეფერენსი 113, 257, 288; იხ. ასევე Davies S. P., *supra* რეფერენსი 49, 67.

⁵⁸³ იხ. მსგავსი Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 265.

⁵⁸⁴ იხ. მსგავსი Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 138.

⁵⁸⁵ იხ. მსგავსი Hudson A., *supra* რეფერენსი 76, XXII.

⁵⁸⁶ იხ. მსგავსი Panesar S., *supra* რეფერენსი 68, 65, 135.

⁵⁸⁷ იხ. მსგავსი Hudson A., *supra* რეფერენსი 76, 93.

- ტრასტი თავისი შინაარსით წარმოადგენს გარიგების შედეგად მიღებულ კონსტრუქტს - **ტრასტი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც იურიდიული პირი**⁵⁸⁸.
- საკითხი იმის შესახებ, **ინვესს თუ არა ტრასტის აქტივების გაკოტრება მის დაშლას, უნდა განისაზღვროს ტრასტის აქტივით**. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს, რომ ტრასტი უნდა დაიშალოს.
- კანონით არ უნდა დადგინდეს შესაძლო მაქსიმალური ხანგრძლივობა ტრასტების მოქმედებისათვის - **ტრასტის დაფუძნება შესაძლებელი უნდა იყოს უვადოდ**⁵⁸⁹.

II. სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები ასევე უნდა შევიდეს შემდეგ თავებში:

1. წიგნი II (სანივთო (ქონებრივი) სამართალი), კარი III (საკუთრება), თავი I (საკუთრების შინაარსი)

ტრასტის ინსტიტუტის შემოღებისათვის კანონმდებლობაში საკუთრების უფლების „გახლეჩის“ (მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა) შედეგობრივად იდენტური კონსტრუქტი უნდა იქნას გათვალისწინებული. ამ მიზნით, შესაბამისი ჩანაწერი უნდა გაჩნდეს სანივთო სამართლის წიგნში - **უნდა გაჩნდეს ბენეფიციარის სანივთო-სამართლებრივი უფლება**. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, რომ ტრასტის მმართველისათვის გადაცემულ ქონებაზე ბენეფიციარს გააჩნია სარგებლის მიღების უფლება⁵⁹⁰.

2. წიგნი VI (მემკვიდრეობის სამართალი)

ანდერძისმიერი ტრასტი უნდა ჩაითვალოს ანდერძის ფორმად. ტრასტის აქტივით პირის ბენეფიციარად განსაზღვრა და მისთვის სარგებლის მიღების უფლების მინიჭება უნდა ჩაითვალოს მამკვიდრებლის მიერ სამკვიდროს მიღებად.

ტრასტის მმართველისათვის ქონების გადაცემა არ შეიძლება ჩაითვალოს „ნივთის გაჩუქებად“ და ამ საფუძვლით სავალდებულო წილის გაზრდის მოთხოვნის წინაპირობად⁵⁹¹. ტრასტის მმართველის გარდაცვალების შემთხვევაში ტრასტისთვის გადაცემული ქონება არ შეიძლება ტრასტის მმართველის სამკვიდროს მოცულობაში შევიდეს და განაწილდეს მმართველის მემკვიდრეებს შორის.

3. წიგნი V (საოჯახო სამართალი)

ტრასტის ბენეფიციარის სტატუსით მიღებული სარგებელი უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად და მასზე არ უნდა გავრცელდეს ქორწინების რეჟიმში მიღებული ქონების თანასაკუთრებად მიჩნევის წესი.

ტრასტის აქტივები უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად და მასზე არ უნდა გავრცელდეს ქორწინების რეჟიმში მიღებული ქონების თანასაკუთრებად მიჩნევის წესი ტრასტის მმართველისთვისაც⁵⁹².

4.2.2. ცვლილებები „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონში

კანონში უნდა აისახოს ჰააგის კონვენციით განსაზღვრული დათქმები ტრასტების რეგულირებისათვის გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე⁵⁹³. ამისათვის კანონს უნდა დამატოს შემდეგი შინაარსის დამდგენი ნორმები:

➤ ტრასტების რეგულირებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას **ტრასტის დამფუძნებლის მიერ შერჩეული სამართალი**. არჩევანი გამოხატული უნდა იყოს აშკარად ან ნაგულისხმევი უნდა იყოს ტრასტის აქტში ან ტრასტის არსებობის დამადასტურებელ სხვა წერილობით დოკუმენტში, რომლის ამგვარი ინტერპრეტირების საფუძველს შესაძლოა იძლეოდეს, მათ შორის

⁵⁸⁸ იხ. მსგავსი Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 384.

⁵⁸⁹ შეად. Hepburn S., *supra* რეფერენსი 63, 323.

⁵⁹⁰ იხ. მსგავსი BeyerW.G., *supra* რეფერენსი 40, 306.

⁵⁹¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1378-ე მუხლი.

⁵⁹² შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლი.

⁵⁹³ Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლები 6-10, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

საქმის სხვა გარემოებებიც⁵⁹⁴. გამოსაყენებელი სამართლის არჩევის თაობაზე გადანყევითლება არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილად, თუ შერჩეული სამართალი არ იცნობს ტრასტის ინსტიტუტს⁵⁹⁵.

➤ **სამართლის არჩევანის არარსებობის შემთხვევაში, ტრასტი უნდა დარეგულირდეს იმ კანონით, რომელთანაც მას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს.** იმის გასარკვევად, თუ რომელ სამართალთან არის ტრასტი ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) ტრასტის დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ტრასტის მართვის ადგილი;

ბ) ტრასტის აქტივების ადგილსამყოფელი;

გ) ტრასტის მმართველის მუდმივი საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილი;

დ) ტრასტის მიზნები და აღნიშნული მიზნების შესრულების ადგილი.⁵⁹⁶

➤ **არჩეული, ან შემდგომ მისადაგებული გამოსაყენებელი სამართლის მეშვეობით უნდა დარეგულირდეს ტრასტის ნამდვილობის, მისი ფორმირების, შედეგებისა და მართვის საკითხების მიმართ.** უფრო ზუსტად, კი, შემდეგი საკითხების მიმართ:

ა) ტრასტის მმართველის დანიშვნა, თანამდებობიდან გადადგომა და თანამდებობიდან მოხსნა, ტრასტის მმართველად პირის დანიშვნის პირობები და რწმუნებულისთვის უფლებამოსილებების გადაცემა;

ბ) ტრასტის მმართველებს შორის არსებული უფლებები და ვალდებულებები;

გ) ტრასტის მმართველების უფლება, მოახდინონ მათი ვალდებულებების და უფლებების დელეგირება სრულად ან ნაწილობრივ;

დ) ტრასტის მმართველების უფლებამოსილება, მართონ ან განკარგონ ტრასტის აქტივები, გამოიყენონ ტრასტის აქტივები უზრუნველყოფის სახით ან შეიძინონ ახალი აქტივები;

ე) ტრასტის მმართველის მიერ ინვესტიციის განხორციელების უფლებები;

ვ) ტრასტის ხანგრძლივობის და ტრასტის მიერ დაგროვებული შემოსავლის მიმართ გამოსაყენებელი შეზღუდვები;

ზ) ტრასტის მმართველსა და ბენეფიციარებს შორის არსებული ურთიერთობა, მათ შორის, ტრასტის მმართველის პირადი პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე;

თ) ტრასტის ცვლილება ან შეწყვეტა;

ი) ტრასტის აქტივების განაწილება;

კ) ტრასტის მმართველის ვალდებულება, იყოს პასუხისმგებელი ტრასტის მართვაზე.⁵⁹⁷

➤ ზემოთ ჩამოთვლილ იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც შესაძლოა დამოუკიდებელი/იზოლირებული იყოს ტრასტთან დაკავშირებული სხვა ასპექტების რეგულირებისაგან (მათ შორის, ტრასტის მართვა), შესაძლოა, გამოყენებული იქნას სხვა სამართალი. ამდენად, **ტრასტის დამფუძნებელს აქვს შესაძლებლობა, კანონის ნაწილობრივი არჩევის გზით ზოგიერთი საკითხი ამოიღოს ტრასტის დებულების მოქმედების არეალიდან და ისინი დაუქვემდებაროს ცალკე კანონს.**⁵⁹⁸

ტრასტის ნამდვილობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლით უნდა განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა ტრასტის ცალკეული საკითხის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის ჩანაცვლება სხვა სამართლით.⁵⁹⁹

⁵⁹⁴ იხ. მსგავსი Harris J., *supra* რეფერენსი 433, 166.

⁵⁹⁵ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 6, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁹⁶ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 7, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁹⁷ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 8,

<<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁹⁸ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 9, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁵⁹⁹ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 10, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

4.2.3. ცვლილებები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონში

ტრასტის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის გაკოტრების გზით წარმოება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ტრასტის ოფიციალური მისამართი ან ადგილი, სადაც ის ფაქტობრივად იმართება, მდებარეობს საქართველოში. **გადახდისუუნარობის მასა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ტრასტის აქტივებით⁶⁰⁰.**

ამასთან, კანონში ცალსახად უნდა განისაზღვროს, რომ **ტრასტში შეტანილი ქონება არ შევა არც ერთი პირის: ტრასტის დამფუძნებლის (თუ ტრასტი არაა გამომხმობადი), ტრასტის მმართველის ან ბენეფიციარის გადახდისუუნარობის მასაში.⁶⁰¹**

შესაბამისად, კანონს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

- ტრასტის დამფუძნებლის, მმართველის და ბენეფიციარის გადახდისუუნარობის მასა არ მოიცავს ტრასტის ქონებას⁶⁰².
- დაუშვებელია ტრასტის მოქმედების შეჩერება, იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადება ან სხვაგვარად შეზღუდვა ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხებლო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის

მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი სხვა პირის ნებისმიერი ქმედებით, მათ შორის რეჟიმთან⁶⁰³ დაკავშირებული კანონის დებულებებზე მითითებით.

- სასამართლოს, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხებლო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი სხვა პირის მიერ გამოყენებული ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ან მორატორიუმი ვერ შეზღუდავს და ვერ დააყოვნებს ტრასტის მოქმედებას.

4.2.4. ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

მიუხედავად იმისა, რომ ტრასტი არ უნდა მიეკუთვნოს იურიდიულ პირთა კატეგორიას, საგადასახადო სამართლის მიზნებისათვის, **ტრასტი ფიქციის მეშვეობით უნდა მიეკუთვნოს**

⁶⁰⁰ იხ. მსგავსი Edwards R., *supra* რეფერენსი 46, 76.

⁶⁰¹ იხ. მსგავსი Glister J., *supra* რეფერენსი 58, 8-001. იხ. ასევე Pettit P., *supra* რეფერენსი 45, 241.

⁶⁰² „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

⁶⁰³ ტერმინი რეჟიმი უნდა განიმარტოს „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ პუნქტის დეფინიციის იდენტურად:

ღ) რეჟიმი – პირის გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის, დროებითი ადმინისტრაციის გამოყენების, რეზოლუციის ან ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული ზომების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების უფლების ან მოთხოვნის უფლების გადაცემის, ფულადი სახსრების გადარიცხვის ან/და გადახდის ოპერაციების შეწყვეტა ან შეჩერება ან

მათზე შეზღუდვების დაწესება. ამ კანონის მიზნებისათვის რეჟიმი მოიცავს:

ღ.ა) ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ღ.ბ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ღ.გ) დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებას, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას ან რეზოლუციის რეჟიმის შემოღებას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებას ან/და ლიკვიდაციის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას;

ღ.დ) სხვა, ანალოგიური რეჟიმი, პროცედურა ან მოქმედება, რომელსაც მსგავსი, ანალოგიური მიზანი ან/და შედეგი აქვს;

**საწარმოს⁶⁰⁴ და მასზე უნდა გავრცელდეს შე-
საბამისი რეჟიმი, რიგი გამონაკლისებით.**
ტრასტის საგადასახადო ვალდებულებების შემ-
სრულებელი - ტრასტის საგადასახადო აგენტი
უნდა იყოს ტრასტის მმართველი⁶⁰⁵.

ტრასტის რეზიდენტობის განმსაზღვრელ
კრიტერიუმად გამოხმობადი ტრასტის შემთხვე-
ვისთვის უნდა განისაზღვროს ტრასტის დამფუ-
ძნებელი პირის/დამფუძნებელთა შორის უმრავ-
ლესობის საგადასახადო რეზიდენტობის ადგი-
ლი. იმ შემთხვევაში, თუ ტრასტის დამფუძნებ-
ელი/დამფუძნებელთა უმრავლესობა სხვა ქვეყ-
ნის საგადასახადო რეზიდენტია, ტრასტი არ ჩა-
ითვლება რეზიდენტად. იმ შემთხვევაში, თუ
არარეზიდენტ ტრასტს ტრასტის მმართველის
მომსახურებას უწევს საქართველოს რეზიდენ-
ტი პირი, მომსახურება უნდა ჩაითვალოს საზ-
ღვარგარეთ განეულად.

გამოუხმობადი ტრასტის რეზიდენტობის
განსასაზღვრად ორიენტირი უნდა გაკეთდეს
ბენეფიციარის/ბენეფიციარების უმრავლესო-
ბის საგადასახადო რეზიდენტობაზე. საქართვე-
ლოს რეზიდენტი ტრასტისათვის ტრასტის
მმართველის მომსახურების განევა უნდა ჩაით-
ვალოს საქართველოს ფარგლებში მიწოდებულ
მომსახურებად⁶⁰⁶.

➤ საშემოსავლო გადასახადი

გამოხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრას-
ტის მიერ მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო
გადასახადით უნდა დაიბეგროს ტრასტის დამ-
ფუძნებელი. აღნიშნული სარგებლის ბენეფიცი-
არზე გაცემის ოპერაცია აღარ უნდა ჩაითვა-
ლოს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ
ოპერაციად.⁶⁰⁷

გამოუხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრას-
ტის მიერ მიღებული შემოსავალი უნდა დაიბეგ-
როს მოგების გადასახადით, ხოლო მისი ბენეფი-
ციარისთვის გაცემის ოპერაცია უნდა გახდეს
საშემოსავლო გადასახადით, კერძოდ - დივი-
დენდის მიღების საფუძველით ბენეფიციარის
დაბეგვრის საფუძველი. ტრასტის მმართველმა
უნდა შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნ-
ქცია ორივე შემთხვევაში. დაბეგვრის საშემოსა-
ვლო გადასახადით უნდა დაიბეგროს მხოლოდ
ბენეფიციარის მიერ ტრასტიდან სარგებლის მი-
ღების ოპერაცია.⁶⁰⁸

➤ მოგების გადასახადი

გამოხმობადი ტრასტის მიერ მიღებული სარ-
გებელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრასტის
დამფუძნებლის საშემოსავლო გადასახადით
დაბეგვრის საფუძველი უნდა იყოს.

გამოუხმობადი ტრასტის მიერ მიღებული
„მოგება“ უნდა დაიბეგროს მოგების გადასახა-
დით, სტანდარტულად⁶⁰⁹.

➤ ქონების გადასახადი

გამოხმობადი ტრასტის შემთხვევაში ტრას-
ტის ქონებაზე გადასახადი უნდა დაეკისროს
ტრასტის დამფუძნებელს, გამოუხმობადი ტრა-
სტის შემთხვევაში კი - თავად ტრასტს. ტრას-
ტის საგადასახადო აგენტად უნდა განისაზ-
ღვროს ტრასტის მმართველი⁶¹⁰.

➤ დამატებული ღირებულების, აქციზისა და იმპორტის გადასახადები

ტრასტი, ისევე როგორც საგადასახადო კო-
დექსით გათვალისწინებული სხვა საწარმოები,
შესაძლოა გახდეს დღგ-ის, აქციზისა და იმპორ-

⁶⁰⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის
„გ“ ქვეპუნქტი.

⁶⁰⁵ Government of the United Kingdom, Trusts and taxes -
Trustees - tax responsibilities,
<<https://www.gov.uk/trusts-taxes/trustees-tax-responsibilities>>, [25.09.2022].

⁶⁰⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლი.

⁶⁰⁷ Government of the United Kingdom, Trusts and taxes -
Trusts and Income Tax, <<https://www.gov.uk/trusts-taxes/trusts-and-income-tax>>, [25.09.2022].

⁶⁰⁸ Government of the United Kingdom, Trusts and taxes -
Trusts and Income Tax, <<https://www.gov.uk/trusts-taxes/trusts-and-income-tax>>, [25.09.2022].

⁶⁰⁹ Government of the United Kingdom, Trusts and taxes -
Trusts and Capital Gains Tax,
<<https://www.gov.uk/trusts-taxes/trusts-and-capital-gains-tax>>, [25.09.2022].

⁶¹⁰ Government of the United Kingdom, Trusts and taxes -
Trustees - tax responsibilities,
<<https://www.gov.uk/trusts-taxes/trustees-tax-responsibilities>>, [25.09.2022].

ტის გადასახადების გადამხდელი და მის მიმართ სტანდარტულმა წესებმა უნდა იმოქმედოს.

გამოხმობადი ტრასტის შემთხვევაში, დღეის გადამხდელად რეგისტრაციისათვის დადგენილი 100 000 ლარიანი ზღვრის ფარგლებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრასტის დამფუძნებლის მიერ განხორციელებული დღეით დასაბეგრი ოპერაციების მოცულობაც.

➤ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და ყადაღა

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ან/და ყადაღა არ შეიძლება დაედოს ტრასტის აქტივებს. ტრასტის დამფუძნებელი ან/და ტრასტის მმართველის მიმართ არსებული საგადასახადო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ან დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისს წარმოადგენს გამოხმობადი ტრასტის დამფუძნებლის მიმართ არსებული საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევები.

4.2.5. ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

- ტრასტს, განსხვავებით იურიდიული პირისაგან, არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლებამოსილება, რომ სასამართლო პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი იყოს მხარედ⁶¹¹. მესამე მხარის მიერ ტრასტის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელემ თავადვე უნდა განსაზღვროს მოპასუხედ კონკრეტული ტრასტის მმართველები. ამდენად, მოპასუხეებად უნდა დასახელდნენ პირები, როგორც ტრასტის მმართველები, და არა - თავად ტრასტი⁶¹².

წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტში აღმოვჩნდებით ტრასტების ანგლო-ამერიკულ რეგულირებასთან, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი დავა ყოველთვის უშუალოდ ტრასტის მმართველის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული⁶¹³. აღნიშნულმა, შესაძლოა, გართულებები გამოიწვიოს განაჩენის უცხოეთში აღიარების მიზნებისათვის⁶¹⁴. აქედან გამომდინარე:

ტრასტის აქტივებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავა ყოველთვის უნდა მიმდინარეობდეს შინაარსობრივად ტრასტის წინააღმდეგ, თუმცა, პროცესი ფორმალურად მიმართული უნდა იყოს ტრასტის მმართველის ან ტრასტის ერთ-ერთი მმართველის, როგორც ტრასტის წარმომადგენლის წინააღმდეგ. ამგვარად, დავა უნდა დაიწყოს ტრასტის მმართველის წინააღმდეგ, არა როგორც მოვალის, არამედ - როგორც ტრასტის წარმომადგენლის რანგში. კრედიტორმა სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნისას ხაზი უნდა გაუსვას იმ ფაქტს, რომ მინდობილი მესაკუთრე მოპასუხეა, როგორც ტრასტის წარმომადგენელი და რომ სარჩელის მიზეზი არის ტრასტის დავალიანება.

- მხარეებად, გარდა ფიზიკური და იურიდიული პირებისა და ორგანიზაციებისა, ასევე უნდა განისაზღვროს ტრასტის მმართველები⁶¹⁵.
- ტრასტის მმართველებს, აღნიშნული სტატუსის ჭრილში, ასევე უნდა მიენიჭოთ საპროცესო უფლებაუნარიანობა⁶¹⁶ და ქმედუნარიანობა⁶¹⁷, ტრასტის სასარგებლოდ.

⁶¹¹ იხ. მსგავსი Ministry of Justice, Civil Procedure Rules – Rules and directions, Part 64 – Estates, trusts and charities, <<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part64>>, [25.08.2022].

⁶¹² იხ. მსგავსი Thomson Reuters - Practical Law, Trusts toolkit, <shorturl.at/mwFV4>, [25.08.2022].

⁶¹³ იხ. მსგავსი Ministry of Justice, Civil Procedure Rules – Rules and directions, Part 64 – Estates, trusts and charities, <<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part64>>, [25.08.2022]. იხ. ასევე Thomson Reuters - Practical Law, Trusts in commercial transactions, <shorturl.at/EN125>, [25.08.2022].

⁶¹⁴ შეად. Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 15, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022].

⁶¹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი.

⁶¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი.

⁶¹⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი.

- ტრასტის მმართველის ან გამოუხმობადი ტრასტის დამფუძნებლის წინააღმდეგ გამო-საყენებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების საგანი არ შეიძლება გახდეს ტრასტის ქონება. აღნიშნული შინაარსის და-სადგენად, შესაძლოა, საკმარისი იყოს აღ-სრულების კოდექსში ქვემოთ შემოთავაზე-ბული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ტრას-ტის მმართველის წინააღმდეგ მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეიძლება განხორციელ-დეს ტრასტის ქონების მეშვეობით. სხვა შემ-თხვევაში, დამატება უნდა შევიდეს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში.
- თუ 1. ანდერძისმიერი ტრასტით განსაზ-ღვრული ტრასტის მმართველი უარს იტყვის აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე, ან 2. გარდაიცვლება ან ლიკვიდირდება თანხმობა-მდე და თუ ანდერძში განსაზღვრული არ არის ახალი მმართველის განსაზღვრაზე უფ-ლებაგამოსილი პირი, სხვა მმართველი უნდა დაინიშნოს სასამართლოს მიერ.
- განსჯადობის ნაწილში უნდა დაზუსტდეს, რომ ტრასტის წინააღმდეგ წარდგენილი სარ-ჩელი სასამართლოს წარედგინება ტრასტის მართვის ადგილის შესაბამისად.⁶¹⁸

4.2.6. ცვლილებები „სააღსრულებო წარ-მოებათა შესახებ“ კანონში

ტრასტის აქტივი არ უნდა იქნას გამოყენებუ-ლი ტრასტის მმართველის ან გამოუხმობადი ტრასტის დამფუძნებლის კრედიტორების და-საკმაყოფილებლად - ამ უკანასკნელთა წინააღ-მდეგ სააღსრულებო წარმოების დაწყების

შემთხვევაში მათზე არ უნდა განხორციელ-დეს იძულებითი აღსრულების ღონისძიებე-ბი⁶¹⁹. ამდენად, თუ კრედიტორს მოთხოვნა არ წარმოუდგენია ტრასტის წინააღმდეგ, იძულე-ბითი აღსრულების ღონისძიებები არ უნდა გავ-რცელდეს ტრასტის ქონებაზე⁶²⁰.

4.2.7. ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველ-საყოფად მხარის შუამდგომლობის საფუძველ-ზე სასამართლოს მიერ ტრასტის მმართვე-ლის ან ტრასტის დამფუძნებლის ქონებაზე ყადაღის დადებისას ყადაღა არ შეიძლება გავ-რცელდეს ტრასტის ქონებაზეც, გარდა გამო-უხმობადი ტრასტის დამფუძნებლის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევისა⁶²¹. აღნიშნული გამოწვევის უნდა განისაზღვროს 153-ე მუხ-ლში.

ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე გამო-ტანილი განაჩენით ქონება შესაძლოა დაექვემ-დებაროს კონფისკაციას, მათ შორის, ტრასტის აქტივების ნაწილშიც, თუ ეს უკანასკნელი აღ-მოჩნდება დანაშაულის საგანი ან დანაშაულებ-რივად მოპოვებული ნივთი⁶²². გამოწვევის სახით, შვეიცარიული მიდგომის იდენტურად, თუ ტრასტის აქტივი მოპოვებული იქნება კე-თილსინდისიერად და, ანაზღაურების სანაც-ვლოდ, მასზე კონსფისკაცია ვერ განხორციელ-დება. სხვა შემთხვევებში, ტრასტის ქონება სტანდარტულად დაექვემდებარება ჩამორთმე-ვას⁶²³.

⁶¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი.

⁶¹⁹ იხ. მსგავსი Hague Convention on the Law Applicable to Trusts and on Their Recognition 1985, მუხლი 2, მუხლი 11, <<https://assets.hcch.net/docs/8618ed48-e52f-4d5c-93c1-56d58a610cf5.pdf>>, [29.08.2022]. იხ. ასევე იხ. ასევე Mitchell Ch., *supra* რეფერენსი 193, 16-034.

⁶²⁰ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21 მუხლი.

⁶²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლი.

⁶²² იხ. მსგავსი Swiss Criminal Code of 21 December 1937 (Status as of 1 June 2022), ქვეთავი 5.b, <https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/en>, [28.08.2022].

⁶²³ იხ. მსგავსი Swiss Criminal Code of 21 December 1937 (Status as of 1 June 2022), მუხლი 70, <https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/en>, [28.08.2022].

4.2.8. ცვლილებები „მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში

რეესტრში რეგისტრირებადი სუბიექტების ჩამონათვალს უნდა დაემატოს ტრასტი და რეგისტრაციის შედეგად უნდა მიენიჭოს შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდი⁶²⁴. რეგისტრაციის დოკუმენტში უნდა აღინიშნონ ტრასტის დამფუძნებელი, მმართველ/ები და ბენეფიციარები. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე - ზედამხედველები.

ტრასტის რეგისტრაციის ფაქტი ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქმის ტრასტი თავისი არსით წარმოადგენს იურიდიულ პირს - გამოყენებულ უნდა იქნას ტრასტის მმართველის უფლებამოსილებების გადასამონმებლად და ასევე, ტრასტის ქონების ტრასტის მმართველის სახელზე რეგისტრაციისას, ტრასტის საიდენტიფიკაციო კოდის მითითების, და, შესაბამისად, ქონების კონკრეტული სატრასტო ურთიერთობისათვის მიკუთვნების მიზნით.

4.2.9. ცვლილებები საჯარო რეესტრისა და საკუთრების მარეგისტრირებელი სხვა რეესტრების შესახებ აქტებში

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ტრასტის კონცეპტის ამოქმედების ერთ-ერთ წინაპირობად სახელდება ქონების რეგისტრაციის რეესტრებში აქტივის ტრასტისათვის ქონებად მითითების უზრუნველყოფა⁶²⁵. ტრასტის ქონება შესაბამისი სტატუსითვე უნდა იყოს რეგისტრირებული შესაბამის რეესტრებში⁶²⁶. ამას-

თან, ფულის გათეთრების შესახებ მე-5 დირექტივა ტრასტის მმართველებს აკისრებს ვალდებულებას, რომ აღრიცხონ, განაახლონ და მარეგისტრირებულ ორგანოს მიანოდონ ინფორმაცია ტრასტებისა და მათი ბენეფიციარების შესახებ⁶²⁷.

ამდენად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელი უნდა იყოს ტრასტის მმართველზე, ტრასტის მმართველის სტატუსის დაზუსტებითა და ტრასტის საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით. ამდენად, პირი მესაკუთრე იქნება არა როგორც კონკრეტული იურიდიული ან/და ფიზიკური პირი, არამედ - როგორც ტრასტის მმართველი, წარმომადგენელი.

4.2.10. ცვლილებები ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით კანონებში

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში უფლების მფლობელად შესაძლებელი უნდა იყოს ტრასტის მმართველის რეგისტრაცია, აღნიშნული სტატუსისა და ტრასტის საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით. ამდენად, აქაც პირი მესაკუთრე იქნება არა როგორც კონკრეტული იურიდიული ან/და ფიზიკური პირი, არამედ - როგორც ტრასტის მმართველი, წარმომადგენელი. შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში;
- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონში და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებაში

⁶²⁴ „მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, მუხლი 6.

⁶²⁵ იხ. მსგავსი *Supra* რეფერენსი 3.

⁶²⁶ *Supra* რეფერენსი 3.

⁶²⁷ Directive (EU)2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, მუხლი 31, <[https://eur-lex.europa.eu/legal-](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02015L0849-20210630&from=EN)

[content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02015L0849-20210630&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02015L0849-20210630&from=EN)>, [27.08.2022]; იხ. ასევე Thomson Reuters - Practical Law, Trusts in commercial transactions, <shorturl.at/EN125>, [25.08.2022]; იხ. მსგავსი Money Laundering, Terrorist Financing and Transfer of Funds (Information on the Payer) Regulations 2017/692, მუხლი 44, <<https://www.legislation.gov.uk/uksl/2017/692/made>>, [27.08.2022].

„სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“;

- „დიზაინის შესახებ“ კანონში და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებაში - „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე“;
- კანონებში - „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ და „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“;
- საპატენტო კანონში და ინსტრუქციაში „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“;
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში (ნაწარმოების დეპონირების ნაწილში).

4.2.11. ცვლილებები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონში

აღნიშნული კანონი უკვე არეგულირებს ტრასტების ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი ადგენს „ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის“ დეფინიციას⁶²⁸ და განსაზღვრავს აღნიშნული სუბიექტების მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს.

ქართულ კანონმდებლობაში ტერმინ „ტრასტის“ გაჩენის შემდგომ საჭირო იქნება აღნიშნული დეფინიციის დაკორექტირება, რადგან აღარ იარსებებს ჰააგის კონვენციაზე გადამისამართების გაკეთების საჭიროება. ასევე საჭირო იქნება ტრასტებთან დაკავშირებით გამოყენებული ტერმინების შესწორება (მუხლი 13.5 „რწმუნებული“ - ტრასტის მმართველი, მარწმუნებელი - ტრასტის დამფუძნებელი, „მეურვე“ - ტრასტის ზედამხედველი).

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენდა ტრასტის ინსტიტუტის ქართულ სამართალში იმპლემენტაციის შესაძლო გზების დასახვა, პროცესის თანმდევი დაბრკოლებებისა და მოსალოდნელი ბენეფიტების გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სამართლისათვის ტრასტი სრულიად უცხო კონცეპტია, საჭიროდ ჩაითვალა, ორიენტირად განსაზღვრულიყო სხვა სახელმწიფოს, აქ: ინგლისის, როგორც ტრასტების სამშობლოს, იურიდიული გათვალისწინებული მიდგომები.

როგორც სტატიის შესავალში აღინიშნა, ტრასტის ინსტიტუტის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება უნდა განხილულიყო კანონმდებლობაში არსებული პრობლემის - საჭირო რეგულირების არარსებობის, გადასაჭრელად. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკაში უკვე არსებობს სატრასტო ურთიერთობის წარმოშობის მოტივაცია, ინტერესი, ქართულ სამართლებრივ სივრცეში უკვე იქმნება სატრასტო ურთიერთობის მსგავსი შინაარსის მქონე გარიგებები. **რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულებები ეფუძნება ძირითადად სახელშეკრულებო თავისუფლებისა და, ნაწილობრივ, დავალებისა და მინდობის ხელშეკრულების საკანონმდებლო რეგულირებებს, პრაქტიკაში მსგავსი ხელშეკრულებების გამოყენებას საკმაოდ ბევრი თანმდევი რისკი ახასიათებს, რამდენადაც, ზუსტად ვერ შეესაბამება, ვერ ასახავს მხარეთა ინტერესებს - გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ გაგვაჩნია ტრასტების რეგულირება, მხარეები არ არიან უზრუნველყოფილნი სატრასტო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, აუცილებელი დამცავი მექანიზმებით.**

ტრასტების ქართულ სამართალში იმპლემენტაციის გეგმის შემოთავაზებისათვის, პირველ

⁶²⁸ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტი: „ტრასტების მიმართ გამოყენებადი სამართლებრივი ნორმებისა და მათი აღიარების თაობაზე“ ჰააგის 1985

წლის 1 ივლისის კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა ან სტრუქტურულად/ფუნქციურად მისი მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობა“.

რიგში საჭირო იყო ტრასტის ინსტიტუტის არსისა და ძირითადი მახასიათებლების აღწერა. გამომდინარე იქიდან, რომ ტრასტის სამშობლოდ ინგლისი ითვლება და ყველა სხვა იურისდიქცია, როგორც მინიმუმ, ტრასტების ინგლისური რეგულირების უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას განიცდის, ორიენტირად აღებულ იქნა ინგლისური ტრასტები.

ინგლისური ტრასტების თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ინგლისის სამართლის „ორი შრის“ დახასიათება და განხილვა. ტრასტისათვის დამახასიათებელი საკუთრების დაყოფის ახსნა და მისი ქართული რეალობისათვის მისადაგება შეუძლებელი იქნებოდა ინგლისურ სამართალში ექვითის სამართლის დატვირთვისა და მისი მოქმედების შედეგების აღწერის გარეშე.

სატრასტო ურთიერთობის შინაარსის აღწერის შემდგომ უკვე შესაძლებელი გახდა ქართულ რეალობაში ამ კონსტრუქტის შემოღების შესაძლო სარგებლის განსაზღვრა. კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა: **1. ტრასტების რეგულირების შემოღებით მოსალოდნელი ის სარგებელი, რომელიც გამოწვეულია სამართალსუბიექტებისათვის მათი სურვილების შესაბამისი იურიდიული კონსტრუქტის შეთავაზებით.** ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის შესაძლებლობის მინიჭება, გამოიყენონ მათ ინტერესებზე ყველაზე მეტად მისადაგებული იურიდიული კონცეპტი, ცალსახად უნდა ჩაითვალოს მათთვის მინიჭებულ არამატერიალურ სარგებლად. შემთხვევები, როდესაც ტრასტების გამოყენება განსაკუთრებით ოპტიმალურია, დეტალურად იქნა განხილული სტატიაში. **2. მოსალოდნელი მატერიალური სარგებლის პროგნოზირებული ოდენობა.** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და Galt & Taggart-ის მიერ მომზადებულმა კვლევამ ხელმისაწვდომი გახდა ტრასტების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მონეტიზაციის მაჩვენებლები.

ტრასტის მეშვეობით უზრუნველყოფილი სერვისების/სქემებისა და ფინანსური სარგებლის განხილვის შედეგად პასუხი გაეცა კითხვას, არსებობდა თუ არა რეალურად საკმარისი

დაინტერესება მათი ქართულ სამართალში იმპლემენტაციისათვის. შემდეგი და ძირითადი კითხვა, რომელსაც სტატიაში პასუხი გასცა, იმპლემენტაციის შესაძლო ფორმებია.

სტატიაში გამოკვეთა იმპლემენტაციის ორი შესაძლო ფორმა - **მხოლოდ ჰააგის კონვენციის ხელმოწერა და ტრასტების სრული რეგულირების შემოღება ეროვნულ კანონმდებლობაში.** კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა თითოეული ფორმით ტრასტების იმპლემენტაციისას გამოსაყენებელი მექანიზმები/სამოქმედო გეგმა. კერძოდ:

ჰააგის კონვენციის ხელმოწერის სცენარის შეფასების ფარგლებში აღწერილ იქნა ჰააგის კონვენციის შინაარსი, ფუნქცია, მიზნები და მისი ხელმოწერის შესაძლო ეფექტი საქართველოში ტრასტების შესაძლო ფუნქციონირებაზე. საკმაოდ მკაფიო ზღვარი გაივლო ტრასტების იმპლემენტაციის ხსენებულ ორ სქემას შორის, თითოეული მათგანის მიერ შემოთავაზებული შედეგების შესაბამისად. კონვენციის ხელმოწერის სცენარის განხილვისას ცალსახად იქნა განსაზღვრული, რომ აღნიშნული ტრასტებით შემოთავაზებული ბენეფიტებით მხოლოდ ნაწილობრივ სარგებლობას უზრუნველყოფდა. კერძოდ, **კვლევის ფარგლებში კონვენციის ხელმოწერის სცენარი შეფასდა, როგორც ტრასტების მხოლოდ აღიარებისა და ცნობის მექანიზმი.** სტატიაში განვითარებული მსჯელობის შედეგად, მხოლოდ კონვენციის რატიფიკაციის პირობებში ქართული სამართალი ვერ იქნებოდა ტრასტების ფუნქციონირებისათვის გამოსაყენებელი სამართალი.

რაც შეეხება ტრასტების სრულყოფილ რეგულირებას ეროვნულ კანონმდებლობაში, **კვლევის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული ქართული სამართლებრივი პრინციპების დაცვით ტრასტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ცვლილებები.** კვლევის ფარგლებში შეფასდა იმ აუცილებელი ცვლილებების შინაარსი და ძირითადი პრინციპები, რომელთა განხორციელებაც საჭირო იქნება შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში. ასევე იდენტიფიცირებულ იქნა ის ნორმატიული აქტები, რომლებშიც აღნიშნული ცვლილე-

ბების შეტანა ჩაითვალა მიზანშეწონილად. ალტერნატივად ასევე შემოთავაზებულია, რომ აღწერილი ცვლილებების ძირითადი ნაწილის თავმოყრა მოხდეს დამოუკიდებელ, ახალ ნორმატიულ აქტში - კანონში.

სტატიაში განვითარებულმა კვლევამ ნათლად წარმოაჩინა სატრასტო ურთიერთობის შინაარსი და მისი ქართულ რეალობაში შემოღებით მოსალოდნელი ბენეფიტები. ამასთან, კვლევის ფარგლებში ქართული, ინგლისური და საერთაშორისო რეგულირების შესაბამისად, დაისახა აღნიშნული შედეგის მიღწევისათვის შესაძლო გზები.

დასკვნის სახით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბიზნეს საქმიანობების უფრო და უფრო გასაერთაშორისოებამ ეკონომიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იურისდიქციების მიერ ფართოდ გამოყენებადი სამართლებრივი კონსტრუქციების მიმღებლობა/იმპლემენტაცია აქცია. სტატიაში განვითარებული მსჯელობა/ანალიზის საფუძველზე, სტატიით შემოთავაზებულია დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამართლებრივი კონცეპტის ქართულ კანონმდებლობაში ორი განსხვავებული ფორმით შეთვისების სამოქმედო გეგმა.